გურამ მაისურაძე

გარდასულ დროთა გამოცანები

თბილისი
2019

ამ წიგნში შეტანილი ნარკვევები ეხება საქართველოს, აგრეთვე ამერიკისა და პოლინეზიის ისტორიის, ეთნოგრაფიის, გეოგრაფიის, ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებს. ზოგიერთი ნარკვევი სხვადასხვა დროს გამოქვეყნდა რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთებში:

1. ახალი ცნობები გარისის შესახებ — ჟურ. „დროშა“ 1988 წ. №12

2. რას გვიამბობს ხერხეულიძეთა საფლავები ჟურ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1978 წ. №11

3. აქედან იწყება სამშობლო და რწმენა კაცისა — გაზ. „ლიტერატურული საქართველო“ 1988 წ. №19

4. ადგილის დედა გვეძახის — ჟურ. „დროშა“ 1988 წ. №1

5. ოთხასი წელი ტაშისკარის ომიდან, წმინდანის ხსოვნა გვავალდებულებს — გაზ. „ახალი ერა“ 2003 წელი 27 ივნისი.

დანარჩენი მასალები პირველად ქვეყნდება, ვფიქრობ, ისინი გარკვეულ დახმარებას გაუწევს არა მარტო სპეციალისტებს, არამედ მკითხველ საზოგადოებას, რომ სწორად გავიგოთ დღემდე დამკვიდრებული მცდარი დებულებანი.

რედაქტორი
ია მაისურაძე

ავტორისაგან

დედამიწის ისტორიამ მრავალი გამოცანა შემოგვინახა. ბუნებაში მომხდარი დიდი კატასტროფები, ზღვაოსანთა თავგადასავლები, პრომეთეს საგანმანათლებლო, თუ ამირანის საგმირო საქმეები ადამიანებში წარუშლელ კვალს ტოვებდა, თაობიდან თაობას გადაეცემოდა და ჩვენამდე საგრძნობი სახეცვლილებით ზღაპრისა თუ ლეგენდის სახით მოაღწია; ამიტომ დღესაც დიდი აზრთა სხვადასხვაობაა: მართალია თუ არა ნოეს წარღვნის ამბავი, რომელიც კაცობრიობის უძველესი ერებიდან – შუმერებიდან, ეგვიპტელებიდან, ინდოელებიდან, ამერიკელი ინდიელებიდან დაწყებული ყველა ხალხის მეხსიერებას შემორჩა, ვინ აღმოაჩინა ყველაზე პირველად ამერიკა; მართალია თუ არა ატლანტიდის ლეგენდა და სად გაქრა იგი; ვინ იყვნენ კეთილი თეთრი განმანათლებლები, რომელთა სახელები და საქმენი ლეგენდად შემორჩა 15-18 ათასი წლის სიღრმიდან დედამიწის მრავალი უძველესი ერის მეხსიერებას და რატომ ამოძრავებდა ეს კეთილშობილური მისია მათ; რა გვაკავშირებს დედამიწის ერთ-ერთ უპირველეს და უძველეს ცივილიზებულ ხალხთან – შუმერებთან და სად გაქრა მათი კვალი; რა საკრალურ საიდუმლოებას შეიცავს იოანე-ზოსიმეს „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“; ვინ და როდის შექმნა ქართული ანბანი, რომელი ღვთიური ძალის შთაგონებით, თანაც სამი, როცა დედამიწის ერების უმეტესობამ თვითოც ვერ შექმნა? არცთუ სწორად მოაღწია ჩვენამდე „გუშინდელმა“ = 200-300 წლის ამბებმაც კი.

დღევანდელ რიგით ადამიანს კი არა, ზოგიერთ მეცნიერსაც რომ ჰკითხოთ, რამდენი ხერხეულიძე დაიღუპა მა-

რაბდის ომში, სად მოხდა გორისის ომი, სად იყო სოფელი კველთა, რას ნიშნავს სახელწოდებანი – არაგვი, რიონი, ენგური, ალგეთი, იბერი, შუმერი, ტაო, თუშეთი, ოდიში, ალბათ სწორ პასუხს ვერ გავცემთ. იმიტომ, რომ ამ სახელწოდებათა უმეტესობის მნიშვნელობა ქართულ ენაში უკვე დაკარგულია, ანდა უძველესი დიდი იბერიული სამყაროს ენათა წიაღშია ჩამარხული. არადა სიტყვას დიდი გამძლეობა აქვს – აკი ზოგიერთმა მათგანმა შვიდი ათასი წლის სიღრმიდან, შუმერებიდან მოაღწია ჩვენამდე და დღესაც ცოცხალია ქართულ ენაში. ზოგიერთ საკითხზე ჩვენი ცნობილი მეცნიერების მცდარი მოსაზრება დღეს სწორ დებულებად არის დამკვიდრებული. ასე, რომ ისტორიაში ეს ამოუცნობი „ანდრომედას ნისლეული“, თუ გარდასულ დროთა გამოცანები ბევრია და ალბათ მომავალშიც იქნება.

ეს წიგნი იმ გარდასულ დროთა გამოცანებში პატარა სხივის შეტანის მოკრძალებულ მცდელობად უნდა მიიღოს მკითხველმა, რათა სწორად გავიგოთ დღემდე დამკვიდრებული ზოგიერთი მცდარი მოსაზრებანი.

გ. მაისურაძე
თბილისი, 2016 წლის მაისი

სად გაქრა ატლანტიდა?

ჩვენამდე მოაღწია ძველი ბერძენი მწერლებისა და ეგვიპტელი ქურუმების ცნობებმა: ევროპისა და აფრიკის დასავლეთით, ოკეანეში მდებარეობდა კუნძული ატლანტიდა, სადაც ძალზე მაღალ დონეზე იყო ცივილიზაცია. ძველი ბერძენი მეცნიერი პლატონი წერდა: ევროპა, აზია და ლიბია /აფრიკა/ ოკეანით გარშემორტყმული კუნძულებია. მათ გადაღმა უზარმაზარ სივრცეზე კუნძულია. ამ უზარმაზარ კუნძულს ატლანტიდა ეწოდებაო. ხოლო ერთმა ეგვიპტელმა ქურუმმა ბერძენ მეცნიერსა და მოგზაურს სოლონს უთხრა: შესართავს იქით, თქვენ რომ თქვენებურად ჰერაკლეს სვეტებს უწოდებთ, კუნძული მდებარეობდა. ის კუნძული იყო ლიბიისა და აზიის, ერთად აღებულის, უდიდესიო. ძველი მწერლების ცნობებს, რომ ატლანტიდა კუნძული იყო, მეცნიერები დღევანდელი გაგებით აღიქვამენ. დღეს ასეა მიღებული, რომ კუნძული ოკეანეში ან ზღვაში ამოწვერილი პატარა მიწაა, ხოლო დიდი ხმელეთები – ევროპა, აზია, აფრიკა, ამერიკა, ავსტრალია კონტინენტებია. ამიტომ დღევანდელი მეცნიერები თვლიან, რომ ატლანტიდა ალბათ ასეთი პატარა კუნძული იყო ევროპის მახლობლად და ოდესღაც რაღაც დიდი კატასტროფის გამო ოკეანეში ჩაიძირა. არაერთი სამეცნიერო ექსპედიცია ამაოდ დაშვრა ჩაძირული ატლანტიდის ძებნაში – ზოგი ევროპასთან ახლოს, ატლანტის ოკეანეში ეძებდა მას, ზოგი – ხმელთაშუა ზღვაში. ძიებას შედეგი არ მოჰყოლია და ვერც მოჰყვებოდა. დღევანდელმა მეცნიერებმა არასერიოზულად ჩათვალეს ძველ მეცნიერთა ცნობები ატლანტიდის

მასშტაბების შესახებ. სწორედ ამან გამოიწვია შეცდომა და გაუგებრობა. ძველი ბერძენი მწერლები და ეგვიპტელი ქურუმები ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ ატლანტიდა უზარმაზარი „კუნძულია“, რომელიც ლიბიას /აფრიკას/ და აზიას ერთად აღებულს აღემატება სიდიდითო. განა შესაძლებელია, რომ ასეთი დიდი ხმელეთი რაიმე კატასტროფით გამქრალიყო? ძველი მწერლების ნაწერებში მოხსენებულია თითქმის ყველა კონტინენტი – ევროპა, აზია, ლიბია ანუ აფრიკა და ატლანტიდა. არ არის ნახსენები მხოლოდ ავსტრალია. სოლონის მიერ ეგვიპტელი ქურუმისგან ჩაწერილ ცნობაში აღნიშნულია, რომ ატლანტიდა მდებარეობდა ჰერაკლეს სვეტების დასავლეთით, ანუ გიბრალტარის სრუტის იქით. სიდიდით ის აღემატებოდა ლიბიას /აფრიკას/ და აზიას ერთად აღებულს და „მისგან მეზღვაურთ გზა ჰქონდათ ხსნილი სხვა კუნძულებისაკენ, ხოლო იმ კუნძულთაგან – მთელი გაღმა მდებარე ხმელეთისაკენ, რომელიც იმ ჭეშმარიტ პონტოს შემოსაზღვრავდა.“ ეჭვგარეშეა, რომ აქ ლაპარაკია იმ უზარმაზარ ხმელეთზე, რომელსაც დღეს ამერიკა ჰქვია და რომლიდანაც დასავლეთისაკენ მიმავალ მეზღვაურებს „გზა ჰქონდათ ხსნილი სხვა კუნძულებისაკენ“ ანუ პოლინეზიის კუნძულებისკენ, ხოლო მათი გავლით კი „მთელი გაღმა მდებარე ხმელეთისაკენ, რომელიც იმ ჭეშმარიტ პონტოს შემოსაზღვრავდა.“; ანუ ამერიკის კონტინენტის გავლის შემდეგ ზღვაოსნები გაივლიდნენ წყნარი ოკეანის უთვალავ კუნძულებს, რომლებიც აზიამდე აღწევდნენ და მიადგებოდნენ აზიის ნაპირებს, აზიისა, რომელიც წყნარ ოკეანეს შემოსაზღვრავს. აშკარაა, რომ ძველ ეგვიპტელ ქურუმებს და ძველი სამყაროს სხვა ქვეყნების მეცნიერებსა და ზღვაოსნებს საკმაოდ ზუსტი

წარმოდგენა ჰქონდათ ამერიკის კონტინენტისა და წყნარი ოკეანის აუზის შესახებ.

დღეს უკვე აღარავის სჯერა, რომ კოლუმბი იყო ამერიკის პირველი აღმომჩენი. უკვე დადგენილია, რომ ამერიკის კონტინენტს ძალიან კარგად იცნობდნენ ძველი მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ზღვაოსნები – ჩინელები, ინდოელები, იაპონელები, ფინიკიელები, კართაგენელები, ბერძნები, ეგვიპტელები, სკანდინავიელი ვიკინგები, ისლანდიელები, ირლანდიელები, აგრეთვე ინდოეთის, წინა აზიის, კავკასიის, იტალიის, აფრიკის სანაპიროების, კანარის კუნძულების, პირენეის ნახევარკუნძულისა და ევროპის სივრცეებზე ბრიტანეთამდე განსახლებული იბერიელები – კოლხები, მესხები, იბერები, ეტრუსკები, კრეტელები, ბასკები, კელტიბერები, ძველი სამყაროს აღნიშნული ქვეყნების ხომალდები სისტემატურად მიმოდიოდნენ ატლანტისა და წყნარ ოკეანეებში – ევროპიდან ამერიკამდე და ამერიკიდან აზიამდე. ახალი წელთაღრიცხვის შემდეგ მოხდა ინდოეთიდან და ციმბირიდან ინდოევროპული მოდგმის ბარბაროსი ტომების შემოსევები და ხალხთა დიდი გადაადგილებები. ამან გამოიწვია ძველი სამყაროს ცივილიზებული ხალხების დიდი ნაწილის განადგურება, ასიმილაცია, სამეურნეო და საწარმოო ურთიერთობათა მოშლა, ძველი საზღვაო სავაჭრო გზებისა და მეცნიერული ცოდნის დავიწყება. სწორედ ამიტომ მოხდა, რომ ევროპისა და აზიის ცივილიზებული კაცობრიობა მოსწყდა დიდი ხნით ამერიკულ და პოლინეზიურ სამყაროს, დაავიწყდა მათი არსებობა. კოლუმბის მოგზაურობის შემდეგ ამერიკას ახალი მიწა უწოდეს, რომელიც ერთხანს ინდოეთი ეგონათ, ხოლო როცა ამერიგო ვესპუჩმა მას ირგვლივ შემოუარა და რუკა შეადგინა, ახალ

მიწას მისი სახელი უწოდეს. კოლუმბის შემდეგ ამერიკაში ჩასულმა ევროპელებმა იქ ნახეს მაიას, აცტეკების, ინკების მაღალგანვითარებული იმპერიები. მათ ძალზე დიდი ცოდნა ჰქონდათ მათემატიკაში, ვარსკვლავთ-მცოდნეობაში, მელითონეობაში, მედიცინაში, ხუროთმოძღვრებაში, სოფლის მეურნეობაში, დამწერლობაში. ცნობილია, მაგალითად, რომ ასტროლოგიაში მათ ეგვიპტელებზე უფრო ზუსტი ცოდნა ჰქონდათ. ევროპელები გაოცებული იყვნენ იქაური დიდებული ქალაქებითა და გზებით. ხოლო ინკების იმპერიაში არსებული ჰუმანური კანონების, ზნეობის, სამართლიანობის, ადამიანთა თანასწორობის, კერძო მესაკუთრეობის არსებობის მსგავსი დედამიწის ზურგზე არასოდეს არავის ჰქონია. მას მეცნიერები დღესაც პირველყოფილ კომუნიზმს უწოდებენ. ანუ ამერიკული ქალაქები, ადათ-წესები, კანონები, ზნეობა, მეცნიერებისა და მეურნეობის დარგები საგრძნობლად განსხვავდებოდა დანარჩენი სამყაროსაგან. ევროპელებმა ამერიკიდან შემოიტანეს მთელი რიგი მაღალი სამეურნეო თვისებების მქონე კულტურები – კარტოფილი, ლობიო, სიმინდი, პამიდორი, მზესუმზირა, კაკაო, ყავა... ევროპელებმა იქ ნახეს ოქრო-ვერცხლით მდიდარი ქვეყნები. იმ ქვეყნებში ფულის მოვალეობას სავაჭრო ურთიერთობაში ასრულებდა კაკაოს მარცვლები, ხოლო ოქრო-ვერცხლს არავითარი ღირებულება არ ჰქონდა. ამ ლითონებს მხოლოდ ტაძრების შესამკობად და ხელოვნების ნიმუშების შესაქმნელად იყენებდნენ. ესპანელებმა ისეთი შემთხვევებიც ნახეს, როცა იქაური ბავშვები ქუჩებში ოქროს ნატეხებით თამაშობდნენ. ცნობილია, რომ ინკების დედაქალაქ კუსკოში უზენაესი ღვთაების ვირაკოჩას ტაძარი ოქროს ფურცლებით იყო გადახურული, შიდა კედლები და ჭერი კი ოქრო-

თი, ვერცხლით, ამეთვისტოთი და სხვა ძვირფასი ქვებით იყო მოჭედილი. ტაძრის ბაღში კი ღმერთებისა და მეფეების ოქროს ქანდაკებები და ძვირფასი ქვებისა და ოქრო-ვერცხლისგან გაკეთებული ხეები იდგა. იქაური მოსახლეობა არ იცნობდა მუშა პირუტყვს, ცხენებს, ბორბალსა და ურემს, რკინის ნაწარმს, რადგან იქ რკინის მადანი არ მოიპოვებოდა. ესპანელმა კონკისტადორებმა ოქრო-ვერცხლის ძვირფასი ჭედურობანი და ტაძრის სამკაულები დაძარცვეს, ზოდებად გადაადნეს და ათას ტონაზე მეტი ოქრო-ვერცხლი ესპანეთში გამოზიდეს. ვარაუდობენ, რომ სამი იმდენი განძი ინდიელებმა მიწის ქვეშეთებში გადამალეს. ესპანელთა ნადავლით დატვირთულ „ვერცხლის ფლოტილიებს“ ხშირად თავს ესხმოდნენ ბრიტანელი მეკობრეები და ძარცვავდნენ. სამწუხაროა, რომ ოქროს ციებ-ცხელებით შეპყრობილ ევროპელებს გამდიდრების გარდა არაფერი აინტერესებდათ. მათ დაანგრიეს დიდებული ქალაქები, დახოცეს ქურუმები, მეცნიერები, მწერლები, ცეცხლს მისცეს მათი წიგნები, რომლებშიც დიდ მეცნიერულ და სამეურნეო ცოდნასთან ერთად ჩაწერილი იყო მათი ისტორიები, ის, თუ ვინ შეუქმნა მათ ეს დიდი ცივილიზაციები. ამერიკელ ინდიელებს – მაიას, აცტეკებს, ინკებს, პოლინეზიელებს, აღდგომის კუნძულის მოსახლეობას ხომ არასოდეს უარყვიათ ის ფაქტი, რომ მათი ცივილიზაციების შემქმნელები მზის ამოსვლის მხრიდან ჩასული თეთრკანიანები – ვირაკოჩასა და მატუას ხალხი იყო. ამ განადგურებულ წიგნებში აუცილებლად ეწერებოდა თეთრი განმანათლებლების სადაურობა და საგანმანათლებლო საქმიანობის ისტორიები. ამ განადგურებით დიდი ზიანი მიადგა დედამიწის ცივილიზაციის ისტორიას, დაიკარგა მრავალი ძვირფასი ცნობა.

ახლა კიდევ ერთხელ გავიხსენოთ, რას წერდა პლატონი ამერიკის კონტინენტის შესახებ: ევროპა, აზია და ლიბია ოკეანით გარშემორტყმული კუნძულებია. მათ გადაღმა უზარმაზარ სივრცეზე გადაჭიმული კუნძულია. იქ არის დიდი ქალაქები. იქაური კანონები და ადათები ჩვენებურისაგან დიდად განსხვავდება... იმ ქვეყნის მიწაში აურაცხელი ოქრო და ვერცხლია, რომლებსაც იქაურნი უფრო ნაკლებად აფასებენ, ვიდრე ჩვენ ვაფასებთ რკინას. იქაურები რკინის იარაღით არ სარგებლობენ. იმ უზარმაზარ კუნძულს ატლანტიდა ეწოდებაო. ევროპელებმა ამერიკაში ჩასვლისას ნახეს ყველაფერი ის, რასაც პლატონი წერს. და ეს კონტინენტი ჩრდილოეთის პოლუსიდან სამხრეთ პოლუსამდე მართლაც უზარმაზარ სივრცეზეა გადაჭიმული. ეჭვგარეშეა, რომ ლეგენდარული ატლანტიდა ამერიკის კონტინენტის ძველი სახელწოდებაა. ხოლო ატლანტიდასა და ევროპა-აფრიკას შუა არსებულ წყლის უზარმაზარ სივრცეებსაც სრულიად სამართლიანად ჰქვია ატლანტის ოკეანე.

14. 05. 2012.

გურამ მაისურაძე

მდინარე ალგეთი ქართულ ზეპირსიტყვიერებაში

ეს სიტყვები ინახავ,
ო, გეთო, ჩვენო ო, გეთო!

ალგეთი ქვემო ქართლის ერთი პატარა მდინარეა. ხეობის მდიდარი არქიტექტორული ძეგლები იმის დასტურია, რომ იგი ქვეყნის ცხოვრების მაჯისცემის აქტიური მონაწილე იყო. აქაური მეგალითური ძეგლები – დარნები, კარკნალები, მენჰირები, გმირთნაკვეთი დასტურია იმისა, რომ ალგეთი ადამიანთა საცხოვრისად ისტორიამდელი, უხსოვარი, ალბათ ადამიანთა მოდგმის გაჩენის დროინდელია. ეს ნათლად აისახა ყველაზე ხანდაზმულ და უკვდავ მატიანეში – ხალხურ სიტყვიერებაში. ალბათ ძნელია, მოიძებნოს მეორე ისეთი მდინარე, რომელსაც ხალხურ სიტყვიერებაში ასეთი უშორესი, ღრმა და მრავალფეროვანი ფესვები გააჩნდეს. ალგეთმა ასახვა ჰპოვა სამეურნეო, სამონადირეო, საისტორიო, სარაინდო, სატრფიალო სახის ხალხურ პოეზიაში. ამათგან, ალბათ, ყველაზე უძველესია მისი ხსენება ამირანის ზღაპარში. როგორც აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი ბრძანებს, უძველესი ზღაპრებიდან „შედარებით კარგად არის შენახული თქმულება ამირანზე, რომლის შინაარსი მეტად საგულისხმო და საყურადღებოა, ვითარცა ძველისძველი წარმართობის დროინდელი თქმულების სანიმუშო მაგალითი“. /ივ. ჯავახიშვილი. უძველესი სარწმუნეობრივი თქმულებები. &1. სხვადასხვა თქმულებანი ამირანზე და ამათი პირვანდელი სახის აღდგენა. თხზ. ტ. I. თბ. 1979, გვ. 188/.

ეს ზღაპარი საქართველოში ყველაზე გავრცელებულია – არსებობს ქართლური, კახური, ფშაური, თუშური, სვანური ვარიანტები. ეს იმან განაპირობა, რომ ამირანი ქართველი ხალხის უსაყვარლესი და უძველესი გმირია. ხალხის რწმენით მას აქვს აზვირთებული წყლის სიჩქარე, მთიდან დაქანებული ზვავის სიმარდე. თორმეტი ხარ-კამეჩის ღონე, მგლის მუხლი. იგი უკვდავია. – ხალხმა ამ გმირში თავისი უკვდავების რწმენა ჩააქსოვა. ამირანი ებრძვის დევებს, ბოროტ ძალებს, ხალხის ქომაგია.

ამირანი ნადირობის ქალღმერთ დალისაგან იშვილა სულკალმახმა. დალის რჩევით მან ცეცხლზე გახურებული /ანუ გასტერილებული/ დანით ქალს მუცელი გაუჭრა, დღენაკლული ბავშვი ამოიყვანა და ორი თვე დეკეულის ფაშვში ზარდა. ანუ აქ შემონახულია უძველესი ქართული სამედიცინო ცოდნა – გართულებული მშობიარობის გაკვეთისა (მერე რომ ძველმა რომაელებმა გაითავისეს და საკეისრო კვეთა დაარქვეს) და დღენაკლული ბავშვის ხელოვნურ გარემოში გამოზრდისა.

მამობილი ადრე გარდაიცვალა. სიკვდილის წინ შვილებს – ბადრის, უსუპს და ამირანს ურჩია – დევებს გაერიდეთ და სადმე უხიფათო ადგილას შეაფარეთ თავიო. მცირეწლოვანი ბავშვები ჩაბახლში, ანუ ტაოს მხარეში გადაიხვეწნენ:

„ბადრი, უსუპ და ამირან
ობლები დავიყარენით,
დევების შეშინებულნი
ჩაბალხში ჩავიყარენით.“

როცა წამოიზარდნენ, დავაჟკაცდნენ, გულმა მშობლიური სანახებისკენ გამოუწიათ:

„სამნი ძმანი წამოვიდნენ:
ბადრი, უსუპ, ამირანი,
ცხრა მთანი გადმოიარეს,
მეათე ალგეთისანი.
იქაც ერთი კოშკი იდგა,
ნაგები ბროლის ქვისანი,
ცხრა დღე და ღამე უარეს,
ვერ უპოვეს კარნი მისნი.
ამირანმა წიხლი მისცხო,
იქ შეიბა კარი მისი.“

კოშკში მიცვალებული მონადირე ცამცუმი დახვდათ დაწერილი ანდერძით: ვინც ბაყბაყ დევს მოკლავს, ჩემი ქონება – კოშკი, რაში, იარაღი, ცოლი მისი იყოსო. იქიდან წამოსულ ძმებს ბაყბაყდევი მართლაც გზაში შემოხვდათ. ცამცუმის სიკვდილი შეეტყო და შესაჭმელად წამოსულიყო. ამირანმა პირველი ბრძოლაც, სწორედ აქ, ბაყბაყდევთან გადაიხადა:

„ამირან დევი შეიბნენ,
მიწას გაჰქონდა გრიალი,
ამირანმა დევი დასცა,
ადგილი შეხვდა ქვიანი,
დასცა და მხარი მოსტეხა,
დააწყებინა ღრიალი.“

თუ რა მტრობა ჰქონდათ ბაყბაყდევსა და ცამცუმს, ეს უფრო კარგად არის აღწერილი ერთ ხალხურ ლექსში:

„ათი მთა გადავიარე, მეთერთმეტე ალგეთისა,
გავხედე და ციხე ვნახე, ნაგებ იყო ბროლის ქვისა,
შვიდ დღე-ღამეს გარს ვუარე, კარი ვერ ვიპოვე მისა,
კარი იქითა ჰქონიყო, წინ-წინ მზე რომ დაჰკრავს პირსა,
შიგ რომ მკვდარი წოლილიყო, შესაბრალი იყო ისა,
გვერდით ეჯდა თავის დედა, ბრალად დასტიროდა შვილსა,
ფეხთით ეჯდა თავის ცოლი, ცრემლად იღვრებოდა ისა...
გულზედ ედვა თავის ხმალი, პირი ჰქონდა ალმასისა,
თავით ება თავის ცხენი, ტოტზედა დგებოდა ისა,
ხელში ეჭირა ქაღალდი, ჭრელად დაწერილი ისა,
წავიკითხე, ის ეწერა: „ძმისწული ვარ უსუპისა,
დევსა ბაყბაყს ვერ შავები, ვაჰმე, ჩამყვა ჯავრი მისა,
ვინცა იმის ჯავრს ამამყრის, ჩემი ხმალი ალალ მისა!“

ალგეთის ხეობის ზედა წელში ლითოგრაფიული ქვის დიდი საბადოა. ეს ქათქათა თეთრი ქვა ძალიან ჰგავს მთის ბროლს. ეტყობა, ცამცუმის კოშკი ხალხის წარმოდგენამ ამ ასოციაციით ჩათვალა ბროლის კოშკად.

მრავალი საგმირო საქმის ჩადენის შემდეგ ამირანი ღრუ-ბელთ ბატონის ქალიშვილს ყამარს /კამარს/ მოიტაცებს. სიმამრი გრძნეულთა ლაშქრით დაედევნება და მძიმე ომს გაუმართავს. ამირანი გაიმარჯვებს, მაგრამ ბრძოლაში და-ღუპული ძმების ბადრისა და უსუპის გამო თავის მოკვლას განიზრახავს. საინტერესოა, რომ ზღაპრის თანახმად ეს ბრძოლაც ალგეთის ხეობაში მომხდარა:

„ცხრათა ფრინველთა მხარგრძელთა
ალგეთის ჭალა გაექნა..
უძმოსა, უმამისძმოსა
ამირანს თავი მოეკლა!“

ეტყობა, ამირანის ზღაპრის თავდაპირველი ვარიანტი აქ, ალგეთხეობაში უნდა გაჩენილიყო. ალგეთი ნახსენებია მეორე უძველეს ზღაპარშიც, რომელსაც „ეთერი“ ჰქვია. მუხთალმა ვეზირმა მურმანმა სული ეშმაკს მიჰყიდა, მისი დახმარებით მოივერაგა და ხელში ჩაიგდო აბესალომის ცოლი ეთერი. აბესალომი დარდით ავად გახდა. მოინდომა ქალის უკან დაბრუნება. დაიბარა მურმანი და უკვდავების წყლის მოტანა დაავალა – ეგებ იმ გზაზე დაიღუპოს და ქალი მე დამრჩესო. უკვდავების წყლის მოსატანად მურმანს ალგეთის ხეობაში გზავნის. მურმანმა ცხრა დღის ვადა გამოსთხოვა და წავიდა ეთერთან გამოსათხოვებლად:

„ამაღამ კი ჩამიტოლე,
ქალო, მკერდსა ბროლისასა,
ქალო, ალგეთსა მგზავნიან,
პირსა ალგეთის მთისასა;
სურვილისა ქვას ისვრიან
მონატეხსა ლოდისასა,
ვაიმე, თავს გაგვიტეხენ
უზარელსა ლომისასა,
ნუ შეირევ ავსა კაცსა,
ნურცა ავის გვარისასა,
წავა, სწორში დაიკვეხებს –
ხვევნას ვიყავ მთვარისასა.“

საგმირო პოეზიაში ალგეთხეობამ უკანასკნელ საუკუნეებამდე ჰპოვა გამოძახილი. ქართველმა ხალხმა იგი დაუკავშირა თავის უკანასკნელ გმირ მეფეს ერეკლე მეორეს.

კახეთის მეფის უფლისწულმა ერეკლემ ბავშვობა და ყრმობა კახეთსა და თუშეთში გაატარა. ხალხურმა სიტყვიერებამ კი მისი ბავშვობა ალგეთის ხეობას დაუკავშირა:

„ბატონიშვილს ერეკლესა ირმის ძუძუ უწოვნია,
წყალი უსვამს ალგეთისა, თრიალეთზე უძოვნია,
საჩალეში გადუგდიათ, მონადირეს უპოვნია,.“

ხალხმა ალგეთს დაუკავშირა ლეკებთან ჭაბუკი უფლისწულის ბრძოლის ერთი ეპიზოდიც:

„ერეკლე ბატონიშვილი ერთი პატარა კახიაო,
ალგეთსა ალგეთობასა ცხრაკეც რაზმი ჩახიაო,
ასი ცხენს გაალახვინა, ორას კარავს წახიაო,
„ომსა რად უნდა გრძელება?“ – შუბი ბუდეს გახვიაო,
რაც უყო ლეკ-ოსმალებსა, ალალი და ახიაო.“

„ლეკებთან ბრძოლას ეხება კიდევ ერთი ხალხური ლექსი, რომელშიც ალგეთია ნახსენები:

„შენ ბიჭო ანაგურელო,
შენი ხმა ჩამოგვდიოდა,
შენგან ნახოცი ლეკები
ალგეთში ჩამოდიოდა.“

უფრო მეტიც: ხალხმა ალგეთს ჰიმნად ჩააქსოვა მომავლის, ქართველი ერის უკვდავების რწმენაც, თუმცა მტრის გამუდმებული თარეშის გამო უკანასკნელ საუკუნეებში აქაურობა თითქმის გაპარტახდა:

„კიდევაც დაიზრდებიან
ალგეთს ლეკვები მგლისანი,
ისე არ ამოწყდებიან,
ჯავრი შეჭამონ მტრისანი.“

ზოგ ხალხურ ლექსში ალგეთი ვაჟკაცის გარეგნობასთან ანდა სატრფიალო მოტივებთან არის დაკავშირებული:

„თავნი მთას გიგვანთ, ოჟკაცნო, მწვანილნიც ადგებიანა,
შუბლნი – ალგეთის მინდორსა, ყანანიმც ესწებიანა!“
„არშისა მთანი დათოვნა, კალთანი ალგეთისანი,
მომწონან თვალნი, წამწამნი, შენ რომ ხარ, მაგეთისანი.“

ალგეთმა ასახვა ჰპოვა სამონადირეო პოეზიაშიც:

„სად იყავ, ხარო ირემო, სად გაიბასრე სისხლითა?
– ალგეთით მოვალ, ბატონო, მთა გადმოვლახე ნისლითა,
დამკოდეს ხათუთისძეთა, ისარი მომაქვს კისრითა!“

რას ნიშნავს სახელწოდება „ალგეთი“? ერთხანს ხალხში გავრცელებული იყო ძალზე გულუბრყვილო ვერსია, თითქოს ეს სახელწოდება თურქული წარმოშობისაა და ოსმალური ურდოებს თარეშის შემდეგ დარჩა – „ალ და გეთ“, ანუ ნადავლი აიღე და წადიო. რა თქმა უნდა, ამ ხალხურ ვერსიას არ აქვს სინამდვილესთან რაიმე კავშირი. მეცნიერთა ერთი ნაწილი ვარაუდობს, რომ ოდესღაც აქ ცხოვრობდა უძველესი ტომი ალგები და ალბათ მდინარეს სახელი ამის მიხედვით ეწოდაო. მაგრამ ისინი იმასაც აღიარებენ, რომ არსად, არც უძველეს ისტორიულ წყაროებში, არც ზეპირსიტყვიერ თქმულება-ლეგენდებ-

ში ალგების ტომი არსად იხსენება. ამიტომ ეს ვარაუდი საეჭვო უნდა იყოს. ადამიანთა დასახლებები უძველესი დროიდანვე პირველ რიგში მდინარეთა ნაპირა ჭალებში ხდებოდა, სადაც სარწყავი და სასმელი წყალი არსებობდა და ლამიანი ნიადაგი მოსავლისათვის ხელსაყრელი იყო. ალგეთის ხეობაში ადამიანთა უძველესი ნამოსახლარებიდან დაწყებული სიცოცხლე არასოდეს შეწყვეტილა. აქ უხვად იყო და არის ნაყოფიერი ბაღ-ბოსტნები, რომლებიც პირუტყვისგან დაცვის მიზნით შემოკავებული იყო ლატნებით. ნაკვეთებში ადამიანთა შესასვლელად კი მათზე მომაღლო საფეხურებიანი ბოგირები /კიბეები/ იყო, რომლებსაც დღესაც ალაგეები ჰქვია. ხოლო ალაგეების ერთობლიობას, მიწა-წყალს, სადაც ბევრი ასეთი ალაგე იყო, ალაგეთი უნდა რქმეოდა, სავარაუდოა, რომ მდინარის სახელწოდება სწორედ აქედან წარმოსდგა შეკუმშული ფორმით: ალაგე – ალაგეთი – ალგეთი.

მცირე მოსაზრება ამირანის ჩამომავლობის შესახებ

ამირანის ზღაპარი ერთ-ერთი უძველესი ქართული თქმულებაა. იგი უშორეს წარმართულ ხანაში შეიქმნა. ამირანი უძველესი სახალხო გმირია, ხალხის შემაწუხებელ ქაჯებთან და დევებთან, ანუ უსამართლობასთან, ბოროტებასთან მებრძოლი რაინდი. სწორედ ამის გამო საუკუნეთა სიღრმიდან ჩვენამდე მოიტანა ხალხის მეხსიერებამ საყვარელი გმირის ამბავი. ვინ იცის, იქნებ იმ შორეულ წარსულში მისი რეალური პროტოტიპიც არსებობდა? საუკუნეების მანძილზე ზღაპარი ეპოქის შესაფერ ცვლილებებს განიცდიდა და ჩვენამდე პირვენდელი სახით არ მოუღწევია. ამაზე თუნდაც ის ფაქტი მეტყველებს, რომ ანტიკური ხანის დევებთან მებრძოლი ამირანი ქრისტე ღმერთის ნათლულია და მასთან ჭიდაობის კადნიერი სურვილის გამო ქრისტე მას სასტიკად სჯის. ცხადია, ზღაპრის უძველეს ვარიანტში აქ რომელიღაც წარმართული ღმერთი ფიგურირებდა, რომელიც ქრისტიანულ ეპოქაში ხალხმა ქრისტეს სახელით შეცვალა.

აკად. ივანე ჯავახიშვილმა თავის დროზე სცადა ზღაპრის უძველესი სახის აღდგენა და გვიანი ეპოქების დანაშრევების მოცილება. მისი დასკვნით „ამირანი მონადირეობის ქალღვთაების „დალი“-სა და ვიღაც მონადირის სულა-კალმახის შვილია“ /თხზ. ტ. 1, 1979, გვ. 190/. ღვთაებრივი წარმომავლობის გამო იგი უკვდავია, უზარმაზარი ძალ-ღონის პატრონია, არ ეპუება ზეციურ ძალებსაც კი. მან ცაში ჩამოკიდბული ბროლის კოშკიდან მოიტაცა ზეციური არსება – ყამარი, „ღრუბელთა ბატონის“, ამინდის,

ტაროსის ღვთაების ქალიშვილი. ამირანი გაანადგურებს სიმამრის ზეციურ ლაშქარს და ბოლოს ორთაბრძოლაში ამ ღვთაებასაც მოკლავს. ივ. ჯავახიშვილის დასკვნით თვით სახელი ყამარი ელამიტელთა ღვთაებიდან მოდის, რომელიც ელამურ და ბაბილონურ ლურსმულ წარწერებში ლაგამარად არის აღნიშნული, ანუ ქართული ზღაპრის კამარი ელამურ გამარს უდრის. „ლაგამარ, როგორც ცნობილია, ელამიტურში ვენუსის ან აფროდიტეს სახელად ითვლება და ისე გამოდის, თითქოს ამირანს ღრუბელთა ბატონის ქალი ღვთაება – „კამარ-ქეთუ“ აფროდიტე მოეტაცოს“/იქვე, გვ. 194/.

ანტიკური ხანის თქმულებებში, მაგალითად ბერძნულში, ხშირია წარმართული ღმერთებისა და მოკვდავი ადამიანების სასიყვარულო კავშირები და მათგან შობილი შვილების ამბავი. მაგრამ ასეთი კავშირები დასაშვები იყო დიდგვაროვან ადამიანებთან და არა ღატაკებთან და მონებთან, რადგან ასეთი რამ მაშინდელი რწმენით ღმერთების ღირსების შემლახავი იქნებოდა. სავარაუდოა, რომ რადგან ამირანი ნადირობის ღვთაება დალის შვილია, ქალღმერთს კავშირი უნდა დაემყარებინა ღირსეულ, დიდგვაროვანთა წრის მამაკაცთან და არა ვიღაც უბრალო, მოხეტიალე მონადირესთან. ამირანის მამის სახელია სულკალმახი. რაზე მიგვანიშნებს ეს სახელი? ერთ-ერთი იბერიული მოდგმის, ჩვენი მონათესავე შუმერების ქვეყანაში სულკალმახი დიდ კაცს, დიდ მოხელეს, მეფის პირველ მინისტრს ნიშნავდა. შუმერული ენიდან უამრავი სიტყვა შემოვიდა და დამკვიდრდა ქართულ ენაში: გუდა, ყანა, ხარო, ტიკი, ხარი, ნარნარი, დოქი, ქალი, გორა, ერი, აგარა, ბარი, ენა, ნანა, ასაკი, კისერი, ლამაზი და ა. შ. სულკალმახიც სწორედ შუმერულიდან შემოსული სახელი უნდა იყოს და სამეფოს დიდ

მოხელეს, დიდგვაროვან ადამიანს ნიშნავდეს. სწორედ ამ დიდგვაროვან კაცს ნადირობის ჟამს კავშირი დაუმყარებია ნადირობის ღვთაება დალისთან და ამირანი ამ ღვთაებისა და დიდგვაროვანი კაცის შთამომავალია; ანუ ამ შემთხვევაში ღვთაება დალის ღირსება შელახული არ არის. სწორედ ამ ღვთაებრივი წარმოშობის გამო ბედავს ამირანი ღვთაებებთან შერკინებას, ზეციდან ქალღვთაების მოტაცებას, ღვთაება სიმამრის მოკვლას, ბოლოს კი რომელიღაც მთავარი წარმართული ღმერთის ჭიდაობაში გამოწვევას და ამ კადნიერებისათვის სასტიკად ისჯება. ამრიგად, ამირანის მამის სახელიც იმაზე მიუთითებს, რომ ეს ზღაპარიც, ვითარცა გილგამეშის ან პრომეთეს ამბავი, კაცობრიობის ერთ-ერთი უძველესი თქმულებათაგანია!

2008. წ.

საქართველოს ისტორიული მხარეების ტაოსა და თუშეთის სახელწოდებათა განმარტებისათვის

საქართველოს ძირძველი მხარე ტაო სამცხის, ანუ ზემო ქართლის ნაწილი იყო ოდითგანვე. ზემო ქართლი მოიცავდა ქვეყანას ტაშისკარიდან ტაოს ჩათვლით. ქართლოსის შემდეგ იგი მემკვიდრეობით ერგო მის უფროს ძეს: „განუყო სამთა ძეთა თვისთა წილი თვისი... ძესა თვისსა ოძრახოს მისცა ტაშისკარს ზეითი მტკვრის დასავლეთი, ვიდრე ზღვამდე, საზღვრამდე ქართლოსისა, რომელ არიან აწ სამცხე, გურია, ლიგანი, შავშეთი, არტანუჯი, ფანასკერტი, ოთლისი და ტაო. და ამით ადგილებთა უმეტეს ეწოდა ზემო ქართლი“. /ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. „ქართული მწერლობა“, 1990, ტ. 8, გვ. 81/.

3300 წლის წინ აქ შეიქმნა დიაოხის სახწელმწიფო, რომელმაც დიდი როლი შეასრულა მტერთაგან კავკასიის დაცვაში. ექვსას წელს იგერიებდა იგი ასურეთის, ურარტუსა და სხვა ძლიერი სახელმწიფოების თავდასხმებს. ბოლოს შეელეწა მტრის ურიცხვ ურდოებს – ძლეული დაეცა. არაბობის ჟამს ტაომ კლარჯეთთან ერთად გადამწყვეტი როლი შეასრულა ერთიანი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბებისათვის ბრძოლაში. ბაგრატიონების გონივრული პოლიტიკითა და ძლევამოსილი ომებით, დიდი განმანათლებლის გრიგოლ ხანძთელის ფართო სამონასტრო კულტურულ აღმშენებლობითი მუშაობით ტაო-კლარჯეთმა ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ქართული კულტურის, მწერლობის, ხუროთმოძღვრების, ოქრომჭედლობის, ტიხრული მინანქრის, რელიგიის, სახელმწიფოებრიობის, ზნეობისა და ეროვნული ცნობიერების აღორძინება-განმტკი-

ცებაში. ტაოში იწყება დედამდინარე მტკვარი. აქ, მტკვრის სათავეში, სოფელ კოლაში დაიწერა ქრისტიანული რელიგიის ისტორიის ერთი საოცარი ფურცელთაგანი: სოფლის ცხრა ბავშვმა ფარულად მიიღო ქრისტიანობა მეექვსე საუკუნეში. მღვდელმა ისინი ღამით მტკვრის სათავეში დანათლა. გაავებულმა წარმართმა მშობლებმა როცა ბავშვებს ქრისტიანობა ვერ დაათმობინეს, დიდი ორმო ამოთხარეს, ბავშვები შიგ ჩაყარეს და ქვებით ჩაქოლეს. ქართულმა ეკლესიამ ბავშვები წმინდანებად შერაცხა. ცხრა კოლაელი ყრმა – გურამი, ადარნასე, ბაქარი, ვაჩე, ბარძიმი, დაჩი, ჯუანშერი, რამაზი, ფარსმანი მთელს ქრისტიანულ სამყაროში ყველაზე მცირეწლოვანი მოწამეებია – ისინი 7-9 წლისანი იყვნენ. აქედან დაიწყეს ბაგრატიონებმა საქართველოს გაერთიანების, დამოუკიდებლობისა და გაძლიერებისათვის 1500 წლიანი მოღვაწეობის ისტორია. ტაო-კლარჯეთი იყო ამ დიდი საქმეების ლიბო. სწორედ ტაოდან დაიწყო საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლა დიდებული მამულიშვილების – ტაოს მეფე დავით III კურაპალატისა და ქართლის ერისთავის ივანე მარუშისძის მეთაურობით, რაც შემდეგ წარმატებით დაგვირგვინდა დავითის შვილობილის ბაგრატ მესამის ხელში.

ტაო იყო საქართველოს სამხრეთის კარიბჭე, სამხრეთ-დასავლეთის საზღვრისპირა საერისთავო და ამის გამო ხშირად იქცეოდა ომების ასპარეზად. აქ დიდი თამარის მეფობის ჟამს მოიპოვეს ქართველებმა მარად დაუვიწყარი გადამწყვეტი გამარჯვება ბასიანის ომში.

მონღოლთა ბატონობის ჟამს სამცხე დიდ როლს ასრულებს საქართველოს ცხოვრებაში. სამცხის სპასალარი სარგის ჯაყელი და მისი შვილი ბექა ნიჭიერი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწეები არიან. იმ არეულობისა და

განუკითხაობის ჟამს ისინი მტკიცედ ინარჩუნებენ სამხრეთ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას , ცდილობენ უფრო განავრცონ სამხრეთის საზღვრები. ქართველ დიდებულთა ნაწილს არ სიამოვნებს სამცხის მთავრების ასე გაძლიერება და პირადი მტრობით, პოლიტიკური ინტრიგებით ცდილობენ ანგარიშსწორებას. ცნობილია, რომ ერთ-ერთ ბრძოლაში სარგის ჯაყელმა მონღოლთა ყაენი სიკვდილს გადაარჩინა. ყაენმა ჯილდოდ მისცა სამცხის სამხრეთის საზღვრებთან ქალაქი კარი და მიმდგომი ქვეყანა. შურიანმა კარისკაცებმა საქართველოს მეფე დავით-ულუ შეაგულიანეს – სარგისი ამით ისე გაძლიერდება, რომ მალე მეფობაშიც შეგეცილებაო. გაგულისებული მეფე ყაენს შეეხვეწა – სარგისს კარი არ მისცეო. ამ შურიანობით გაოცებულ ყაენს რა ენაღვლებოდა – სარგისს პირი უტეხა და ბოძებული უკანვე წაართვა. ეწყინა მეფის უმადურობა სარგისს, მაგრამ არაფერი თქვა. ბოროტი კარისკაცები არც ამის მერე დაცხრნენ, მეფეს ჩააგონეს – სარგისი გღალატობსო. დავით-ულუმ სტუმრად მოწვეული სარგისი საპყრობილეში ჩასვა. მეფე ფიცხი და ენის ამყოლი იყო, კარისკაცთა დაბეზღებით არაერთი ადამიანი დასაჯა სიკვდილით. ალბათ, სარგისსაც ეს დღე ელოდა, ერთგულ მესხებს რომ არ ემარჯვათ: მათ სასწრაფოდ აცნობეს ეს ამბავი ყაენს და მისი დახმარებით გამოიხსნეს სარგისი ტყვეობიდან. შეურაცხყოფილმა სარგისმა მეფის ქვეშევრდომობაზე უარი თქვა და ყაენის მფარველობაში გადავიდა. ეს დიდი დარტყმა იყო საქართველოს ერთიანობისათვის. დიდი ხნის შემდეგ სარგისის შვილმა ბექამ მაინც მიაღწია კარის შემოერთებას. იგი იმდენად გაძლიერდა, რომ თვით მონღოლთა ყაენსაც აღარ ეპუებოდა: „რამეთუ ფრიად განდიდებულ იყო, თვით არღარა წარვიდოდის არცა ყაენს წი-

ნაშე და არცა მეფეს თანა“... „ბექა განდიდებულ იყო და აქ-
ვნდა ტასისკარითგან ვიდრე სპერამდე და ვიდრე ზღვამდე:
სამცხე, აჭარა. შავშეთი, კლარჯეთი, ნიგალისხევი, ხოლო
ჭანეთი სრულიად მოსცა ბერძენთა მეფემან კომნინოსმან
კირ მიხაილ და ასული ბექასი ცოლად მოიყვანა. ამასვე აქ-
ვნდა უმრავლესი ტაო, არტანი, კოლა, კარნიფორა და კარი,
ამათ შორის ქვეყანანი და ციხენი, არტანუჯი და უდაბნონი
ათორმეტნი კლარჯეთისანი, და დიდებულნი აზნაურნი, და
მონასტერნი, – ყოველნი მას აქვნდეს და ხარაჯას მისცემ-
და ყაზანსა და ლაშქრითა შეეწეოდა.“ /ჟამთააღმწერელი/.

მეფე დემეტრე თავდადებულმა რომელმაც წინასწარ
იცოდა, რომ მონღოლები სიკვდილით დასჯიდნენ, ურდოში
წასვლის წინ შვილები საიმედო სიმაგრეებში გახიზნა – ზო-
გი მთიულეთში, ზოგი კახეთში, „ხოლო ყრმა მცირე გიორ-
გი წარგზავნა ტაოს, იშხანის ციხესა, ასპარაშენს და თვით
წავიდა ურდოსა.“ უფროს შვილთან დავითთან ერთად.

მეთოთხმეტე საუკუნეში თურქებმა ისარგებლეს რა
მონღოლთა ბატონობის შედეგად საქართველოს სამეფო
ხელისუფლების შესუსტებით, განაახლეს საქართველოს
მიწა-წყლის რბევა. მაშინ აზატ-მოსე 70 ათასი მეომრით
მოულოდნელად შემოიჭრა საქართველოს საზღვრებში და
სასტიკად ააოხრა ტაო: „ესე აზატ-მოსე წამოვიდა ყოველ-
თა ძალითა მისითა მოოხრებად ყოვლისა საქართველოსა.
და ვითარ მოიწია ბასიანს და ტაოს, იწყო მძვინვარედ ოხ-
რება, ხოცა დაკლვა. ესოდენ სული მოისრა და ტყვე იქმ-
ნა, ვითარმედ შეუძლებელ არს მოთხრობა, ვითარ ბერნი,
ყრმანი და ჭაბუკნი უწყალოდ მოისრვოდეს, და ჩჩვილთა
ყრმათა დედისა ძუძუთა შინა მოჰკვლიდიან. რამეთუ არა
ჰგონებდეს თურქთა გამოჩენასა, ამისთვის ყოველი სოფე-
ლი ტაოსა შეუძრავად დახვდა და ვერა-სადა-ვინ ივლტო-

და. ამისთვის ურიცხვნი მოისრნეს. და ესეზომ მოოხრდა ტაო, რომელ ვაშლოვანით წარსრულნი თურქნი შთავიდეს მურღულს და ნიგალისხევს უვალთა ადგილთა, რომელნი მოისრნეს ხერხემელის ძეთა აზნაურთა. მაშინ ერისთავი ტაოსა თაყა ფანასკერტელი უღონო იყო სიმცირისათვის ლაშქრისა, გარნა ეგრეცა მცირე წყობა ყო ციხისა თორთომის ძირსა და დიდად ავნო, გარნა სიდიდისათვის თურქთასა ქვეყანით მისით ვერ განასხნა. არამედ თურქნი უმეტეს განძვინეს და მოაოხრებდეს ტაოსა.“ /ჟამთააღმწერელი/.

ბექა მანდატურთუხუცესი გაემართა ლაშქრით მტრის დასახვედრად, მაგრამ „ვითარ მოიწია ტაოს და ბასიანად, ესმა. ვითარმე თურქნი წარვიდეს საზამთროსა სადგურსა მათსა და ვერ ესწრა. შეწუხდა ბექა მოოხრებისათვის ტაოსა, გარნა შეიქცა სახლად თვისა.“ ბექამ შეკრიბა სამცხის ყველა დიდებული და სიტყვით მიმართა: დიდმა დავით აღმაშენებელმა განდევნა თურქნი და დღემდე ისინი საქართველოში აღარ გამოჩენილან. ახლა ტაო მოაოხრეს, ურიცხვი ქართველი დახოცეს და ტყვედ წაასხეს, ეკლესიანი დასცეს და სიწმინდენი შეაგინეს. მეფე უღონოა მონღოლთა მძლავრობისაგან. საქართველოს მოთავე დიდებულებიც განდგომილი არიან და თურქებისათვის წინააღმდეგობის გამწევი აღარავინ არის. ჩვენ უნდა დავიცვათ საქართველო. „შევკრბეთ ყოველთა ძალითა ჩვენითა და მივმართოთ თურქთა და არა მივსცნეთ თავნი და შვილნი ჩვენნი.“ მომდევნო ზაფხულს აზატ-მოსე 60 ათასი მოლაშქრით კვლავ შემოესია საქართველოს. მას განზრახული ჰქონდა სამცხის, ქართლისა და სომხითის აკლება. ბექამ შეკრიბა ტაშისკარიდან ბასიანამდე „მესხთა, შავშთა, კლარჯთა, კოლა-არტან-კანიფორელთა, და უმრავლესთა ტაოელთა, ... თმოგველთა და თორელთაგან“

12 ათასი მხედარი და მტერს ტაოში დახვდა. ბექასა და მისი შვილის სარგისის სარდლობით ქართველებმა მტერი გაანადგურეს. ბექა მანდატურთუხუცესმა ასე იხსნა საქართველო თურქთა თარეშისაგან და დიდი ხნით დაუკარგა მათ საქართველოზე თავდასხმის ხალისი. აზატ-მოსეს დამარცხებისათვის ბექას „მოსცა ყაენმან ყაზან კარი და მიმდგომი ქვეყანა.“ სარგის ჯაყელის დანაკარგი ასე დაიბრუნა ბექამ. საქართველოს ბექამ დიდი ამაგი დასდო იმითაც, რომ თავისი შვილიშვილი გიორგი ბრწყინვალე აღზარდა, სამეფოდ გაწვრთნა და უზრუნველყო მისი გამეფება. ხოლო გიორგი ბრწყინვალემ ბოლო მოუღო მონღოლთა ასწლიან ბატონობას საქართველოში.

ტაო იყო სამშობლო არაერთი დიდი საერო და საეკლესიო მოღვაწისა. საკმარისია ითქვას, რომ ბაგრატიონთა სამეფო დინასტია თავიდანვე ორ ძირითად შტოდ ჩამოყალიბდა – ტაოსა და კლარჯეთის ბაგრატიონებად; კლარჯეთის შტო XI საუკუნეში შეწყდა, ერთიანი საქართველოს მეფეები კი სწორედ ტაო შტოს ეკუთვნოდნენ. მისი ფუძემდებელი იყო ტაოკლარჯეთის მეფე აშოტ დიდი.

ერთი სიტყვით, ტაო ერთიანი ქართული სახელმწიფოს ცხოვრების აქტიური და ღირსეული მონაწილე იყო მუდამ, ვიდრე თურქებმა არ წაგლიჯეს სამცხის დიდ ნაწილთან ერთად დედასაქართველოს.

რას ნიშნავს სახელწოდება ტაო?

სულხან-საბა ორბელიანი ამ სიტყვის მნიშვნელობას ასე განმარტავს: ტაო – ქუნთის გრძელი ხაო. ქუნთი – ბოჭკოიანი ქსოვილი, მატყლისაგან ბოჭკოიანად ქსოვილი.

დავით ჩუბინაშვილის განმარტებით ტაო არის ქუნთის

გრძელი ხაო, ბოჭკო. ხოლო ქუნთა ბოჭკოიანი საფენია, გრძელბეწვიანი ნოხია. ესე იგი ტაო ყოფილა უხეში მატყლისაგან ნაქსოვი საფენის, ნოხის, ფიანდაზის ზედაპირი.

სიტყვა ტაო ხალხურ მეტყველებაში დღესაც ცოცხალია.

ერთხელ კახეთში ასეთ საუბარს შევესწარი. ერთი ჭაბუკი ირგვლივ შემოკრებილებს უამბობდა: სანადიროდ ვიყავი წასული. ტყეში უცებ დათვი შემომეყარა. გაშეშებულნი ვუმზერდით ერთმანეთს, მერე დათვი მიბრუნდა და ტყეში გაუჩინარდა. მე კი შიშისაგან დაზაფრულს ტანზე სულ ტაო დამაყარაო. თან მოშიშვლებულ მკლავზე ხელი გადაისვა იმის საჩვენებლად, თუ როგორ დააყარა ტანზე ეკალი (ბუსუსები, ხორკლი) და ბალანი ყალყზე წაუვიდა შიშისაგან.

ალ. ღლონტის ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონის ცნობით ეს სიტყვა ამავე მნიშვნელობით იხმარება ქიზიყშიც და ქართლშიც: „ტაო /ქიზიყ. ქსნის ხეობ./ სიცივისაგან აშლილი ბალანი სახეზე /ს. მენთეშ./; ბალანი. „ტაო აიყარა, აიბურძგა“ /ვ. სომხიშვ./.“ /ალ. ღლონტი. ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა. თბ. „განათლება“. 1984. გვ. 507/.

ძველი წერილობითი წყაროები უხვად გვაწვდიან ცნობებს ტაო-კლარჯეთის ბუნების შესახებ. გრიგოლ ხანძთელი აფხაზეთის მეფესთან საუბარში აქაურობას ასე აღწერს: „ბუნებით ერთგვამ არს ქვეყანაი უდაბნოთაი მათ და კეთილად შეზავებულ მზისაგან და ჰაერისა. რამეთუ არცა ფრიადი სიცხეი შესწვავს მათ და არცა გარდარეული სიცივე შეაურვებს მყოფთა მისთა. არამედ განწესებით დგას თვისსა საზღვარსა უნოტიოი, უხორშაკოი, უმიწოი, მზვარეი. რამეთუ კაცთა ნახჭნი ფერხთანი არაოდეს თიხიან ექმნებიან სლვასა მათსა. ხოლო წყალი კეთილი და შეშაი ნებისაებრ უნაკლულოდ აქვს აღმოცენებული ქვიშათა მათ

შინა, ურიცხვი მაღნარი და სიმრავლე წყალთა ჰამოთაი. ბუნებით მხიარულებაი მიცემულ არს ღმრთისაგან. და არს იგი უგზო და მიუვალ რაითურთით სოფლისა წესითა მცხოვრებელთაგან, რამეთუ ღადოთა მთათა შინა მაღალთა არს მკვიდრობაი მათი... და ესრეთ ყოვლითა კერძო შეზღუდვილ არიან მთათა მიერ და ხევნებისა და წყალთა მათგან საშინელად ძნელოვანთა ადგილთა მავალთაისა. და მონასტერთა მათ შინა არა არს სათიბელი ქვეყანაი, არცა ყანაი სახნავი, არამედ დიდითა შრომითა როჭიკისა მისვლაი აქვს კარაულისა ზურგითა. და მცირედ ვენახნი ჭირით და ურვით დაუნერგვან და ეგრეთვე მტილები“. იმდენად ღადა-ღუდეებიანი, ტყით დაფარული ხშირი მწვერვალებიანი, უფსკრულებიანი, ღრმა ხევებიანი და უგზო ადგილები ყოფილა, რომ ბერებს საზრდო დიდი წვალებით, სახედრებით ძლივს აჰქონდათ თურმე მონასტრებში. არსად იყო სახნავ-სათიბი, ხოლო პაწაწინა ბაღ-ვენახები ბერებს დიდი გაჭირვებით გაეშენებიათ. მონასტრების ასაგებად ადგილს უმძიმესი შრომით ხელოვნურად ავაკებდნენ ფიცხელ კლდეებზე, ხოლო საშენი მასალა შორიდან ზურგით ამოჰქონდათ: „ხოლო ქვაი და კირი ფრიად შორით მოაქვნდა ძნელთა მათ გზათა კაცთა ზურგითა. და ყოველი სასწორითა იწონებოდა, რამეთუ იყიდდეს მაშენებელნი იგი.“

სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში /რომელიც აღმოსცენდა ქვეყანასა კლარჯეთისასა/ ტაო-კლარჯეთისა და სამცხის სანახები ასეა აღწერილი: „უდაბნო იყო და შეცვულ ტყეთა და ხევთა.“; „მოვიდეს ... ადგილთა ყოვლად ტყეთა და უვალთა კაცთა მიერ“; „და მიმო-რაი-ვიდოდა ჭირით და შრომით ადგილთა მათ იწროთა“; „უვალობისა და სიხშოისა ტყეთაისა“; „ყოვლითურთ უქმ და უღვაწ არს

ადგილი ესე"; „მთაი ესე მაღალ არს ... და უვალ არს კაცთა და პირუტყვთაგან სიმაღლისათვის მისისა".

მონღოლთა დიდი ყაენის აბაღას დამხობა განიზრახეს თურანისა და დიდი თურქეთის ყაენებმა თეგუდარმა და მისმა ძმამ ბარახამ. შეთქმულება გამჟღავნდა, აბაღამ დაასწრო, გაერთიანება აღარ აცალა და თეგუდარს ბრძოლა გაუმართა ტაო-კლარჯეთის მიდამოებში – ოპიზასა და მიძნაძორს შუა. აბაღას სარდალმა სირმონ ნოინმა თეგუდარი ყველის მთასთან დაამარცხა. თეგუდარი „ივლტოდა დედაწულითა მიერ მთასა ღადოსასა, ჯნალის თავსა. და მიუდგა უკანა სირმონ, ხოლო თეგუდარ დაუდგა სიმაგრესა მთისასა მინდობილი. და კვალად იქმნა ომი ძლიერი ორ დღეს. და ვითარ მისჭირდა თეგუდარს, ივლტოდა უცნაურად, რომელიმე აჭარით და რომელიმე ნიგალისხევით, რომელი ყოვლად უვალ იყო კაცთაგან დ არა დასაჯერებელ არს კაცთაგან, უკეთუ ვისმე ეხილნეს მთანი იგი, რომელ წარვლეს, რამეთუ ყოვლად შესაძრწუნებელ არს სვლა კაცისა, არა თუ ცხენისა, – პირველ სიმყაფრითა და მერმე ტყისა სიხშირითა და შქერთა და ეკალთა, რომელსა ბურწუმალ ეწოდების, განრთხმული ბრძღვამლითა, რომელი ნადირთაგანცა უვალ იყო ადგილი, რომელი შთავლეს." /ჟამთააღმწერელი. „ქართული პროზა". ტ. 3, გვ. 371/. ესეიგი ფრიალო, უფსკრულებიანი, დაქანებულ-კალთებიანი მთები ხშირი ტყეებით, შქერით და ბრწამლით /ეკალღიჭით, შაშვიპურას ბარდებით/ იმდენად გაუვალი იყო, რომ ადამიანი კი არა, ნადირიც კი ვერ გაძვრებოდაო.

სამცხის ბუნებას ასე აღწერს ვახუშტი ბატონიშვილი: „ხოლო არს ქვეყანა ესე ფრიად მრავალ და დიდროვან მთიანი, კლდიანი, ხევიანი, ღრატოიანი, შამბ-შროშნიანი, მდინარიან-წყაროიან-ტბიანი, და მცირედ ველოვანი. ზამ-

თარ ადგილ-ადგილ ცივი და დიდთოვლიანი და ადგილ-ადგილ ფრიად თბილი, ზაფხულს შეზავებული, რამეთუ აქვს მთანი და აგარაკნი ფრიად ახლოს, ხოლო ადგილს ფრიად ცხელი და გაუძლისი, თვინიერ აგარაკთა. ჰავით – მშვენი და კეთილი, არამედ ზღვისკიდეთა არა ეგრეთი. ნაყოფიერებს ქვეყანა ესე ყოვლითა მარცვლითა და არა ყოველგან...“/ აღწერა სამეფოსა საქართველოსა. „ქართული მწერლობა“, ტ. 8, გვ. 83/,. ბატონიშვილის აზრით ჭანეთის სახელწოდება, მაგალითად, ბუნებრივი პირობებით, მაღალი მთებით, კლდოვანი უფსკრულებით, ღრანტე ხევებით და უღრანი ტყეებით უნდა აიხსნეს: „არამედ უცნობელ არს, რით ეწოდა სახელი ესე. გარნა საგონებელ არს ღვლარჭნილთა და კლდოვან ღრატო-ღრიღოვანებისა მიერ და მაღალთა მთათაგან, რამეთუ მთაბარი ახლორებს ესრეთ, ჟამისა ანუ ნახევარ ჟამისა სავალსა არს თოვლი და ბართა – ნარინჯი, თურინჯი, ზეთისხილნი და ყოველნი ნაყოფნი.“/იქვე, გვ. 81/. ასეთი კონტრასტებით არის აღსავსე ტაო-კლარჯეთი – ცივი, თოვლიანი მთები, ალპური ზონა და სუბტროპიკული ბარი ნახევარი საათის სავალზეა ერთმანეთისაგან. ზოგან საამო ჰაერი და უგემრიელესი წყაროა, ზოგან ცხელი და ხორშაკი ადგილი, ზოგან მკაცრი და თოვლიანი მთები, ზოგან სუბტროპიკული ჰავა ციტრუსებითა და ზეთისხილით, ხოლო უმთავრესი კი ის არის, რომ აქაურობის უმეტესობა ფრიალო მწვერვალებით, ღრანტე უფსკრულებით, ღადა-ღუდეებით, ეკალბარდებით გახლართული უღრანი ტყეებით არის აღსავსე, ადამიანთაგან უვალ-უშენია და ბევრგან ნადირსაც კი უჭირს გავლა. ხოლო ტაო ამათგან ბუნების სიმკაცრით და უდაბურობით ყველაზე აღმატებულია, იმდენად, რომ ჩვენმა წინაპრებმა გაუვალი ტყეებით აჯაგრული, უსიე-

რი მწვერვალებით აღსავსე მისი მიდამოები ფიანდაზის გრძელი ხაოთი დაფარულ ზედაპირს, ანდა სიცივისაგან ადამიანის ხორკლებდაყრილ, ბალანაშლილ, აბურძგნულ სხეულს შეადარეს და ამიტომ უწოდეს ტაო.

ბუნებრივი პირობებით, მკაცრი გარემოთი უნდა აიხსნეს საქართველოს მეორე ისტორიული მხარის – თუშეთის სახელწოდების შინაარსიც. ძველ ისტორიულ წყაროებში მას თოშეთი ეწოდება. „მოქცევაი ქართლისაი“ მაგ. მოგვითხრობს, რომ როდესაც წმ. ნინო მღვდლითურთ და „ერისთავი ერთი წარვიდა და დადგა წობენს და მოუწოდა მთეულთა და წილკანელთა, ჭართალელთა და ფხოელთა და უქადაგა სარწმუნოებაი ქრისტეისი, ... მათ განუყარეს თავი. და ერისთავმან მცირედ წარმართა მახვილი და შიშით მოსცნეს კერპნი მათნი დალეწად. და გარდავიდა ერწუდ და დადგა ჟალეთს დაბასა ედომს და ნათელს-სცა ერწუ-თიანელთა. ხოლო ყუარელთა რაი ესმა ესე შეშინდეს და თოშეთს გადაკრბეს“-ო. /ივ. ჯავახიშვილი. თხზ. ტ. I. გვ. 272. თბ. 1979 წ. /. ე. ი. მთის მოსახლეობის ნაწილი ძალით მოუქცევიათ ახალ სარწმუნოებაზე, ნაწილი კი არ დამორჩილდა, ერთიანად აიყარა და მიუვალ ადგილებში გაიხიზნა, სადაც მეფის რისხვა და ძალაუფლება ვერ მისწვდებოდა. ასეთ ადგილად ხალხს თუშეთი ჩაუთვლია. როგორც ჩანს, თუშეთი მაშინაც უბატონო თემი იყო, მეფისა და ერისთავის ძალაუფლებას არ ემორჩილებოდა.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის თანახმად, თოში ყინულია, რომელიც მდინარეს მოაქვს გაზაფხულზე. აქედან: გათოშილი – გაყინული, გაფიჩხული, გაციებული. თოშეთი ამ მხარეს ეწოდა იმის გამო, რომ მაღალმთიანია, ძალზე ცივი და საცხოვრებლად ძნელი ადგილი იყო. იქ ხალხი მხოლოდ ნებაყოფლობით სახლდებოდა,

ანდა მებატონისაგან გაქცეული აფარებდა თავს. მეფის ხელისუფლებაც წახალისების მიზნით ხალხის აქ დასახლებას იმით უწყობდა ხელს, რომ ომში მონაწილეობისა და ქვეყნის მაღალმთიანი საზღვრების დაცვის გარდა სხვა არაფრით აწუხებდა. თუშეთი მუდამ ხელისუფლებისაგან თავისუფალ, უბატონო მხარედ ითვლებოდა. ასე იყო ხევსურეთშიც, სვანეთშიც – სწორედ მკაცრი საცხოვრებელი პირობების გამო. ხელისუფლება ამას აკეთებდა ხალხის იქ დამაგრების მიზნით. მკაცრი ჰავის გამო თუშეთს ზოგჯერ საქართველოს „ციმბირსაც“ უწოდებენ ხოლმე.

გამომდინარე აქედან, თოშეთის სახელწოდების თავდაპირველი, სწორი ფორმაა თოშეთი და იგი მკაცრი ჰავის ქვეყანას ნიშნავდა. დროთა მანძილზე სიტყვამ ფონეტიკური ცვლილება განიცადა და თოშეთის ნაცვლად ხმარებაში დამკვიდრდა თუშეთი.

2002 წ.

ახალი ცნობები გარისის შესახებ

ქართველ ერის დამოუკიდებლობისათვის უთანასწორო ბრძოლაში საპატიო ადგილი დაიმკვიდრა ქვემო ქართლის ერთმა პატარა სოფელმაც, რომელიც ისტორიაში ცნობილია გარისის სახელწოდებით. ყიზილბაშთაგან არაერთხელ დალაშქრული ქართლი დანებებას არ აპირებდა. იგი მთელ საქართველოში ერთადერთი კიდევ იქნევდა ხმალს და ქვეყნის მთლიანად დაპყრობა-გამაჰმადიანების გეგმას ფუშავდა. 1558 წელს შაჰ-თამაზმა დიდი ლაშქარი გამოგზავნა ქართლის დასაჩოქებლად. ქართლის მცირერიცხოვანმა მხედრობამ სიმონ ბატონიშვილის სარდლობით სოფელ გარისთან მტერი სასტიკად დაამარცხა. ათასი ქართველი და რვა ათასი ყიზილბაში – ასეთი იყო ბრძოლაში დაცემულთა თანაფარდობა. გარისის ომში გმირულად აღესრულა დიდი მამულიშვილი, ქართული საქმისათვის დაუცხრომელ ბრძოლებში მოხუცებული და მითრიდატესავით შეუპოვარი მეფე ლუარსაბ პირველი. სწორედ აქ ჩასაფრებოდა ვერაგი სიკვდილი უშიშარ და ქედუხრელ მეფეს, რომელსაც ირან-ოსმალეთი 60 წელიწადს ამაოდ ებრძოდა და მის მორჩილებას ან სიკვდილს ნატრობდა. მადლიერმა ერმა გმირი მამულიშვილი წმინდანთა სიაში ჩარიცხა და ლუარსაბ დიდი უწოდა იმიტომ, რომ იგი მართლაც დიდი სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე იყო თავისი ნიჭით, სიმხნით, საქმეებით, გულითა და გონებით. ლუარსაბის ღვაწლს ასე აღნიშნავს „ქართლის ცხოვრება“:

„მეფემან ლუარსაბ ჟამსა თუისსა არცა ჰმონა ყაენსა და არცა ხონთქარსა ამისათვის, რომე თუცა დამორჩილებოდა, სხუანი ყოველნი მონობდენ და, თუცა ესეცა დამორჩი-

ლებოდა, ქუეყანა გათათრდებოდა და სახარკოს შეიქმნებოდა; ამისთუის მრავალჯერ ამოსწყუიტა ხუანთქრისა და ყაენის ჯარი მეფემან.“*[1]

„და მიიცვალა მეფე ლუარსაბ მოწამე, მსგავსი ვახტანგ გორგასალისა. უკეთუმცა მეფესა ლუარსაბ ესოდენი ბრძოლა არ ექმნა, ახლამცა საქართველო ქმნილიყო სრულ სარკინოზ.“*[2]

მეცნიერებისათვის დიდხანს გაურკვეველი იყო, თუ სად მდებარეობდა სოფელი გარისი.

„ახალი ქართლის ცხოვრების“ მესამე ტექსტში გარისის ადგილმდებარეობის შესახებ ასეთი მინიშნებაა: „რა ეს შეიტყო, მეფე ლუარსაბ გორითგან გარის ვარხუნას მივიდა, იქითგან შავერდი სულთან წამოვიდა და მოვიდა ქართლად... და რა სულთან შავერდი რაზმწყობით მოახლოვდა, და არა ინება მეფემან ომი მინდორსა ზედა, და ჩავიდა გარისს, და უთავა ქართველთა უხუცესი ძე თვისი სვიმონ.“*[3]

მაშასადამე, მეფე ლუარსაბი გორიდან მოკლე გზით სწრაფად გადმოსულა და მტერს გარის-ვარხუნოს მიდამოებში, სოფელ ვარხუნოსთან დახვედრია. ვარხუნოს ფართო მინდორი მტრისათვის ხელსაყრელი აღმოჩნდა მრავალრიცხოვანი ჯარის მანევრირებისათვის, ამიტომ სულთანი ქართველებზე ფართო საბრძოლო ფრონტით, „რაზმწყობით“ წამოსულა. მეფე ლუარსაბს გაუთვალისწინებია ქართული ლაშქრის სიმცირე, ვარხუნოს ტრიალი მინდორი მიუტოვებია და უკან დაუხევია, რომ ვიწროებში შეტყუებით ურიცხვი მტრისათვის არ მიეცა ძალების მანევრირე-

* 1. „ქართლის ცხოვრება“ ტ. II თბ. 1959 გვ. 363
*2. იქვე გვ. 366
*3. „ქართლის ცხოვრება“ ტ. II თბ. გვ. 508-509

ბის, ერთდროულად გამოყენების საშუალება და ადვილად გამკლავებოდა. ასეთ ადგილად მას გარისის მიდამოები მიუჩნევია. ტექსტიდანვე ირკვევა, რომ ვარხუნო მაღლობზე, ხოლო გარისი მასზე დაბლა, მის ქვემოთ, ტყიან ტაფობში ყოფილა განლაგებული. ისტორიკოსი ასეთი გეოგრაფიული სხვაობის შესახებ აშკარად ამბობს, რომ მეფემან არ ინება ომი მინდორსა ზედა და ჩავიდა გარისს, „ჩა“ ზმნის წინ ქართულ ენაში ხომ მოქმედების მხოლოდ ზევიდან ქვემოთ, მაღლიდან დაბლა მიმართულებას აღნიშნავს.

ვახუშტი ბაგრატიონის ცნობების თანახმად ვარხუნოს სახელწოდებით ქვემო ქართლში, საბარათაშვილოში მხოლოდ ერთი სოფელი არსებობდა. იგი მართლაც მაღლობზე, ბედნის მთის სამხრეთ უტყეო კალთაზე მდებარეობს და ზევიდან გადმოჰყურებს ქალაქ თეთრიწყაროს. ვარხუნოსთან უშუალოდ ყველაზე ახლოს ერთადერთი დაბლობი, ტყიანი და ვიწრო ტაფობი არსებობს, სადაც კი ვარხუნოდან სასწრაფოდ ჩასვლა შეიძლება. ეს არის დღევანდელი თეთრიწყაროს აღმოსავლეთის მხარე. იგი დღესაც ბორცვებითა და ტყიანი ხეობებით არის დაქსელილი. გარდა ასეთი რელიეფისა, მას სამხედრო ხელოვნების თვალსაზრისით ის უპირატესობაც აქვს, რომ მის სამხრეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით ძალიან ახლოს მდებარეობს უძლიერესი ციხესიმაგრეები სამშვილდე და ბირთვისი. ბუნებრივია, რომ მეფე ლუარსაბი, რომელმაც თავი აარიდა ვარხუნოს ტრიალ მინდორს და დაბლობში ჩამოვიდა, არ დაიხევდა სამხრეთ-დასავლეთისაკენ – მდინარე ჭივჭავისა და თორნისწყლის /ირაგის/ მიმართულებით, სადაც ვარხუნოზე არანაკლები გაშლილი ადგილებია და ზურგსუკან კი არავითარი ციხესიმაგრე. მეფეს რომ აქეთ დაეხია, მტრის მიერ სამშვილდისა და ბირთვისისაგან მოწყვეტილი

აღმოჩნდებოდა. ცხადია მან ეს გაითვალისწინა და დაიხია სწორედ სამშვილდისა და ბირთვისის მიმართულებით, რათა უკიდურეს შემთხვევაში ციხეებში გამაგრების საშუალება ჰქონოდა. ზუსტად აქ იყრიდა თავს გორიდან ვარხუნოზე გადმომავალი და ბირთვისისა და სამშვილდისაკენ მომავალი გზები.

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა ვარლამ გონგაძემ აღმოაჩინა ამ ტერიტორიების რუკა, რომელიც შედგენილია 1847 წელს რუსეთის სამხედრო უწყებისათვის მანანა ორბელიანის მიერ მამულების მიყიდვასთან დაკავშირებით. ვ. გონგაძემ დაადგინა, რომ სოფელი გარისი მდებარეობდა ზუსტად იქ, სადაც დღეს ქალაქი თეთრიწყაროა. მისი დასკვნით, პირველმოსახლე რუსები გარისის ნანგრევებზე დაბანაკდნენ და სათავე დაუდეს ახალ დასახლებას, რომელსაც უწოდეს არა კანონიერი ისტორიული სახელი, არამედ კირქვიან ქანებში ჩამომდინარე თეთრი ფერის წყაროს სახელი – „ბელი კლუჩი“ – თეთრიწყარო.*[4]

რას ნიშნავს ამ სოფლის სახელწოდება გარისი? მკვლევართა ნაწილი ვარაუდობდა, რომ იგი უნდა აღნიშნავდეს გარე ციხეს, მსგავსად იმისა, როგორც, მაგალითად, თბილისისაკენ მოყოლებული ამ მაგისტრალზე ფარცხისი იყო ფარი ციხე, ხოლო ბირთვისი დედა ციხე, ბირთვი ციხე თბილისის დაცვაში. მაგრამ ამ ვარაუდის მომხრენი წინააღმდეგობაში ვარდებიან, რადგან იმასაც აღიარებენ, რომ გარისის ტერიტორიას არა აქვს საქართველოს ციხესიმაგრეებისათვის დამახასიათებელი მიუვალი ბუნებრივი მდებარეობა.

ვინც კი დაინტერესებულა და თვალი გადაუვლია ქვემო

* 4. იხ. ვ. გონგაძე, თეთრიწყარო. მისი ახლო წარსული და აწყმო თბ. 1959წ.

ქართლის სოფლების შესახებ არსებული ძველი აღწერებისა და სიგელ-გუჯრებისათვის, უდავოდ დარწმუნდებოდა, რომ მათში ერთი და იგივე სოფლის სახელი სხვადასხვანაირად არის მოხსენებული და ხშირად ძნელია იმის დადგენა, თუ რომელი მათგანია სწორი. გარისის სახელწოდებაზე მსჯელობისას ეს გარემოება მხედველობაშია მისაღები. ვახუშტი ბატონიშვილი ყველგან წერს ასე – „გარისი“ ასევე წერია „ქართლის ცხოვრებაშიც“ და, აქედან გამომდინარე, თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაშიც საბოლოოდ დამკვიდრდა „გარისი“. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა 1699 წლის 26 მაისის სიგელ-გუჯარი, რომლითაც ქართლის კათალიკოსი იოვანე (დიასამიძე) უმტკიცებს მანგლისის ეპისკოპოსს გაბრიელ ჯავახიშვილს სამწყოსს: „რაც პატრონის აბაშისა და დავითის კერძო მამული არის აზნაურშვილი და გლეხნი მთასა ანუ ბარსა უკლებლად კიდევე მას ზედა მოგიმატეთ ალგეთს გაღმართი გაგისამზღვრეთ ვაკე ღრისთავი გუდარეხი ცოვრეთი გორისი ვარხოვნა კრეფა ლიპნი უგუდეთი გოგას გვერდი და ახალ დაბა და მას ზედათი ქციასა და ალგეთს შუა მიტანებით მანგლისის გარემოში ორი ოძისი და კველთა კიდევე თქვენ და დმანელს სამწყსოზედ სარჩელი შაგქონდათ და ბატონიშვილს კათალიკოზს გაესამზღვრა და გაერიგებინა და ჩვენც იმავე წესით დავამტკიცეთ რომელიც ბატონიშვილს კათალიკოზს გაერიგებინა. ეს ასრე გაგითავდეს და არა მოგეშალოს არა ხელმწიფეთა და დედოფალთაგან და არა შემდგომად ჩვენს კათალიკოზთა და ეფისკოპოზთაგან“.

ჩვენთვის ამჟამად საინტერესოა ფორმები სოფლებისა „ღრისთავი“ და „გორისი“.

ამ საბუთით ქართლის კათალიკოსი, იმ დროისათვის

ჯეროვნად განსწავლული და განათლებული პიროვნება, სამუდამო მფლობელობაში უმტკიცებს მაღალი რანგის სასულიერო ქვეშევრდომს – ეპისკოპოსს ადგილ-მამულს დასახლებული პუნქტებისა და საზღვრების მითითებით. ტექსტიდანვე ჩანს, რომ ამ სოფლებიდან ზოგიერთზე ხშირად ჰქონიათ დავა მანგლელ და დმანელ ეპისკოპოსებს, რის გამოც ქართლის კათალიკოსები იძულებული ყოფილან, არაერთხელ განეახლებინათ ძველი სიგელ-გუჯარი და ხელახლა დაემტკიცებინათ მანგლელთა საადგილმამულო უფლებანი. ყოვლად წარმოუდგენელია, რომ კათალიკოსს არ სცოდნოდა თავის სამწყსოში არსებული რომელიმე გეოგრაფიული პუნქტის ზუსტი სახელწოდება, ანდა დასაშვებად მიეჩნია მათი მცდარად ჩაწერა ასეთ საბუთში. „ჩვენც იმავე წესით დავამტკიცეთ, რომელიც ბატონიშვილს კათალიკოზს გაერიგებინა“ იმას ნიშნავს, რომ სიგელი განახლებულია, გადაწერილია ძველი სიგელიდან და მასში დასახლებული პუნქტები წერია უცვლელად, ისეთივე ფორმით, როგორც ძველ სიგელებში იყო.

ამიტომ საფიქრებელია, რომ ამ სიგელში აღნიშნული სახელწოდებანი სოფლებისა „ღრისთავი“ და „გორისი“ უძველესი და ნამდვილად სწორი, დაუმახინჯებელი ფორმით უნდა იყოს ჩაწერილი. ალგეთს გაღმა სოფლების ადგილმდებარეობანი დღესაც ცნობილია, რადგან სოფლებსაც და ნასოფლარებსაც ძველი სახელები აქვთ შერჩენილი. სიგელში ისინი ჩამოთვლილია აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ განლაგების, ზუსტი თანმიმდევრობის მიხედვით: ვაკე, ღრისთავი, გუდარეხი, ცოვრეთი, გორისი, ვარხოვნა, კრეფა, ლიპნი... სიგელის მიხედვით გორისი იგულისმება ცოვრეთის /დღევანდელი ქსოვრეთი/ დასავლეთით და ვარხოვნას /ამჟამად ვარხუნო/ აღმოსავლეთით, მათ

მეზობლად, მათ შუა. „ქართლის ცხოვრების“ ცნობით კი იგი ვარხუნოსთან ახლოს მდებარეობდა. ექვთიმე თაყაიშვილის აზრით, გარისის მეორე სახელი იყო ორთაშუა. შესაძლებელია, ორთაშუა იმიტომ ეწოდა, რომ იგი მდებარეობდა მდინარე ხრამისა და მისი შენაკადის ალგეთს შუა, ორივედან ზუსტად ერთნაირ მანძილზეო. ეს მოსაზრება მცდარია.

როსტომ მეფის 1656 წლის 6 ივნისის სიგელიდან ირკვევა, რომ გარისის მებატონეები სარქისაშვილები მამულებს ედავებოდნენ სოფელ ორთაშუას მებატონეებს ბლორძელებს. სარქისაშვილებმა მეფესთან იჩივლეს – აქამდე არ ვიცოდით და ეხლა ერთმა კაცმა გვიამბო , რომ ეს მიწები ორთაშუისა არ არის, გარისისა ყოფილაო. როსტომ მეფის ბრძანებით საქმე გაარჩიეს მეფის მდივანბეგმა როინ ჯავახიშვილმა და მდივანბეგმა ბირთველ თუმანიშვილმა. დაჰკითხეს მემამულენი ბარათაშვილები, ასლამაზ ჩაჩიკაშვილი, პაპუნა არეშიშვილი, ბარათა ბარათაშვილის აზნაურები მამუკა და მისი ძმები, მოხუცი გლეხები. ყველამ ფიცით დაადასტურა, რომ სადავო მიწები მუდამ ორთაშუელებისა იყო და გარისელებისაგან ცილობა არ გაგვიგონიაო. განაჩენში, რომელიც მეფემ დაადასტურა წერია: „ალაგიცა და მიწაც ორთაშუის არის და გლეხნიც თავისი დაუსახლებიათ. დარჩა მამუკა ბლორძელსა, გიორგის, ოტიას და გულბაათს ამ წესითა, რაიმე ვერავინ ესარჩლოს.“ /ხელნ. ინსტ. დ 14657/. ამ საბუთიდანაც დასტურდება, რომ ორთაშუა და გარისი სხვადასხვა სოფლებია, ისინი უშუალოდ ერთმანეთის მეზობლები, მომიჯნავენი ყოფილან და სახნავ-სათესი მამულები გვერდიგვერდ ჰქონიათ. ნასოფლარი ორთაშუა დღესაც ცნობილია: ქალაქ თეთრიწყაროს აღმოსავლეთით 1-1,5 კილომეტრის

დაშორებით, გმირთანაკვეთისა და მაწევნის ქედებს შუა – ორ მთას შუა მდებარეობს და მისი სახელიც ორთაშუა აქედან წარმოსდგა. ორთაშუა ქსოვრეთსა და ვარხუნოს გვერდით მდებარეობს, ქსოვრეთის დასავლეთით, ვარხუნოს აღმოსავლეთით. გორისი კი უნდა ყოფილიყო ორთაშუასა და ვარხუნოს შორის. /ორთაშუადან ვარხუნომდე დაახლოებით ორი კილომეტრია/. ორთაშუასა და ვარხუნოს შორის კი, ამ ორკილომეტრიან მონაკვეთზე, დღევანდელი თეთრიწყაროს აღმოსავლეთის უბანია, რაც კიდევ ერთხელ მიანიშნებს, რომ თეთრიწყაროს აღმოსავლეთის ნაწილი ნამდვილად გორისი იყო. კათალიკოს იოვანეს (დიასამიძის) სიგელის ტექსტი გამოქვეყნებულია ალ. ხახანაშვილის „გუჯრებში“, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ სიგელში ნახსენები სახელწოდება „გორისი“ შეცდომად მიუჩნევიათ და ჩაუსწორებიათ როგორც „გარისი“.*[5] იასე ლორთქიფანიძეს თავისი შრომისათვის „ქვემო ქართლი“ დამატებაში დართული აქვს სია სიგელ-გუჯრებისა განმარტებებით. აქ ფრჩხილებში აღნიშნულია თარიღი და სოფლების სახელწოდებანი ისე, როგორც დედანში, სიგელ-გუჯარშია მოხსენებული, ხოლო ფრჩხილებს გარეთ – იასე ლორთქიფანიძის მიერ შესწორებული.*[6] აქ მოხსენებულია 1699 წლის სიგელ-გუჯარიც. ფრჩხილებში მოცემულია სიგელ-გუჯარში აღნიშნული სახელწოდება „გორისი“, ხოლო ფრჩხილებს გარეთ წერია საყოველთაოდ გავრცელებული ფორმა „გარისი“. ამავე შრომის 269-ე გვერდზე ავტორი წერს: „შემდეგი სოფლების სახელები გადასხვაფერებულია, მაგრამ ისე, რომ ადვილად შეიძლება იმათი

* 5. ალ. ხახანაშვილი. გუჯრები. ქუთაისი 1891 გვ. 24

*6. იასე ლორთქიფანიძე. ქვემო ქართლი 1935 წ. გვ. 71-83

ერთი და იგივეობის გამოცნობა. მაგალითად: გარჯილა-გვარჯილა, ბოცხოეთი-ბოცოეთი, ბოცისჯვარი-ბორცვისჯვარი, გორისი-გარისი...“ და ა. შ. მკვლევარი მეცნიერული სიფრთხილის გამო ღიად ტოვებს საკითხს, თუ რომელია სწორი – გარისი თუ გორისი: „ერთი და იმავე სოფლების სახელწოდება სხვადასხვა წყაროებში ერთი და იგივე არაა. ხშირად თვით ერთ და იმავე ავტორს ერთს ნაშრომში ერთი სახელწოდება აქვს აღნიშნული, მეორეში სხვა. არის შემთხვევები, როცა ერთსა და იმავე თხზულებაშიაც სოფელს სხვადასხვა ადგილს სხვადასხვა სახელი აქვს ნაჩვენები. ჩვენი შრომის შემდეგი ნაწილების გასაგებად ჩვენ საჭიროდ დავინახეთ ერთგვარი ტრანსკრიპცია მიგველო. ნამდვილი სახელწოდების აღდგენა ჩვენ, რასაკვირველია, არ გვიკისრია. უმეტეს შემთხვევაში უპირატესობა მივაკუთვნეთ ვახუშტი ბატონიშვილის სოფლების სიას /720/.“*[7]

ქვემო ქართლის ძველი სოფლების სახელწოდებებს თუ დავუკვირდებით, აშკარად დავინახავთ, რომ უმეტესობა მათგანი წარმომდგარი არის სოფლის გეოგრაფიული ადგილმდებარეობიდან, ცხოველთა და მცენარეთა აქ გავრცელებული სახეობებიდან, სოფლის მეურნეობის ანდა ხელოსნობის აქ დაწინაურებული რომელიმე დარგიდან. ასეთებია სოფლები: ატამეთი, ახალშენი, ბალახაური, ბირთვისი, ბორცვისჯვარი, ბურვილი, გრძელი, გვიანა, გუდარეხი, დაბაღი, ერდო, უშვისწყარო, ვაჟთახევი, ვერხვნალა, ზვარეთი, თავმრგვალა, თხილნარა, კამარეთი, კარაქა, კატნარი, კოხტა, კრეფა, კუშტისუბანი, მთაწმინდა, მძოვრეთი, ნადარბაზევი, ორთაშუა, პაპისგორა, პირმიწეთი, სამაჩვეთი, ტურისუბანი, საღორისი, საყავრე, საწურბლე,

*7. იქვე გვ. 204

საქუდე, ტყემლარა, ფირჩხისი, ფუტრევანი, ღოლოვანი, ირაგა, ჩრდილისუბანი, წინვენახი, ჭაობი, ხეკორდი, ხორხები, ვაშლოვანი, შაშვეთი, კლდეისი, უკანგორი, დაღეთი, კიპრუჭი და მრავალი სხვა.

ასევეა ნაწარმოები კათალიკოს იოვანე (დიასამიძის) სიგელში ნახსენები სოფლის სახელი „ღრისთავი“, რომელსაც დღეს ხალხი ღორისთავს უწოდებს. სიგელში მოხსენებული სოფლები ვაკე, ღრისთავი, გუდარეხი მდებარეობენ გუდარეხის მონასტრის მახლობლად, გუდარეხის უღრანი ტყით დაბურულ ხეობაში. სოფელი ღრისთავი მათგან უშუალოდ ამ ხეობის თავზეა გაშენებული. ხეობას დარაჯად გადმოჰყურებს ზედ ქედზე აღმართული მაღალი საბრძოლო კოშკი. იგი სიპ ტინზეა დაშენებული და ექვსსართულიანია. სახურავი აქვს გადახდილი, თორემ ჟამთასიავეს მისთვის ვერაფერი დაუკლია. ჩვენი წინაპრები უღრანი ტყით დაფარულ ღრანტე ხეობას უწოდებდნენ ღრეს/ და დღესაც ასე ვუწოდებთ/, ხოლო მაღლობ ქედს, რომლითაც ეს ღრე ბოლოვდებოდა, ღრისთავი ერქვა. ბუნებრივია, რომ ამ კოშკთან, ღრისთავზე მდებარე სოფელს ერქვა ღრისთავი. საუკუნეების მანძილზე ამ სიტყვამ ფონეტიკური ცვლილება განიცადა, გამოთქმის გაიოლების მიზნით „ღ“ და „რ“ ბგერებს შორის გაჩნდა ხმოვანი „ო“ და ასე მივიღეთ დღევანდელი დამახინჯებული სახელწოდება „ღორისთავი“, რომელიც აზრობრივად სულ სხვა მნიშვნელობისაა. საქართველოს სინამდვილეში დროთა მანძილზე სოფლების სახელწოდებათა გადასხვაფერება-დამახინჯების მაგალითები უამრავია. სწორედ ასე გადასხვაფერდა, მაგალითად, ძველ წყაროებში აღნიშნული ერთ-ერთი სოფლის სწორი სახელწოდება სათისჭალა სართიჭალად, ქვემო ქართლის სოფელ შესაყარის

სახელწოდება შავსაყდრად, ცხომზეთი ხოზეთად და სხვ. რადგან სახელწოდება ღრისთავი უფრო უძველესი და სწორი ფორმითაა ამ სიგელში შემონახული და ასევე სწორად არის სხვა სოფლების სახელებიც მოცემული, ამიტომ ეჭვს არ იწვევს, რომ სიგელში გორისიც ნამდვილად ძველი და სწორი სახით არის ნახსენები.

ასევე სწორად წერია იგი მეთვრამეტე საუკუნეში მეფე ვახტანგ მეექვსის შედგენილ „დასტურლამალში". სოფელ წინწყაროს სამხრეთით აკრავს ქოლაგირისა და არნაუდის ვრცელი ველები. ისინი ცხელი, თითქმის დაუსახლებელია, მაგრამ ხორბლის საუკეთესო მოსავალი იცის. რადგან წინწყარო სადედოფლო მამულები იყო და უხვი მოსავლის მკა დიდ მუშახელს მოითხოვდა, მეფის ბრძანებით ახლო-მახლო სოფლებს ევალებოდათ ეს საქმე. დასტურლამალში თავში „წინწყაროს გარიგებისათვის" აღნიშნულია: „ხოდაბუნის ძნა... ენაგეთმა, ახალშენმა, საღირაშენმა, ფარცხისმა, მაწევანმა, გოლთეთმა, ცოვრეთმა, ჩხიკვთამ, აბელიამ, კრეფამ, გორისმა, ეცომ, ორთაშუამ, ... ამათ მომკონ და გალეწონ."*[8]

გორისის სახელწოდება იმაზე მიგვანიშნებს, რომ ეს დასახელება უნდა შექმნილიყო უშუალოდ მაღლობთან, გორასთან. საქართველოში უამრავია ასეთი წარმოშობის სოფლები. ალგეთხეობაშიც რამდენიმე ასეთი სოფელი არსებობდა: პაპისგორა, უკანგორა, დიდგორი, ბორცვისჯვარი და სხვა. ახლა დავაკვირდეთ ძველი გორისის მდებარეობას. როგორც ითქვა, ვ. გონგაძის გამოკვლევის თანახმად მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში სამხედრო პოლკის აქ დაბანაკების გამო სამხედრო დასახლება გაიმართა უშუალოდ გორისის ნანგრევებზე. პირველ სამხედ-

* 8. „დასტურლამალი" მეფე ვახტანგ მეექვსის შედგენილი, პეტრე უმიკაშვილის რედაქტორობით 1886წ. გვ. 116

რო დასახლებულთა შთამომავლები დღესაც იმავე ადგილზე და მაშინდელი სტანდარტით აშენებულ ძველ სახლებში ცხოვრობენ. ამ რუსულ უბანს, საკონსერვო ქარხნიდან მოყოლებული პარკის მიჯნამდე, ადგილობრივი მოსახლენი კვლავ იმდროინდელ სახელს „პოსელენიეს“ უწოდებენ. ამ დასახლების ერთ თავში, საკონსერვო ქარხნის ეზოში დგას ძველი ეკლესიის კედლები. ამ უბანშივე აღმოჩნდა მდიდარი არქეოლოგიური ნამარხები. ხოლო დასახლების მეორე ბოლოში ახლაც მოჩუხჩუხებს მაშინდელი თეთრი წყარო. აქ სკოლა-ინტერნატის შენობის მშენებლობისას აღმოჩნდა ძველი ქვევრები. არქეოლოგიური ნაშთები უხვად ამოდის საკარმიდამო ნაკვეთებშიც. ეს ტერიტორია ბედნის მთის კალთების სამხრეთ-აღმოსავლეთის განშტოებას წარმოადგენს. იგი ფრიად დამრეცი, უსწორმასწორო და დაბორცვილია. მათგან ყველაზე მაღალია საკონსერვო ქარხნის ოდნავ დასავლეთით აღმართული ბორცვი. 1968 წელს ამ გორაზე აღმოჩნდა ანტიკური სასაფლაო ქვაყუთოვანი და ქვევრსამარხებით. მიცვალებულებს ჩატანებული ჰქონდათ თიხის სასმისები, ბრინჯაოს, ვერცხლის, აქატის, გიშრის ნივთები – საყურეები, მძივები და სხვა სამკაულები, რაც იმაზე მიუთითებდა, რომ ადრეანტიკურ ხანაში აქ არსებობდა მჭიდროდ დასახლებული პუნქტი განვითარებული ხელოვნებით, კულტურით, კერამიკული წარმოებით, სოფლის მეურნეობით, განსაკუთრებით მევენახეობა-მეღვინეობით. აქვე აღმოჩნდა ქვითკირის ნაგებობის ნაშთი; იგი ბორცვის წვეროდან გაცილებით დაბლა, მის დამრეც კალთას გასდევს, რაც იმის მაუწყებელია, რომ ეს გორა ქვითკირის გალავნით ყოფილა შემოზღუდული. აკად. ნიკო ბერძენიშვილი თავის დროზე აღნიშნავდა, რომ „ქართველ ტომთა წინაპრები გარკვეულ დროს გორებად ცხოვრობდ-

ნენ... გორა სოციალურად ძმობა /კომუნა/, ტექნიკურად კი ეს არის გალავანშემოვლებული ან მისადგომთა საგანგებო დახმარებით გამაგრებული ბორცვი, საცხოვრებელი თავშესაფარი ძმობისა, „გვარისა“.*[9].

გვიანი ბრინჯაოს ხანიდან /ძვ. წ. მეორე ათასწლეულის მეორე ნახევარი/ ადამიანთა სამოსახლოები ბორცვებთანაა დაკავშირებული. ჭაობიან ადგილებში /კოლხეთი/ დასახლებისათვის ქმნიდნენ ხელოვნურ ბორცვებს „დიხაგუძუბებს“, მთიან ადგილებში კი სამოსახლოები იქმნებოდა ბუნებრივ, ან ზოგჯერ ადამიანის მიერ მოსწორებულ ბორცვებთან, გორაკებთან /რასაც ადასტურებს ბრილის, ნაცარგორის, ხოვლეგორის, ყალთანის ხევის გორის არქეოლოგიური მასალები/. „გორელი“ სახის სამოსახლოები იქმნებოდა თავდაცვის გაადვილების მიზნით. „გორა იმ დროს გამოყენებული იყო არა მუდმივ საცხოვრებლად, არამედ როგორც დედაციხე, სადაც კულტმსახურებაც წარმოებდა და მოსახლეობაც აფარებდა თავს შიშიანობის შემთხვევაში.“*[10]

გამომდინარე აქედან უნდა დავასკვნათ, რომ „გორისის“ ხსენებული სამაროვანიანი გორაკი წარმოადგენდა მოსახლეობის თავდასაცავად გალავნით გამაგრებულ ბორცვს. არსებობს იმის დამადასტურებელი საბუთიც, რომ ეს გორა თავდაცვის გარდა კულტმსახურებისთვისაც გამოიყენებოდა. გორაკზე აღმართული იყო ქვის სვეტი, რომელიც მეგალითურ ძეგლს უნდა მივაკუთვნოთ. მეგალითები, როგორც პოლილითური – დაუმუშავებელი ქვის ლოდებით მშრალი წყობის ნაგებობანი, ასევე მონოლითური – სა-

* 9. ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები; V, თბ. 1971 გვ. 69-70

* 10. საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტ. I, 1970წ. გვ. 297

კულტო მნიშვნელობის მთლიანი ქვის სვეტები, ცნობილია დედამიწის თითქმის ყველა კონტინენტზე. შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ მდიდარია ალგეთის და ქციის ხეობებიც, სადაც მიკვლეულია მეგალითების თითქმის ყველა სახეობა: კარკნალები /დურნუკი/, ლოდოვანები /გოხნარი, ბედენი/, ციკლოპური ზღუდეები და ნაციხარ-ნაქალაქევები /ბედენი, ჩხიკვთის გმირნაკვეთი, სამშვილდე, გოხნარი, ნადრევანი, სანთა, ავრანლო, ტაშბაში, ჩოლაყი, გუმბათი, ოზნი/, დოლმენები /გოხნარი, ბედენი, ბეშთაშენი/, დარანები /დურნუკი, გოხნარი, ნარდევანი/, კრომლეხები /თეთრიწყარო-ალექსეევკის გზაზე/. არც თუ იშვიათია მონოლით-მეგალითები – შვეულად აღმართული დაუმუშავებელი ქვის მასიური სვეტები, ეგრეთწოდებული მენჰირები, რომელთა არსებობაზეც მიუთითებენ თეთრიწყარო-სამშვილდის გზაზე, წალკა-ფარავნის გზაზე, ბურნაშეთის ეკლესიის ეზოს გალავანში და ა. შ. შეიძლება დავასახელოთ ანთროპომორფიზებული მონოლითების სახეობაც – „ქალქვები“ /მანგლისი, ავრანლო-ყიზილქილისას შორის/.

ცნობილია, რომ ქრისტიანობა გააფთრებით ებრძოდა რა კერპთაყვანისმცემლობას, ბევრ რამეს სპობდა, ხოლო ბევრს ქრისტიანულ „მოსასხამში“ ხვევდა. მანგლისთან მდებარე კერპთაყვანისმცემლობის დროინდელი ქალქვა „მამიდას ქვა“ ითვლებოდა მიწათმოქმედების მფარველად არა მარტო წარმართობის, არამედ ქრისტიანული სარწმუნეობის დროსაც. მანგლისის ეკლესიის სამღვდელოება თვით მეოცე საუკუნის პირველ ნახევარშიც კი ხანგრძლივი გვალვების დროს „ლაზარობის“ გარდა აწყობდა მორწმუნეთა ხალხმრავალ მსვლელობას „მამიდის ქვასთან“, სადაც იმართებოდა ე. წ. ქვის გადაბრუნების რიტუალი, ხოლო უკან დაბრუნებულნი ალგეთზე გადმოსვლი-

სას ერთმანეთს მდინარეში გაწუწავდნენ, რის შედეგადაც ღვთის მსახურნი მათ არწმუნებდნენ, რომ აუცილებლად წვიმა მოვიდოდა. ასევეა წმინდა ელიას /კლდეისი/, კოპალეს /ამჯამად კობალოს ტყე მანგლისის მახლობლად, ალგეთხეობაში/ კულტი, ციკლოპურ ციხესიმაგრე გმირნაკვეთზე სამების ეკლესიის დაშენება, უძველესი მენჰირების ქვაჯვარად გადაკეთება /სამშვილდე, ჩოლაყი და სხვა/.

ქვაჯვარად გადაკეთებულ საკულტო-მეგალითურ ძეგლად უნდა ჩაითვალოს გორისის ქვასვეტიც. თეთრი-წყაროს მცხოვრებმა მოხუცებმა მიამბეს, რომ ეს სვეტი აღმართული იყო გორაზე მეოცე საუკუნის პირველ ნახევრამდე. აქვე იდგა პატარა ეკლესიაც. კოლექტივიზაციის გარიჟრაჟზე თეთრი-წყაროს სასოფლო-სამეურნეო კომუნის წევრებმა ეკლესია დაშალეს და ფერმის მშენებლობისათვის გამოიყენეს, ხოლო ქვასვეტი ბორცვის ფერდობზე არსებულ ქვის სამტეხლოში გადაჩეხეს. ერთ ქვისმთლელს უნდოდა მისი დაჭრა და მშენებლობისათვის სახლში წაღება, მაგრამ როცა მოხუცებმა ურჩიეს, რომ ამ ქვაზე ჯვარია ამოკვეთილი და იგი ისტორიული მნიშვნელობისაა, ქვისმჭრელმა განზრახვაზე ხელი აიღო.

1968 წელს ამ უბანში მცხოვრებმა მოხუცებმა მიჩვენეს გორაზე ის ადგილი, სადაც ქვასვეტი იდგა, მის დაბლა ფერდობზე კი ქვის სამტეხლო და შიგ პირქვე ჩამხობილი დიდი ლოდი. მას ზურგზე აშკარად ეტყობოდა გასაპობი სოლებისათვის ამოჭრილი ღრმულები. მათი თქმით სწორედ ეს იყო ქვასვეტი. მოგვიანებით ეს ლოდი ტექნიკის დახმარებით გადავაბრუნეთ. მასზე ჯვარი არ აღმოჩნდა. ეს იყო ეკლესიის ზღურბლის ქვა /მას კარის ძელის საბრუნი ქუსლი ჰქონდა ამოჭრილი/. ეტყობა ქვისმთლელებმა მაინც მოახერხეს ქვასვეტის ფარულად დაჭრა და წაღება.

იმავე წელს მოვიწვიეთ არქეოლოგები. მათ გერმანე გობეჯიშვილის ხელმძღვანელობით შეისწავლეს აქ აღმოჩენილი სამაროვანი და აქაური ქვევრ-სამარხები ძალზე საყურადღებოდ ჩათვალეს: „უძველესი ქვევრსამარხები დასავლეთ საქართველოშია აღმოჩენილი /დაბლაგომი, ფარცხანაყანევი, ბორი, ბანძა, ქუთაისი, ცხაკაიას ახალსოფელი, ნოსირი და სხვა/. იქ ამ სახის სამარხები ძვ. წ. VI-V საუკუნეებიდან ჩნდება. აღმოსავლეთ საქართველოში ქვევრსამარხები ვრცელდება უფრო გვიან, ძვ. წ. III ს. შემდეგ /მცხეთა, მარტყოფი, ზემო ავჭალა, ურბნისი, კავთისხევი, თბილისი, საგარეჯო, თელავი, მაჩხაანი, დედოფლისწყარო, მუკუზანი, არკნეთი/, მაგრამ მიუთითებენ უფრო ადრინდელ ქვევრსამარხებს თეთრი-წყაროში, ისინი თითქოს VI-V ს. ს. უნდა მიეკუთვნოს, თუმცა ქვევრსამარხთა თარიღად შემოთავაზებულია ხანა არა უადრეს ძვ. წ. IVსაუკუნისა. თუნდაც ეს უკანასკნელი თარიღი აღმოსავლეთ საქართველოსათვის საყურადღებოა იმ მხრივაც, რომ თითქმის ორი საუკუნით უსწრებს მცხეთა-სამთავროს უძველეს ქვევრსამარხებს და საინტერესო პერსპექტივებს სახავს ადრეანტიკური ხანის პირველ საფეხურზე მისი გავრცელების შესასწავლად. თუ ეს თარიღი დადასტურდა, დიდი მნიშვნელობა ექნება ამ სახეობის სამარხთა წარმომავლობის საკითხების საკვლევადაც და მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგის მევენახეობა-მეღვინეობის ისეთი ზომით განვითარების წარმოსადგენად, როდესაც მას სასაქონლო წარმოების მასშტაბები მოუპოვებია. ეს კი ერთერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტია ქვეყნის ეკონომიკური და კულტურული დაწინაურე-

* 11. საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტ. I, 1970წ. გვ. 691-692

ბის საჩვენებლად.*[11]

თუ დავეყრდნობით მეცნიერთა მიერ ქვევრსამარხების სავარაუდო დათარიღებას, შეიძლება ვთქვათ, რომ გორისის დასახლებას 2400-2600 წლის ისტორია აქვს. ხოლო თუ მხედველობაში მივიღებთ გორაკზე თავდაცვითი და საკულტო-მეგალითური ნაგებობის არსებობას და იმას, რომ ალგეთხეობაში მეგალითური ძეგლების სიმრავლე ბრინჯაოს ხანაში აქაურობის მჭიდროდ დასახლებაზე მეტყველებს, მაშინ გორისში ადამიანთა მოსახლეობა შეიძლება ბრინჯაოს ხანიდანაც ვივარაუდოთ.

1970 წ.

სამღერეთი – ლეგენდა და სინამდვილე

ვუძღვნი ძროფეოლონ
ილიენ ვინსკაძის ხსოვნას

ქვემო ქართლში, სამშვილდის ციხის დასავლეთით და ქალაქ თეთრიწყაროს სამხრეთით შვიდიოდე კილომეტრზე, მდებარეობს სოფელი სამღერეთი. ამ სოფლის შესახებ ხალხში ასეთი ლეგენდა არსებობს:

მტერი მოულოდნელად შემოიჭრა საქართველოში. მეფემ ლაშქრის შეკრება და საკადრისი შეხვედრა ვეღარ მოასწრო. ვერც მოსახლეობამ შესძლო გახიზვნა. მოგორავდა სოფელ-სოფელ მტრის ზვავი, ძარცვავდა ხალხს, იტაცებდა ხვასტაგსა და სხვა ქონებას, ჟლეტდა უმწეო ქალებსა და ბავშვებს, ჯანმაგრებს ტყვეებად მიერეკებოდა. თითქოს კალიამ გადაიარაო, ისე რჩებოდა ცხენ-აქლემთაგან გაძოვილ-გათელილი ხოდაბუნები, ჯარისკაცთაგან გასხეპილი ბაღ-ვენახები; ბოლავდა პარტახი სოფლები და ყმუოდნენ უპატრონო ნაგაზები. ერთ სოფელთან მათ სამი ქართველი ქალი შეეგება. ისინი ჩონგურზე უკრავდნენ და ტკბილად მღეროდნენ. მტრის სიძულვილი, საფრებიდან მოულოდნელი თავდასხმა, მთებიდან ლოდების დაშენა, ციხიდან მდუღარე ფისის გადმოსხმა – დამპყრობელს რომ ყველგან ასე ხვდებიან, არავის უკვირს. უბრალოდ ომის კანონია, ამას მტერი ყოველ ნაბიჯზე ელის და მუდამ მზად არის პასუხი გასცეს. დამპყრობელს რომ სირინოზების გალობით ხვდებოდნენ, ეს კი დაუჯერებე-

სამღერეთი

ლი და მოულოდნელი რამ არის. არცერთ ქვეყანაში, არც ერთ ომში ასეთი რამ არ მომხდარა. ამიტომ ტკბილი სიმღერებითა და ქალების სილამაზით გაოგნებული და დაღლილი ლაშქარი პირღია დარჩა. მთელი დღე შეიყოლიეს მომღერლებმა მტრის ლაშქარი. ამასობაში ახლო-მახლო სოფლებიდან ხალხმა ჭივჭავის მიუვალი ხეობის სახიზნეებსა და ტყეებში გაასწრო. ჩვენმა მეფემ კი მალემსრბოლებით ლაშქარი შეკრიბა, თავდავიწყებულ მტერს დაესხა და მუსრი გაავლო. გაბრიყვებულმა მტერმა ქალები იქვე აჩეხა. ქართველებმა ბრძოლის შემდეგ გმირი დების ცხედრები სოფლის საგოდებელზე დაკრძალეს სოფელს კი სამღერეთი დაარქვეს.

ეს ლეგენდა მეოცე საუკუნის სამოციან წლებში პედაგოგმა ზაქარია გიგაურმა ჩაიწერა და რაიონულ გაზეთში გამოვაქვეყნეთ. იმ წლებში ფოლკლორისტთა ერთ-ერთ

რესპუბლიკურ სამეცნიერო სესიაზე ჩემი მოხსენებაც ჩართეს: „რაიონული გაზეთი და ხალხური ზეპირსიტყვიერება“. პროფესორებმა მიხეილ ჩიქოვანმა, ქსენია სიხარულიძემ, ელენე ვირსალაძემ მაშინ ეს ლეგენდა მსოფლიო ზეპირსიტყვიერების შედევრად ჩათვალეს.

არავინ იცის, რომელ საუკუნეში მოხდა ეს ამბავი, ან რა ერქვათ ლეგენდად ქცეულ დებს. იქნებ სინამდვილეში მსგავსი არაფერი მომხდარა და ეს მხოლოდ ხალხის ფანტაზიის ნაყოფია? იქნებ სამღერეთის მიწაშია ამ საიდუმლოს გასაღები?

სოფელ სამღერეთის შუა გულში ერთი პატარა ეკლესია დგას. ტაძრის ეზოში უკანასკნელი საუკუნეების საფლავების გვერდით შემორჩენილია ქვის ცხენებითა და ვერძებით შემკული უძველესი სამარხებიც. აქ წლების მანძილზე ბევრჯერ მიძებნია სამღერეთის ლეგენდის რაიმე დასაბუთება. ოციოდე წლის წინ ტაძრის აღმოსავლეთით მივაკვლიე მცირე ზომის საფლავის ქვას, რომელზეც ერთი ჩონგურიანი ქალის გამოსახულება იყო გამოკვეთილი. მაგრამ ლეგენდაში ხომ სამ დაზეა ლაპარაკი?

1986 წლის 3 აგვისტოს თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ გეოლოგ გიორგი აბულაძესთან ერთად კიდევ ერთხელ ვეწვიეთ აქაურობას. ამჯერად ადგილობრივი მცხოვრების გარსევან იაგუტიანის დახმარებით ტაძრის ჩრდილოეთის კედელთან, უფრო სწორედ აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის კედლების შესაყართან, ასკილის ბარდებში აღმოვაჩინეთ ლეგენდის ნივთიერი დასაბუთება – სამი დის სამარე. იგი შენობიდან დაახლოებით ერთ მეტრზე მდებარეობს. სამარის ქვა ადგილობრივი ყვითელი ტუფისგანაა გათლილი. მისი სიმაღლეა 64 სმ, სიგრძე 95 სმ, სიგანე 30 სმ. თავისი ლიბოც ზედ-

ვე აქვს გამოკვეთილი, რომლის სიგრძეა 140 სმ. ქვის ერთ, ჩრდილოეთის ფერდზე სამი ქალია გამოსახული. მეორე, სამხრეთის გვერდზე /რომელიც ტაძრის მხარესაა მიქცეული, ალბათ იმიტომ, რომ ტაძრის ირგვლივ ჩავლილი მლოცველებთათვის უფრო თვალში საცემი ყოფილიყო/, მთელ სიმაღლეზე სამი თანაბარი ჩუქურთმიანი და თაღოვანი კარიპჭეა გამოკვეთილი. თითოეულ პჭეში სამ-სამი ჯვარია – შუაში დიდი ზომის, სტილიზებული, აქეთ იქით კი ორი პატარა, ალბათ ეს სამოთხის კარისაა და მათში დავანებული წმინდა სამეულის სიმბოლოა. ქვა საძირკვლიდან გადმოგდებულია და გვერდზე დგას. როგორც გვითხრეს, ეს მძარცველებმა ჩაიდინეს. ერთი მეჩონგურე ქალის გამოსახულებიანი სამარე უფრო მოგვიანო ხანისა უნდა იყოს. ეტყობა, ჩონგურზე დაკვრისა და სიმღერის განსაკუთრებული ნიჭი შემდგომ საუკუნეებშიც გამოჰყოლიათ სამღერეთელ ქალებს.

სამი დის სამარის ქვას კარიპჭის გარედან ნახევარადწრიულად წარწერა აქვს, რომელიც შერეული ასომთავრულ-ნუსხურია: მრგვლოვან ასომთავრულში აქა იქ ნებისმიერი ასოებიც არის შერეული. წარწერა კიდურ-წვეტიანი დამწერლობის ნიმუშს წარმოადგენს. ყველა ასო ერთი ზომისა და სიმაღლისა არ არის: ზოგი, განსაკუთრებით ნუსხახუცური ასოებით, უფრო პატარაა და უფრო ქვემოთ არის ჩამოწეული. სიტყვები დაქარაგმებულია. ზოგი ასო ძალზე დაზიანებულია და გაცვეთილია და ამოკითხვა ჭირს. შედარებით უკეთ არის გადარჩენილი წარწერის თავ-ბოლოები. მოხერხდა შემდეგი ასოების ამოკითხვა: ს ბ ᲘᲐ პჭთ ოჩ-ტᲔთშხ მზაგ... ჭერხითორღᲘგ

მრავალწერტილების ადგილზე არსებული ოთხი ასო ძალზე გადარეცხილია და ძნელი გასარკვევია. ტექსტები-

დან იშიფრება შემდეგი სიტყვები: სამებაჲ პჭეთა... ხუარამზე... „ღჲგ“.

როგორც სამი პჭე, სამ-სამად დაჯგუფებული ჯვრები, მათ შორის სამი დიდი ჯვარი, სამი ქალის გამოსახულება, ასევე წარწერის დასაწყისშიც „სამებაი პჭეთა“ მკაცრად მიგვანიშნებს იმაზე, რომ აქ ნამდვილად სამი ქალია დაკრძალული. ისინი სამოთხეში დავანებული წმინდა მოწამენი არიან, რომ ეს წმინდა სამების სიმბოლოა. წარწერაში მოხსენებული უნდა იყოს დაღუპულთა სახელები და ერთი მათგანი უნდა იყოს ხვარამზე. ხოლო ბოლო სამი ასო „ღჲგ“ უნდა იყოს ქორონიკონი და ნიშნავს 763 წელს.

წარწერა რომ მერვე საუკუნისაა, ამას მისი პალეოგრაფიული შესწავლაც ადასტურებს. უძველეს ქართულ ანბანში თავდაპირველად „ბ“, „ⴗ“, „ყ“ ასოები თავშეკრული იწერებოდა. ასეა ბოლნისის, სიონისა და მცხეთის ჯვრის წარწერებშიც. სამღერეთის წარწერაში ასო „ბ“ თავშეკრულია. „ჯერ კიდევ მეექვსე საუკუნეში ქ. შ. ამ ასოს თავი შეკრული ჰქონდა და მხოლოდ მეშვიდე საუკუნიდან მოყოლებული მას თავი გაეხსნა თანდათან“. /ივ. ჯავახიშვილი. ქართული პალეოგრაფია, გვ. 233/. „IX” საუკუნიდან ყველა ძეგლში „ბ“, „ⴗ“, „ყ“ თავგახსნილი იწერება“ /იქვე, გვ. 186/. ასევე საგულისხმოა „რ“ ასოს მოხაზულობაც. ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ მარჯვენა მოხრილი ხაზი „რ“ ასოსი შუა წერტილიდან იწყება X-XII საუკუნეებში და ჩადის ასოს ძირის დონემდე ნახევარწრის მსგავსად. მაგრამ რაც უფრო ძველია წარწერა /ძეგლი/, უფრო და უფრო მაღლა იწყება ამ ასოს ეს მარჯვნითი ნახევარწრე. სამღერეთის წარწერაში „რ“ ასოს მარჯვენითი ხაზი ძალზე მაღლა იწყება და ოდნავ მოხრილია. „რ“ და „გ“ ასოების მოხაზულობა იმაზე მეტყველებს, რომ სამღერეთის წარწერა

მეცხრე საუკუნეზე ადრინდელი და მეშვიდე საუკუნის შემდეგ დროინდელია, ანუ მერვე საუკუნისაა.

ეს არის დრო სომხეთსა და ქართლში არაბთა განუწყვეტელი და გამანადგურებელი შემოსევებისა, დრო მურვან ყრუსა და ხაზართა სისხლიანი რბევისა, დრო სარკინოზთა წინააღმდეგ ქართველი და სომეხი ხალხის შეურიგებელი, საერთო-სახალხო განმათავისუფლებელი ომისა, დრო საქართველოსა და სარწმუნოებისათვის დავით და კონსტანტინე მხეიძეების, აბო ტფილელის, არჩილ მეფის, შროშანა დედოფლის მოწამებრივი აღსასრულისა. ამ დიდ მოწამეებს სამღერეთელი ხვარამზე და მისი დებიც ღირსეულად გვერდს უმშვენებენ.

ამრიგად, სამღერეთის ლეგენდას ისტორიული ჭეშმარიტება უდევს საფუძვლად და იგი 763 წელს მომხდარა. ისტორიამ შემოგვინახა ხაზარების სასტიკი შემოსევისა და მეფე ჯუანშერის დის – მშვენიერი შროშანას მოწამებრივი აღსასრულის ამბავი; მაგრამ მკითხველი ამაოდ დაიწყებს ძველ მატიანეებში სამი დის გმირობის მოთხრობის ძებნას. მემატიანეებს ამის შესახებ არსად არაფერი ჩაუწერიათ. ისინი მოკლედ აღწერდნენ დიდ მოვლენებს და ბევრი რამ გამორჩებოდათ ხოლმე. ასეთ გამორჩენილ ამბებს ხალხი – უსახელო მემატიანეები ზეპირად გადასცემდნენ თაობიდან თაობას. დროთა მანძილზე ეს ზეპირი გადმოცემები ზღაპრად და ლეგენდად იქცეოდა. ისინი გვეხმარება ისტორიის ცარიელი ფურცლების შევსებაში. ასეა სამღერეთის ლეგენდაც. ასეა, ყველა ლეგენდა ისტორიული სინამდვილიდან იღებს სათავეს. ხალხმა 1200 წლის სიღრმიდან თაობიდან თაობას გადასცა და ჩვენამდე მოიტანა დიდი მამულიშვილების – ხვარამზესა და მისი დების გმირობის ამბავი. ის გვამცნობს, რომ უწყინარი ჩონგური, სულის

შემძვრელი სიმღერა და სილამაზე ზოგჯერ ხმალზე უფრო ბასრი იარაღია.

მტერზე სიმღერით გამარჯვების ეს ლეგენდა მსოფლიო ფოლკლორის განუმეორებელი შედევრია და მისი დავიწყება შეუძლებელია. დედოფალი შროშანა და სამღერეთელი დები წმინდანებად შერაცხვის ღირსნი არიან. სამღერეთის ტაძარი და სამი დის სამარე კულტურის დაწესებულებებმა საგანგებო აღრიცხვაზე და დაცვაზე უნდა აიყვანონ, როგორც უძველესი და უნიკალური ძეგლი!

„აგარაკსა მას – დარბაზად წოდებულსა“...

1125 წლის 8 თებერვალს 53 წლის ასაკში შეწყდა დიდი მამულიშვილის, საქართველოს ისტორიაში უდიდესი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწის დავით აღმაშენებლის სიცოცხლე. მან შთამომავლობას დაუტოვა დიდი, ლაღი, მკაცრი წესრიგის ქვეყანა. ტახტი ჩაიბარა უფროსმა ვაჟმა დემეტრე პირველმა. აღმაშენებლის მეორე ვაჟი იმ დროს 7 წლის იყო. აღმაშენებელმა დემეტრეს ანდერძად დაუტოვა: ძმას უპატრონე, გაზარდე და თუ ღმერთმა ინებოს და სამეფოდ ვარგისი გამოდგეს, შენს შემდეგ ტახტი გადაეციო. ქართული მრავალსაუკუნოვანი კანონით მეფობა მამიდან უფროს ვაჟზე გადადიოდა. ეს კანონი მანამდე მხოლოდ ერთხელ – მეფე აშოტ დიდის დაღუპვის შემდეგ დაირღვა. მაშინ კანონით მეფობა აშოტის უფროს შვილს ადარნასეს ეკუთვნოდა. ძმები ადარნასე, ბაგრატი და გურამი შეთანხმდნენ და ტაო-კლარჯეთის ტახტი დაუთმეს შუათანა ძმას ბაგრატს, რომელიც სამეფოდ უფრო შესაფერისად ცნეს. ეს იყო ქვეყნის მომავალზე ზრუნვით ნაკარნახევი მამულიშვილური გადაწყვეტილება. სამწუხაროდ, დავით აღმაშენებლის მემკვიდრეებს არ აღმოაჩნდათ ასეთი გაგება. აღმაშენებლის ანდერძმა მის მემკვიდრეებს უბიძგა იმისკენ, რომ ტახტის მემკვიდრეობის კანონი მათაც დაერღვათ, მაგრამ აქ უკვე მთავარი იყო პირადი ამბიციები და არა ქვეყნის მომავალზე ფიქრი. ტახტისათვის ბრძოლას მომდევნო თაობების დიდი ვნებათაღელვა, სამოქალაქო ომები, სასტიკი ანგარიშსწორებები და უამრავი ქართველის სისხლისღვრა მოჰყვა.

როცა ვახტანგი სრულწლოვანი გახდა, დიდებულებმა

შეთქმულება მოაწყეს მის გასამეფებლად. მეფე დემეტრემ შეთქმულება ჩააქრო, ტახტის მაძიებელ ძმას ვახტანგს კი თვალები დასთხარა. ტახტის მემკვიდრეობის კანონი დემეტრემაც დაარღვია: უფროსი შვილი დავითი აითვალწუნა და ტახტის მემკვიდრედ მის ნაცვლად უმცროსი შვილი გიორგი აღიარა. დავითმა თავისი მომხრეებით შეთქმულება მოაწყო. თუმცა მეფემ შეთქმულება ჩააქრო და მეამბოხეებს სასტიკად გაუსწორდა, მაგრამ ოთხიოდე წლის შემდეგ დიდებულებმა დემეტრე მაინც აიძულეს ტახტიდან გადამდგარიყო. იგი ბერად აღიკვეცა. სულ რამდენიმე თვეს იმეფა დავითმა და გარდაიცვალა. დემეტრეს მომხრეთა დასმა მოწამლა თუ ბუნებრივად აღესრულა, ისტორიული წყაროებიდან არ ჩანს. დემეტრემ მონასტერი დატოვა, ბერის ჩოხა გაიხადა და ისევ ტახტზე ავიდა. თანამეფედ უმცროსი შვილი გიორგი გამოაცხადა, თუმცა კანონით ტახტი დავითის შვილს დემნას ეკუთვნოდა. ამის შემდეგ დემეტრე მალე გარდაიცვალა.

გიორგი მესამის გამეფების 20 წლის შემდეგ, 1177 წელს, დიდებულებმა ახალი შეთქმულება მოაწყეს. ეს იყო დიდი შეთქმულება, რადგან მასში მონაწილეობდა თითქმის ყველა დიდებული, მათ შორის დარბაზის წევრებიც. აჯანყების ხელმძღვანელი იყო ამირსპასალარი და მანდატურთუხუცესი ივანე ორბელიანი. მან 30 ათასიანი მხედრობა შეკრიბა თბილისზე იერიშის მისატანად. აჯანყებულთა მიზანი იყო გიორგი მესამის ტახტიდან ჩამოგდება და ტახტის კანონიერი მემკვიდრის დემნას გამეფება. სავარაუდოა, რომ დიდებულთა ეს ფართომასშტაბიანი შეთქმულება შემდეგმა გარემოებებმა გამოიწვია: მათთვის ცნობილი გახდა, რომ მეფე გიორგის განზრახული ჰქონდა დიდი საკადრო ცვლილება – მემკვიდრეობით აღზევებულ დიდებულთა

გადაყენება და მათ მაგიერ უბრალო წრიდან გამოსულთა დაწინაურება პირადი ღირსებისა და ნიჭის მიხედვით. გარდა ამისა მეფეს მემკვიდრე ვაჟი არ ჰყავდა და სამეფო კარზე თავისი ქალიშვილის თამარის აყვანა სურდა. ამას მოჰყვებოდა ის, რომ საქართველოს მეფედ, თამარის თანამეცხედრედ რომელიმე უცხო ქვეყნის უფლისწული უნდა მოეწვიათ, რადგან მას ქვეშევრდომზე დაქორწინების უფლება არ ჰქონდა. ტრადიციულად კი ქართული ჯარების უმაღლეს მთავარსარდლად მეფე ითვლებოდა და ომებში ჯარს უშუალოდ ხელმძღვანელობდა. აღნიშნული გარემოებები დიდებულებს არ აწყობდათ და არც ქვეყნის სასარგებლოდ მიაჩნდათ.

აჯანყებულთა ჯარების ფარული შეკრების ადგილი იყო აგარაკი დარბაზი. ეს ისე საიდუმლოდ მომხდარა, რომ მეფეს ვერაფერი შეუტყვია. მეფე ამ დროს სანადიროდ იყო გამოსული სახატეში მცირე ამალით. სრულიად შემთხვევით შუაღამისას ერთმა გლეხის ბიჭმა, რომელიც ალბათ რომელიღაც დიდებულის მსახური იყო, ყური მოჰკრა ივანე ორბელიანისა და სხვა დიდებულთა საუბარს. ბიჭი ბანაკიდან გაიპარა და მეფეს შეატყობინა შეთქმულების ამბავი. მეფე სასწრაფოდ დაბრუნდა თბილისში და ციხეში გამაგრდა. ნაყივჩაყარმა ყუბასარმა 5 ათასი კაცი შეუგროვა. ამ მცირერიცხოვანი ლაშქრით მეფემ ქალაქიდან გამოსვლა და აჯანყებულებთან შებმა ვერ გაბედა. ამასობაში აჯანყებულთა ბანაკში ყოყმანით დრო დაიკარგა, ზოგიერთმა დიდებულმა თავისი მებრძოლებით ბანაკი მიატოვა და მეფის მხარეზე გადავიდა. ამით ძალმოცემულმა მეფემ დარბაზისკენ გაილაშქრა. ივანე ორბელიანმა ქონება თავის კუთვნილ ციხე-ქალაქ სამშვილდეში დააბინავა, თვითონ კი დარჩენილი ჯარით ლორეს ციხეში გამაგრდა. მეფემ

ოცდახუთდღიანი ალყის შემდეგ სამშვილდე აიღო. ლორეს აღება კი მხოლოდ ექვსთვიანი ალყის შემდეგ შესძლო. მეფე გიორგი უსასტიკესად გაუსწორდა აჯანყებულებს: ამირსპასალარს თვალები დასთხარა და დაასაჭურისა, დედაბუდიანად ამოწყვიტა ორბელიანთა მთელი საგვარეულო, ბავშვები და ქალებიც არ დაინდო. ორბელიანთა გვარის ხსენებაც კი აკრძალა. სხვა შეთქმულთაგანაც ბევრნი სიკვდილით დასაჯა. ძმისშვილი – უფლისწული დემნა კლდეკარის ციხეში გამოკეტა, თვალები დასთხარა და დაასაჭურისა, რომ შთამომავლობა და მემკვიდრე აღარ ჰყოლოდა. უფლისწულმა წამებას ვერ გაუძლო, ჭკუიდან შეიშალა და მოკვდა. ასე დაიღუპა დემეტრე უფლისწული, „სახეკეთილი და ყოვლითა ხელითა მარჯუე, ნასწავლი, მსგავსი სახლიშვილობისა მათისა.“ – წერს მემატიანე. მეფემ დასჯილ დიდებულთა ადგილებზე ერთგული „უგვარი“ ადამიაები დააწინაურა: ნაყივჩაყარი ყუბასარი – მანდატურთუხუცესად და ამირსპასალარად, აფრიდონი – მსახურთუხუცესად, ყუთლუ-არსლანი – მეჭურჭლეთუხუცესად, ჭიაბერი – მეჯინიბეთუხუცესად. სულ მალე კი თანამეფედ ქალიშვილი თამარი გამოაცხადა.

ისტორიკოსებს ზუსტად არ აქვთ დადგენილი, სად მდებარეობდა გეოგრაფიული პუნქტები „სახატე“ და „დარბაზი“. მკვლევარი ვახტანგ ჭელიძე წერს: „მეფე ამ დროს სახატეს მდგარა „მცირედითა კაცითა: – მცირერიცხოვანი ამალა ხლებია. ახლა რუკაზე ვერ ნახავთ ამ ადგილს, ასეთი გეოგრაფიული პუნქტი აღარ არსებობს. ისე კი, ნიკო ბერძენიშვილის საინტერესო გამოკვლევით, თბილისთან ახლოს მდებარეობდა, თელეთ-შავნაბადის მიდამოებში. შეთქმულები უფო მოშორებით შეკრებილან „აგარაკსა მას დარბაზად წოდებულსა“. ყველანი თავიანთი რაზმებით მი-

სულან და როგორც უკვე ითქვა, ოცდაათი ათასიანი ლაშქარი შეკრებილა.

აქ ნახსენებ „აგარაკსა მას დარბაზად წოდებულსა“ ნ. ბერძენიშვილი კოჯრის მიმართულებით, კოჯორთან ახლოს, გულისხმობს... სახატე ახლოს ყოფილა ქალაქთან, დარბაზი – უფრო მოშორებით.“ /ქართლის ცხოვრების ქრონიკები. III-IV. თბ. 1984 წ. გვ. 221/.

ეს ძალზე ზოგადი განმარტებაა.ძნელი დასაჯერებელია, რომ „სახატე“ და „დარბაზი“ ასე ახლო-ახლოს ყოფილიყო, კოჯრის მიდამოებში და მეფეს 30 ათასიანი მხედრობის თავშეყრა ვერ გაეგო. ცხადია, ამ ორ პუნქტს შორის საკმაო მანძილი უნდა ყოფილიყო. „სახატე“ რომ შავნაბადა-კოჯორ-თელეთის მიდამოებში იყო, ამაზე გეოგრაფიული ადგილსახელი ხატისთელეთიც მეტყველებს: ამასთან ის ფაქტიც, რომ მეფე თბილისთან ახლოს ყოფილა და სასწრაფოდ მოუსწრია თბილისში დაბრუნება. სად მდებარეობდა „დარბაზი“? ამირსპასალარ ივანე ორბელიანის მამულები იყო ქვემო ქართლი ციხექალაქ სამშვილდისა და ლორეს მიდამოები. მეფის შემოტევისთანავე მას ქონება სწორედ სამშვილდის ციხეში დაუბინავებია და თვითონ ლორეს ციხეში გამაგრებულა. ბრძოლებიც სწორედ ამ პუნქტებში გამართულა. ლოგიკურია, რომ ამირსპასალარს ჯარების საიდუმლო შეკრება სწორედ თავის მამულში, სამშვილდის უმტკიცესი ციხესიმაგრის ახლო მიდამოებში მოეხდინა. ამასთან მეისტორიე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ის ადგილი იყო აგარაკი და იქ იდგა დარბაზი ანუ სააგარაკე სასახლე. სამშვილდის ჩრდილოეთით, სულ 5-6-ოდე კილომეტრში, დღევანდელი ჭივჭავი-ივანოვკის გზაზე მდებარეობს ისტორიული ძეგლი ნადარბაზევი – ნაშთები XII საუკუნის მეფეთა საზაფხულო სააგარაკე სასახლისა. ეს არის ბედ-

ნის მთის კალთები, მუხნარი ტყით, ვრცელი სუბალპური საძოვრებით, მშვენიერი წყაროებითა და საამო ჰაერით შემკული ადგილი. დანგრეულ სოფელს ქართველი კაცი ნასოფლარს უწოდებს, სახლის ნანგრევებს – ნასახლარს, სასახლისა და დარბაზის ნაშთებს კი ნადარბაზევი ეწოდება. ზემოხსენებული სამეფო დარბაზის ნანგრევებს დღეს სწორედ ნადარბაზევი ჰქვია. ხოლო როცა იგი საღი და მეფეთა საზაფხულო სააგარაკე სადგომი იყო, დარბაზი ერქვა. სწორედ ეს პუნქტი უნდა ვიგულისხმოთ აჯანყებულთა შეკრების ადგილად.

2012 წ.

რას გვიამბოგენ ხერხეულიძეთა საფლავები

1625 წლის ივლისში მარაბდის ველზე სამშობლოს დაცვისათვის სისხლისმღვრელ ბრძოლაში მრავალ სახელოვან მამულიშვილთან ერთად გმირულად დაეცნენ ხერხეულიძეებიც. მათი ღვაწლი ქართველმა ხალხმა ძალზე დრამატული, ლამაზი და ამაღელვებელი გადმოცემებით უკვდავყო. ამ გადმოცემებმა სამასზე მეტი წლის სიღრმიდან შარავანდედით გასხივოსნებულმა მოაღწია ჩვენამდის.

რამდენი ხერხეულიძე დაიღუპა მარაბდის ომში? ხალხის ზეპირსიტყვიერი გადმოცემის თანახმად, მარაბდის ომში ცხრა ძმა ხერხეულიძე დაიღუპა. მათთან ერთად იბრძოდა მათი დედაც. იაკობ გოგებაშვილი წერს: „ხალხის თქმულებით, მათი დედაც ბრძოლის ველზე იყო, ამხნევებდა მათ და როცა ერთს მის ვაჟს სასიკვდილოდ დაჭრილს ქართული დროშა ხელიდან გაუვარდა, დედამ აიღო დროშა და მეორე თავის შვილს მისცა ხელში“. ომში ცხრავე ძმა დაიღუპა, ხალხმა მათი გვამები შეაგროვა და იქვე დამარხა „ცალ-ცალკე მწკრივად და დაადვეს ცხრა დიდი საფლავის ქვა, რომელიც დღემდე დაცულია.“

მეცხრამეტე საუკუნის 60-იან წლებში ანტონ ფურცელაძე წერდა: „ერთ ალაგს მე მქონდა გაგონილი, რომ ესენი მარხიან მარაბდის სასაფლაოზედა. განგებ წაველ და შევამოწმე, მარაბდის მოხუცებულთა მიჩვენეს მათი საფლავები: მაჩვენეს შვიდი ძველი ქვა, რომელთაგან ზოგი ძლივს მოჩანდა. ყველა ქვაზე გამოხატული იყო ხმლიანი კაცი, ნიშანი როგორც ვფიქრობ, მათი გმირობისა და გმირულად სიკვდილისა. ამ მოხუცებულთა თქმითაც გამოდიოდა, რომ

დახოცილან ცხრანი. ჩემს კითხვაზედ, ორი ქვა რაღა იქნა? მათ მიპასუხეს, რომ ცხრა არისო. ჩვენ კიდევ დავთვალეთ და შვიდი გამოვიდა. შესაძლებელია ეს ორი ქვა მიწამ დაფარა და არა სჩანდა“.

ხალხურმა ვერსიამ გამოძახილი ჰპოვა მწერლობაშიც.

მარაბდის ომის შესახებ ყველაზე ადრინდელი და ვრცელი ცნობები დაცულია არჩილის პოემაში „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“.

როცა მეფე-პოეტი არჩილი კახეთის ტახტზე ავიდა, მარაბდის ომიდან ზუსტად 39 წელი იყო გასული. მეფე თეიმურაზი, რომლის მეთაურობითაც ქართველებმა მარაბდის ომი გადაიხადეს, არჩილის ტახტზე ასვლის წინა წელს გარდაიცვალა. ე. ი. ეს ის დროა, როცა მარაბდის ომის მონაწილე ბევრი ვაჟკაცი ცოცხალი იყო და ერისა და მეფისადმი სამსახურს კვლავ განაგრძობდა, როცა ბევრ მათგანს მარაბდის ომში მიღებული ჭრილობა ჯერ არ მოშუშებოდა, მარაბდის მიწას ისევ სისხლის სუნი უდიოდა, მარაბდაში დაღუპულ გმირთა ლანდები ჯერ კიდევ ცოცხლად დააბიჯებდნენ ხალხში. ბუნებრივია, არჩილს მათგან დაწვრილებითი და უტყუარი ცნობები უნდა მიეღო მარაბდის ომის შესახებ. არჩილი ამას თვითონვე ადასტურებს: „მეფის თეიმურაზის ამ ქვემოს ხსენებულთ სახელთა და სარჯელთ ამბავი თვითმნახავთა და თანნახლთ მის ყმათ ქართველთა და კახათგან მსმენოდა, არა ხოტბა – არამედ მართალი, რამეთუ ათორმეტ წელს კახეთს ვმეფობდი, მისნი დაზრდილნი და ნამსახურნი დარბაისელნი გვერთს მახლდენ, ვჰკითხავდი ნაქმარსა მეფისასა და მიამბობდეს... სხვას ზღაპრულს ამბავს ესევ მართალი ამბავი ვარჩიე გასალექსავად, და არცა რა ამაში ტყუილი სწერია ერთის მეფისა და რუსთვლის პირდაპირ გაბაასების მეტი, საქართველოს ამბავსაც კარგად და

მართლა მოგახსენებს, ბატონებისა და დარბაისელთასა“*[1]. არჩილის ამ განცხადების შემდეგ შეუძლებელია ეჭვი შევიტანოთ იმაში, რომ მან ზედმიწევნით იცოდა არა მარტო მარაბდის ომის ყველა მნიშვნელოვანი ფაქტი, არამედ ისიც, თუ რამდენი ხერხეულიძე დაეცა ბრძოლაში.

აღათანგის შესახებ იგი ასეთ ცნობას გვაწვდის: „აქა დავით ასლანიშვილისა და აღათანგის ხერხეულიძის ყარაულად დაყენება, რომელნი იყვნეს კაცნი მეომარნი, ორთავ თვითო თვალი აკლდა, მაგრამ გულსრულად და მხნეკაცად იბრძოდეს, და ორივე ამ ომში დაიხოცნეს მეწინაეში მისვლითა“, ხოლო დანარჩენ ხერხეულიძეებს ახსენებს დაღუპულ დიდებულთა ჩამოთვლისას:

„კვლავ მოისრნეს დიდებულნი ქართველნი და
კახნი ბევრი,
აღათანგის სახლისკაცი შვიდი მოკვდა,
კარგი ევრი,
სხვა ბაადურ ცაცშვილი, კახი დავით,
გულად სევრი,
კიდევ ბევრი კარგი მოყმე დამიკაფნეს,
ვითა ტევრი
ჩოლოყაშვილი შვიდი და ცხრა კარგი
მაჩაბელია,
სულ ვინ სთვლის აზნაურშვილთა, რაც
მოკლეს, საქებელია“*[2].

„ქართლის ცხოვრება“ გვამცნობს: „თავთაგან მოკუდა მაშინ აღათანგი ხერხეულიძე და მისი სახლისკაცი შვიდნი

* 1. ქართული პოეზია ტ-I, თბ. 1975გვ. 188-189
*2. ქართული პოეზია ტ-II, თბ. 1975გვ. 408

და ბაადურ ციციშვილი და კახი დავით ჩოლოყაშვილი შვიდი მოკუდა და ცხრა მაჩაბელი და სხვა აზნაურშვილი და მსახური და გლეხი მრავალი ამოსწყდა“*[3].

მაშასადამე, არჩილ მეფის ცნობებითაც და „ქართლის ცხოვრების“ ცნობითაც მარაბდის ომში დაიღუპა აღათაგან ხერხეულიძე და შვიდი სახლისკაცი მისი, ანუ რვა ხერხეულიძე.

ჟამთასვლამ დღემდის შემოგვინახა ხერხეულიძეთა საფლავები. ისინი განლაგებულია მწკრივად კი არა, როგორც ი. გოგებაშვილს, ა. ფურცელაძეს და სხვებს მიაჩნდათ, არამედ ჯგუფ-ჯგუფად, მარაბდის ეკლესიის ირგვლივ დაახლოებით წრიულად, შენობის მიმართ ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთამდე. ამ საფლავებისაგან თავისუფალია მხოლოდ დასავლეთი ნაწილი, რადგან ეს მხა-

* 3. ქართლის ცხ-ბა ტ. II. თბ. 1959, გვ. 408

რე ეკლესიაში შესასვლელს წარმოადგენს. ხერხეულიძეთა საფლავების ქვები სრულიად განსხვავდება სხვებისგან, რადგან მხოლოდ მათზეა გამოკვეთილი ადამიანთა გამოსახულებანი. ზოგიერთი მათგანი ძალზე დაზიანებულია, ზოგი კი კარგად არის შენახული. აღნიშნული ბარელიეფები საყურადღებოა როგორც მეჩვიდმეტე საუკუნის ქვაზე კვეთის ხელოვნების საგულისხმო ნიმუშები. უცნობი ოსტატი ცდილა ზედმიწევნით გადმოეცა არა მარტო მიცვალებულთა აღნაგობა, არამედ თითოეული მათგანის ტანსაცმლის, აღჭურვილობისა და სახის ნაკვთების თავისებურებანიც კი. ზოგიერთ მათგანზე შესანიშნავად არის დაცული სხეულის სიმეტრიები. ამ ქვებს არავითარი წარწერა არა აქვს, მაგრამ საერთო ფორმით, ქვის ხარისხით, მისი მოჭრა-დამუშავების, ანუ გათლა-დაკუთხვისა და გამოქანდაკების მანერით აშკარად იგრძნობა, რომ ისინი ერთ პერიოდში და ერთ სტილშია გაკეთებული და ერთ საგვარეულოს ეკუთვნის. ისინი თერთმეტია და დაჯგუფებულია შემდეგნაირად: ორი, ორი, სამი, სამი, ერთი. სოფელ მარაბდაში მცხოვრებ ხიზანიშვილების თქმით, მათი გვარის წინაპრები ხერხეულიძეებს ახლდნენ მარაბდის ომში და მას შემდეგ ამ სოფელში შემოხიზნული მათი გვარის მანდილოსნები ერთმანეთს თაობიდან თაობაში გადასცემდნენ ანდერძად ხერხეულიძეთა საფლავების მოვლის მოვალეობას. მათივე თქმით და სოფლის ხანდაზმულ მცხოვრებთა დასტურით, აღნიშნული თერთმეტივე საფლავი ხერხეულიძეებს ეკუთვნით. მათგან ცხრა საფლავი ცხრა ძმისაა, ერთი საფლავი მათი დედისაა, ხოლო ერთი ხერხეულიძეთა მცირეწლოვან დას ეკუთვნისო. 1970 წელს ჩვენ შევეცადეთ აღგვედგინა საფლავებზე აღბეჭდილი გამოსახულებანი და მოგვეხდინა მათი ფოტოგადაღება. ჩვენს ხელთ არსებული ეს ფოტო-

ხერხეულიძეთა საფლავების განლაგების სქემა
1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
12
13
14
15
16
17
18
19
20
21
22
23
24
25
26
27
28
29
30
31
32
33
34
35
36
37
38
39
40

სურათები საშუალებას გვაძლევს გამოვიტანოთ ზოგიერთი დასკვნა, რომლებიც შესაძლებელს გახდის გარკვეული კანონზომიერება დამყარდეს ისტორიულ ცნობებსა და ხალხურ გადმოცემებს შორის. აი, რას გვიამბობს ხერხეულიძეთა საფლავებზე აღბეჭდილი გამოსახულებანი: ცხრა საფლავის ქვაზე აღბეჭდილია მამაკაცთა გამოსახულებანი და, ალბათ, ამან მისცა დასაბამი ხალხურ გადმოცემას ომში დაღუპულ ხერხეულიძეთა რაოდენობის შესახებ. მამაკაცებს ჩოხა-ახალუხები აცვიათ. მოქანდაკეს ჩოხის კალთების ნაკეცები და ახალუხის ღილკილოებიც კი გამოუსახავს. უმეტესობას კარგად ეტყობა თვალ-წარბი და სახის ნაკვთები, ორი მამაკაცი წვერ-ულვაშიანია. ა. ფურცელაძის თქმით, ყველა ქვაზე გამოხატულია ხმლიანი კაცი, ზოგიერთი თანამედროვე კი ამტკიცებს, რომ ცხრავე ქვაზე ფარ-ხმლიანი ვაჟკაცია გამოკვეთილიო. არავითარი ფარები აქ არ არის, ყველა მამაკაცს წელზე ქამარი არტყია, მაგრამ მათგან მხოლოდ ოთხ მამაკაცს აქვს წელზე იარაღი: მარჯვნივ – ხანჯალი, მარცხნივ – ხმალი. ერთი მამაკაცის გამოსახულება ძალზე დაზიანებულია, მაგრამ სარტყლის გასწვრივ ორივე მხარეს რაღაც ნიშნები აქვს ამოკვეთილი, მათგან მარჯვენა მხარეს ნიშანი თითქოს სატევარის შთაბეჭდილებას ტოვებს: მეათე ქვაზე გამოსახულია ქართულ მანდილიანი და დალალკავებიანი ქალი. მას მკერდზე და წელში გამოუყვანელი, კოჭებამდე დაშვებული სადა კაბა აცვია, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ეს ხანდაზმული ქალია. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს ხერხეულიძეთა დედაა. სამხრეთ-დასავლეთისაკენ ყველაზე განაპირას, ხმალ-ხანჯლიანი მამაკაცის გვერდით დაკრძალული მიცვალებულის საფლავის ქვა სხვა ქვებთან შედარებით თითქმის ორჯერ პატარაა, რაც უკვე აშკარად მეტყველებს,

ხერხეულიძეთა საფლავები

რომ აქ ბავშვია დაკრძალული. მოსახლეობაც, გადმოცემის თანახმად, აღიარებს, რომ ეს მიცვალებული მცირეწლოვანია და მას ხერხეულიძეთა უმცროს დად სთვლიან. მაგრამ თუ დავაკვირდებით გამოსახულებას, აშკარა გახდება, რომ მას კოჭებამდე დაშვებული ქართული კაბა კი არა, არამედ მოკლე ჩოხა-ახალუხი აცვია, ისეთივე, როგორც დანარჩენ ცხრა მამაკაცს. თავზეც მას ქალის მანდილი კი არ ახურავს, არამედ მამაკაცის თავსაბური. ეს იმას ნიშნავს, რომ იგი ბიჭია. ყველა მამაკაცს მხრებზევით, თავის აქეთ-იქით გამოსახული აქვთ ღვინის სასმისები – ფეხიანი დოქები, ჭინჭილები, ყანწები. ასეთი რამ არ არის გამოსახული ქალისა და ბავშვის საფლავის ქვებზე. გარდა ამისა, ბავშვის გამოსახულებას დანარჩენთაგან განსხვავებით ქუდის წვერზე გამოკვეთილი აქვს პატარა ჯვარი, რაც იმის ნიშანია, რომ იგი მცირეწლოვანი ბავშვია (ჩვენი წინაპრების აზრით ხომ დაღუპული მცირეწლოვანი ბავშვი წმინდანად, ანგელოზად ითვლებოდა). ხალხური გადმოცემა ომში დაღუპულად ცხრა ძმა ხერხეულიძეს თვლის, საფლავებზეც გამოსახულია ერთი ქალი და ათი კაცი, მათ შორის ცხრა სრულასაკოვანი მამაკაცია. ხომ არ ეწინააღმდეგება ეს ფაქტი ისტორიულ წყაროებს, რომელთა თანახმადაც ომში რვა ხერხეულიძე დაღუპულა? სრულებითაც არა, პირიქით, იგი ამტკიცებს ისტორიულ წყაროთა ჩვენების სისწორეს.

თუ დავაკვირდებით მამაკაცთა გამოსახულებების ქუდების მოხაზულობას, ცხადი გახდება შემდეგი:

შვიდი მამაკაცის გამოსახულებას ახურავს ერთნაირი მრგვალი ქუდები, საომარი მუზარადები, რაც აშკარად მიუთითებს, რომ ეს შვიდი მამაკაცი სწორედ მარაბდის ომში დაღუპული სახლისკაცებია აღათანგისა. მეცხრე გამოსახულებას, ანუ ტაძრის ეზოში შესასვლელიდან ხელმარჯვნივ საფლავის ქვაზე გამოსახულ მამაკაცს თავზე ქუდის ნაცვლად ახურავს მეფური ჯიღა – ჩუქურთმიანი, დაკბილულბოლოებიანი გვირგვინი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ აქ არის დაკრძალული სხვა მიცვალებულებზე უფრო მაღალი რანგის დიდებულთაგანი, ანუ სახელოვანი სარდალი აღათანგ ხერხეულიძე. იგი ხმალ-ხანჯლის გარეშეა გამოსახული, მაგრამ სამაგიეროდ, მარაბდის ომთან უშუალო კავშირში ყოფნის დამადასტურებლად თავისებური ხერხისათვის მიუმართავს მოქანდაკეს. იგი ეგზომ გულმოდგინედ ცდილა საჭრეთლის სიმბოლური ენით აღესრულებინა წინაპართა ანდერძი, რომ „ჟამთააღმწერლობა ჭეშმარიტის მეტყუელება არს და არა თუალახმა ვისთუისმე“. სხვა გამოსახულებებთან შედარებით აღათანგის სურათს გულმკერდი წელამდე შემკული აქვს ნეკნებს გასწვრივი პარალელური და ერთი წინგულის შვეული ხაზებით, რაც იმას ნიშნავს, რომ მას აბჯარი აცვია. მოქანდაკეს არ დავიწყებია აღენიშნა აღათანგის გარეგნობის ერთი თავისებურებაც: სხვა გამოსახულებებისაგან განსხვავებით, აღათანგის გამოსახულებას გაყოფილი, ფოსოიანი ნიკაპი აქვს. აღათანგის გვერდით, მესამე საფლავის გვერდით აღბეჭდილი გამოსახულება ყველაზე დაზიანებულია, მაგრამ მაინც ეტყობა, რომ მას სხვებივით მრგვალი მუზარადი კი არ ახურავს, არამედ სამკუთხა, აქეთ-იქით ყურებგაშვერილი თავსაბურავი;

ასეთივე თავსაბური ჰხურავს პატარა ბავშვის გამოსახულებასაც. ეს იმას ნიშნავს, რომ მათ ახურავთ უკან გაკრული ყაბალახები და მარაბდის ომთან ორივეს ერთნაირი დამოკიდებულება აქვთ, ანუ ეს ყაბალახიანი მამაკაცი ისევე არ შეიძლება ჩაითვალოს მარაბდის ომში დაღუპულ მხედარ ხერხეულიძეთა რიგში, როგორც ეს მცირეწლოვანი ბავშვი. მაშასადამე, ამ ყაბალახიანთა გარდა, რჩება რვა მამაკაცი, რვა მხედარი, ანუ ზუსტად იმდენი, რამდენიც დაიღუპა მარაბდის ომში ისტორიული ცნობების თანახმად. თუ აქ დაკრძალულ მანდილოსანს ხერხეულიძეთა დედად ჩავთვლით, რასაც ხალხური გადმოცემებიც ადასტურებს, მაშინ ყაბალახიანი მამაკაცი შეიძლება ჩაითვალოს ხერხეულიძეთა მამად, ვინაიდან რვა ვაჟკაცი შვილის დამკარგავი მამა სხვაგან სად შეიძლებოდა დაკრძალულიყო, თუ არა მხოლოდ შვილების გვერდით? აღათანგისა და პატარა ბიჭის გამოსახულებებს მარჯვენა მხრის თავზე ერთნაირი ოთხკუთხა სარკმლის მსგავსი ნიშნები აქვს ამოკვეთილი. ასეთივე ნიშანი აქვს ყაბალახიანი მამაკაცის გამოსახულებას, მხოლოდ არა მხრისთავზე, არამედ თავზევით. ეს ნიშნები, შესაძლოა, მიუთითებდეს ამ ბავშვის უფრო ახლო ნათესაურ კავშირზე ამ ორ მამაკაცთან.

აზრთა სხვადასხვაობა არსებობს ხერხეულიძეთა სადაურობა-წარმომავლობის შესახებაც.

ი. გოგებაშვილის თქმით, ხერხეულიძეები ზემო ქართლიდან გადმოსახლებული მარაბდელები იყვნენ. ისტორიულად მარაბდა ხერხეულიძეების კუთვნილება არ ყოფილა. იგი ბარათაშვილებს ეკუთვნოდათ. ამიტომ ხერხეულიძეებს მარაბდის მკვიდრებად ვერ მივიჩნევთ.

თ. ჟორდანიას აზრით, ხერხეულიძეები მესხები იყვნენ. გ. ლეონიძის შეხედულებით, ვინაიდან 1622 წლის სიგელში

„იხსენიებიან: ხერხეულიძე ბატონი აღათანგი, მისი ძმა ბეჟანი, აღათანგის შვილები – პაატა, ნასყიდა, ესენი კიკეთის მებატონენი არიან... მაშასადამე, ცხრა ძმანი ხერხეულიძენი კიკეთიდან ყოფილან და მათთვის მამულის სიახლოვეს უბრძოლიათ მარაბდაში“.

ეყრდნობიან რა არჩილის ცნობას, რომ აღათანგი მარაბდის ომში ყორნისელთა ლაშქარს მეთაურობდა, მკვლევართა ნაწილს მიაჩნია, რომ იგი მდინარე ფრონის ხეობის სოფელ ყორნისიდან იყო და შიდა ქართლის სადროშოს სარდლობდა, ხოლო აქ ხერხეულიძენი შესაძლოა გადმოსახლდნენ თავიანთი პირველსაცხოვრისიდან – მესხეთიდან მომხდურთა მოძალების გამო, ამასთან ნაბოძები ყმა და მამული გააჩნდათ კიკეთის მიდამოებშიცო...

ვახუშტი ბატონიშვილი „საქართველოს ისტორიის“ შესავალში სათაურით „მთავართა გვართათვის“ ჩამოთვლის საქართველოს მთავართა უძველეს გვარებს, როგორიცაა ბაღუაში, ორბელიანი, გამრეკელი, გაგელი, ჯაყელი და სხვები, „რომელნი ერისთაობით იწერებიან და გვარნი არა წარიწერებიან ცხადად საცნობელად“. შემდეგ ქვეთავში „აწინდელთა მთავართა გვართათვის“ ჩამოთვლილი აქვს უფრო გვიან წარმოშობილი დიდგვარიანები, აქვე მიუთითებს შესაძლებლობისამებრ თვითეულის წარმოშობასთან დაკავშირებულ ცნობებს. ხერხეულიძეებს ვახუშტი „აწინდელ“ ქართლის მთავართა შორის ასახელებს. მისი თქმით, ხერხეულიძე შიდა ქართლის მთავარია, მაგრამ წარმოშობით მესხეთიდანაა, უწინ ცხოვრობდა სამცხეში და „არს მოსვლა მისი შემდგომად გაყრილობისა“*[4]

როდის და რატომ უნდა მომხდარიყო ხერხეულიძეთა

* 4. ვახუშტი. საქართველოს ისტორია ნაწ. I ტფ. 1885 გვ. 19

ოჯახის ერთი ნაწილის სამცხიდან ქართლში გადმოსვლა? ვახუშტი „აწინდელ“ ქართლის მთავრებად გულისხმობს იმათ, რომელთა გვარებიც წარმოშიბილა, აღზევებულა, ანდა ქართლში დამკვიდრებულა მეცამეტე-მეთოთხმეტე საუკუნეების შემდეგ. საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ქართლში ზოგიერთი მთავრის გადმოსვლა-დამკვიდრება განუპირობებია აღმოსავლეთ საქართველოდან მონღოლების განდევნას. მაგალითად: „მესხი ამილახორი-შვილი, დიასამიძე, შალიკა-შვილი და თაქთაქი-შვილი, შემდგომად თათრობისა ჩამოვიდნენ სამცხიდამ“ ქართლშიო. თათრობა, ანუ მონღოლობა კი საქართველოში მეთოთხმეტე საუკუნის პირველ ნახევარში გადავარდა.

ზოგიერთი მთავრის სხვა კუთხეებიდან ქართლში გადმოსახლება განუპირობებია 1466 წელს ერთიანი საქართველოს ცალკე პოლიტიკურ ერთეულებად დაშლას: ვინაიდან ზოგი მთავრის მამულები საქართველოს სხვადასხვა სამეფო-სამთავროში მოხვედრილა, მათი შენარჩუნების მიზნით ოჯახიც გაყოფილა.

მაგალითად: „აბაშიძე, ფალავანდიშვილი და ამირეჯიბი: ამათ ერთობასა შინა აქვნდათ მამული იმერეთს და ქართლსა შინა და შემდგომად განყოფისა სამეფოსა ერთი ძმა იქით და ერთი აქით დაშთნენ, ვითარცა აჩენს მამულნი და სიგელნი მათნი. ავალიშვილი: რა დაშთა ხეობა მეფესა ქართლისასა, აგრეთვე ერთი ძმა დაშთა აქა და მეორე სამცხეს“*[5]. სწორედ ასევე, ხერხეულიძე იყო სამცხეს და არს მოსვლა მისი შემდგომად გაყრილობისაო. ერთიანი საქართველო კი საბოლოოდ დაიშალა ქართლის, კახეთისა და იმერეთის სამეფოებად და სამცხის სამთავროდ მეთხუთ-

* 5. ვახუშტი. საქართველოს ისტორია I, გვ. 19

მეტე საუკუნის მიწურულსა და მეთექვსმეტე საუკუნის დამდეგს, ერთიანი საქართველოს ცალკეულ სამეფოებად დაქუცმაცება-გაყრილობის ჟამს უნდა მომხდარიყო ხერხეულიძეების ერთიანი ოჯახის გაყოფა და ერთი ნაწილის მესხეთიდან ქართლში გადმოსახლება, ვინაიდან მათი მამულების ერთი ნაწილი სამცხის საათაბაგოში დარჩენილა, მეორე ნაწილი კი ქართლის სამეფოს ფარგლებში მოჰყოლია. არჩილის ცნობით, მარაბდაში ქართველთა ჯარის მეწინავე ლაშქრად თეიმურაზ მეფეს დავით ჩოლოყაშვილის გლდანელთა და აღათანგ ხერხეულიძის ყორნისელთა სადროშოები განუწესებია, ანუ აღათანგი ყორნისელთა, ქართლელთა სარდალი ყოფილა. ყორნისი ფრონის ხეობაში, ცხინვალის მიდამოებში მდებარეობს. ხერხეულიძეებს რომ შიდა ქართლში მამულები ჰქონდათ, ამაზე მეტყველებს 1759 წლის ნასყიდობის წიგნიც, რომლის თანახმადაც ავთანდილ ხერხეულიძის შვილებს ივანეს და სიმონს მიუყიდიათ მეფის სახლთუხუცეს დიმიტრი ამილახვარისათვის ყმა და მამული ცხინვალში“*[6]. ეს მამულები ავთანდილ ხერხეულიძესა და მის შვილებს თავიანთი წინაპრებისაგან მიუღიათ მემკვიდრეობით /“ჩვენი მკვიდრი და ბარათში გამოყოლილი“/.*[7]

ხერხეულიძეები მოხსენებული არიან 1721 წლის აღწერაშიც: ხერხეულიძე რევაზ, ხერხეულიძე აღათანგ, ხერხეულიძე იესე და ხერხეულიძე-ხოსონაშვილი, რომლებსაც სოფელ დიდებაში გააჩნდათ ყმა და მამული. სოფელი დიდება საბარათიანოში არსებულ დედოფლის მამულებში შედიოდა. როგორც ჩანს, ხერხეულიძეებსა და მათ შთამომავლებს არა მარტო კიკეთში, არამედ მის მახლობლად

* 6 იხ. ე. თაყაიშვილი საქართველოს სიძველენი ტ.III ტფ. 1910წ. გვ. 431-432.
*7. იხ. ი. ლორთქიფანიძე. ქვემო ქართლი ტ. I-II თბ. 1953 გვ. 130-131

მდებარე სოფელ დიდებაშიც გააჩნდათ დედოფლისაგან ნაბოძები ყმა-მამული.

სამცხედან ქართლში გადმოსახლებულ ხერხეულიძეთა ოჯახის წევრები მალე დაწინაურებულან სამეფო კარზე. ერთი მათგანი – ბააკა ხერხეულიძე მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისში უკვე ქართლის სამეფო კარის დიდი მოხელე, მეფის ფარეშთუხუცესია. მიუხედავად ამისა, სამეფო კარზე გამართულ ინტრიგებში იგი ერთიანი და ძლიერი საქართველოსათვის მებრძოლი გიორგი სააკაძის მომხრედ, მისი პოლიტიკის მხარდამჭერად გამოდის. როდესაც სამეფო კარმა სააკაძის ღალატით მოკვლა განიზრახა, კეთილშობილმა და ჩინებულმა მამულიშვილმა ბააკამ შეთქმულება აცნობა მოურავს და სიკვდილისაგან იხსნა. ლუარსაბ მეფემ შეთქმულების გამჟღავნებისათვის ბააკა სასტიკად აწამა.

საქართველოს ისეთ დაუძინებელ და ძლიერ მტერს, როგორც შაჰ-აბასი იყო, სააკაძის გენიალური მხედართმთავრული ნიჭი რომ არ აღდგომოდა წინ, ქართველთა ხვედრი სავალალო აღმოჩნდებოდა. სააკაძეს კარგად ესმოდა, რომ მაჰმადიანური აგრესიის უკუსაგდებად აუცილებელი იყო დაქუცმაცებული საქართველოს ერთ მტკიცე სახელმწიფოდ გაერთიანება და თავისი დევგმირული ძალ-ღონეც სანუკვარი მიზნისათვის ბრძოლას შეალია. სამწუხაროდ კახეთის მეფე თეიმურაზი I და ქართლის მეფე ლუარსაბ II ვერ აღმოჩნდნენ შორს გამხედავნი, რასაც ის მოჰყვა შედეგად, რომ ისინიც და სააკაძეც ანგარებიან დიდგვაროვანთა შეთქმულება-ღალატის მსხვერპლნი შეიქნენ. დიდი მოურავისადმი დიდგვაროვან ბააკა ხერხეულიძის მხარდაჭერა და თანაგრძნობა, ალბათ, ძირითადად გამოწვეული იყო იმით, რომ ბააკაც აშკარად ხედავდა ძმათა გათიშულობის მიზეზის – დანაწევრებული საქართველოს გაერთიანების

აუცილებლობას, რაც ხერხეულიძეთა საგვარეულოს სამეურნეო ინტერესებიდანაც გამომდინარეობდა.

როცა ბააკა ხერხეულიძე სამეფო კარმა მოღალატედ გამოაცხადა, ცხადია, საფრთხე დაემუქრებოდათ ბააკას სხვა ახლობლებსაც, რომლებიც იძულებული იქნებოდნენ სააკაძისავე გზას დასდგომოდნენ. ირანში გადახვეწილ გიორგი სააკაძის ამალაში მართლაც იმყოფებოდნენ ხერხეულიძეები, რაც აშკარად ჩანს მარტყოფის ომიდან, მარტყოფის ველზე დაბანაკებულ ყიზილბაშთა ჯარში მყოფი გიორგი სააკაძე შეთქმულებას ანდობს ყველაზე მახლობელ, საიმედო, ერთგულ და მამაც ქართველ თანამებრძოლებს – შვილს ავთანდილ სააკაძეს, ელია დიასამიძეს, პაპუნა ვაშაყაშვილს და პაატა ხერხეულიძეს; მათთან ერთად იერიში მიაქვს ყიზილბაშთა ლაშქრის მთავარსარდლის ბანაკზე. ასეთ მძიმე წუთებში დიდ მოურავს ღირსეულად უდგას მხარში პაატა ხერხეულიძე. მარტყოფის ომის შემდეგ სააკაძემ ქართლ-კახეთი გაათავისუფლა მტრისგან. დიდი მოურავი უპირველეს კაცად იქცა მთელ საქართველოში. ქართლში პოლიტიკური ვითარების შეცვლის გამო ხერხეულიძეები კვლავ საპატიო ადგილს იკავებენ სამეფო კარზე, რაც იქიდან ჩანს, რომ აღათანგ ხერხეულიძე მარაბდის ომის დროს მთავარ ბანაკში იმყოფება და მეწინავე სადროშოს სარდალია.

მარაბდის ომის შემდეგ მეთვრამეტე საუკუნის შუა ხანამდე განვლილი ასიოდე წელი საქართველოსათვის იყო ისეთი ავბედითი და მძიმე ხანა, როცა ქვეყანა მტრის განუწყვეტელი თარეშისაგან განადგურებამდე მივიდა. ბუნებრივია, რომ ამ მძიმე დროში მრავალი შეძლებული გვარი გაღატაკდა და მამულები დაკარგა. ამას ხომ ვახუშტი ბატონიშვილიც ადასტურებს, როცა „საქართველოს ისტო-

რიაში“ წარჩინებულთა გვარების ჩამოთვლისას ამბობს: „ესრეთ რომელნიმე აღმაღლებულან და რომელნიმე დამდაბლებულან ჟამთა ცვლილებითა, ანუ გაყრითა ძმათათა“ /გვ. 19/. თვითონ ამ გვარის წარმომადგენელი ივანე ხერხეულიძეც ხომ ამბობს 1759 წლის სიგელში: ცხინვალში ყმა და მამული იმიტომ მივყიდე სახლთუხუცესს, რომ ავისა დროთი და ჟამთა ვითარებით დამეჭირაო. ამავე სიგელის თანახმად, ავთანდილ ხერხეულიძესაც სწორედ ჟამთა ვითარებისა და გაჭირვების გამო იძულებით დაუგირავებია დუქანი ძაგია ურიასთან, ხოლო მისი შვილი ივანე ხერხეულიძე ახლა ცდილობს როგორმე დაიხსნას ამ ურიისგან მამის ქონება და გადასცეს დიმიტრი სახლთუხუცესს. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ მარაბდის ომის შემდეგ ხერხეულიძეთა საგვარეულო დამცრობა-გაღარიბების გზაზე დამდგარა.

ხერხეულიძეთა შესახებ მსჯელობიდან საბოლოოდ ასეთი დასკვნა გამომდინარეობს: ხერხეულიძეები სამეფო კართან დაახლოებული დიდგვაროვნები იყვნენ. მათ ყმა-მამული გააჩნდათ მესხეთსა და ქართლში. მეთექვსმეტე საუკუნის დასაწყისში ქართლის სამეფოდან სამცხის საათაბაგოს გამოყოფის გამო ხერხეულიძეთა ოჯახის ნაწილი მესხეთიდან შიდა ქართლში გადმოსახლებულა. მარაბდის ომის მონაწილე აღათანგ ხერხეულიძე და მისი სახლისკაცნი მესხეთიდან ქართლში გადმოსახლებული ხერხეულიძეთა შტოს წარმომადგენლები იყვნენ, რომლებსაც მამულები ყორნისის /შიდა ქართლის/ გარდა ქვემო ქართლის სოფლებშიც – კიკეთსა და დიდებაშიც ჰქონდათ. ისინი საქართველოს გაერთიანებისათვის მებრძოლ გიორგი სააკაძის თანამოაზრეთა რიგებში იმყოფებოდნენ. აღათანგის სახლისკაცთა სახელებიდან მხოლოდ ნაწილია ცნობილი. ესენია: მეფის ფარეშთუხუცესი ბააკა, თვითონ აღათან-

გი, მისი ძმა ბეჟანი, აღათანგის შვილები პაატა და ნასყიდა. მეჩვიდმეტე საუკუნის ირანელი ისტორიკოსი ისკანდერ მუნში აღათანგს აღა თენგიზს /ბატონ თენგიზს/ უწოდებს. მარაბდის ომში დაიღუპა რვა ხერხეულიძე. მარაბდის ეკ-ლესიის ეზოში არსებულ ხერხეულიძეთა საფლავებს შო-რის ჩრდილო-დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ მეორე სამარის ქვეშ განისვენებს დიდებული სარდალი, სახელო-ვანი ქართველი მამულიშვილი აღათანგ ხერხეულიძე.

სადური იყო ერაყის მეფე დაუდ-ფაშა?

ეგვიპტისა და ერაყის ხალხთა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში დიდი ღვაწლი მიუძღვით მამლუქებს. ისინი ეგვიპტეს მართავდნენ მეცამეტე საუკუნის დასაწყისიდან მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისამდე, ხოლო ერაყს – მეთვრამეტე – მეცხრამეტე საუკუნეებში – დაახლოებით 100 წელიწადს. დასაბუთებულია ისიც, რომ მამლუქთა უმეტესობა კავკასიელები, განსაკუთრებით ქართველები იყვნენ, რომლებსაც ბავშვობის ასაკში იტაცებდნენ მაჰმადიანი მეკობრეები და ერაყის, ეგვიპტის, ოსმალეთის და ირანის ტყვეთა ბაზრებზე ჰყიდდნენ. ასეთი ბედი ეწია დავით მანველაშვილსაც, რომელიც 6 წლის ასაკში /დაახლოებით 1780 წელს/ გაიტაცეს საქართველოდან. გარკვეული დროის შემდეგ მან ერაყში მეფობას მიაღწია. დავითმა, რომელიც ისტორიაში დაუდ-ფაშას სახელით შევიდა, დიდი სამხედრო, სამეურნეო და პოლიტიკური გარდაქმნებით ერაყისა და თურქეთის სახელმწიფოები აღმავლობის გზაზე დააყენა. დაუდ-ფაშას მოღვაწეობას ასეთ შეფასებას აძლევენ: „იყო გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე, მოქნილი ჭკუა-გონებისა და უაღრესად კეთილშობილური აღნაგობის მქონე ადამიანი, ფრიად განსწავლულ-გაწაფული არაბულ-სპარსულ-თურქულ ენებსა და ფილოსოფიაში, კანონმდებელი, აღმაშენებელ-განმანათლებელი, მბეჭდავი გამომცემელი და დამოუკიდებლობისთვის აქტიური მებრძოლი კაცი; პიროვნება, ვინც ბაღდადის საფაშოში გატარებული სასოფლო-სამეურნეო, სამრეწველო, სავაჭრო, კულტურული და სამხედრო ხასიათის დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებების მეოხებით ერაყი აღმავლობის გზაზე დაა-

ყენა და ისიც მაშინ, როცა მთელი ისლამის სამყარო დაკ-ნინებისაკენ მიექანებოდა. მხოლოდ ასეთ პიროვნებაზე შეიძლება ეთქვა თანამედროვეს, რომ „ის იყო უდიდესი ადამიანთაგანი, ულემთა მეთაური, რომელიც განირჩეოდა თავის თანამედროვეთაგან განსაკუთრებული იდეალებით. შესანიშნავად იცოდა სამი ენა, პოეზია და პროზა, მშვიდობის დროს იყო მხიარული და მჭერმეტყველი, ხოლო ბრძოლაში უმამაცესი. სიკეთესა და თავმდაბლობაში ბადალი არ ჰყავდა. თუ ყოველივე ამით შევადარებთ სხვას, მაშინ ის არის ნამდვილი ვაზირი „ამ შეფასებას ახლაც იზიარებენ თანამედროვე არაბი მეცნიერები ალ-აზზავი, აზ ად-დინ იუსუფი, მუჰამედ ბასირი და სხვები.“

დაუდ-ფაშას შესახებ შემონახული ცნობები არაბულ, ინგლისურ, ფრანგულ, რუსულ წყაროებში, მათ შორის რასულ ჰავი ეფენდის, სულეიმან-ბეგ ბენ ჰაჯი თალიბ ქაჰიას, ამინ ბენ ჰასან ალმადინის, ჰამდი-ბეგ ბაბანის, ოშელუას, ა.ნ. გროვესის, კერ-პორტერის, ვ.ფონტანიეს, ჯ.ბ. ფრეზერის, ალ-მუჰამი აბბას ალ-აზზავის, კ.უარის, ს.ჰ. ლონგრიგის, ა. ადამოვის და სხვათა შრომებში.

დაუდ-ფაშას საოცარი ცხოვრება შესანიშნავად არის მოთხრობილი ბ. სილაგაძის გამოკვლევებში „დაუდ-ფაშა“. *[1,2].

სახელდობრ საიდან იყო დაუდ-ფაშა? ზოგი მკვლევარი მას ერაყის დედაქალაქ ბაღდადში დაბადებულად თვლიდა, ზოგი ასეთ ადგილად თბილისს მიიჩნევდა. ერაყის მეფედ ყოფნის დროს დაუდ-ფაშამ მოქარავნე ვაჭრებისგან შეიტყო, რომ მისი ოჯახი იმყოფებოდა თბილისში და ითხოვა მათი ყმობიდან გათავისუფლება. საქართველოს სახელმწიფო ლიტე-

* 1. ბ. სილაგაძე „დაუდ-ფაშა“ გვ. 334-335
*2. იხ. „საისტორიო მოამბე“, წიგნი 1, გვ. 176-188

რატურული მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში დაცულია დაუდ-ფაშას თხოვნის პასუხად გიორგი ბოჩოლაშვილის ოჯახის ყმობიდან განთავისუფლების სიგელი, გაცემული 1820 წლის 10 ნოემბერს ლუარსაბ ორბელიანის მიერ და დამტკიცებულია ამავე წლის 13 ნოემბერს თბილისის სამაზრო სასამართლოს მიერ. აქვეა ამ საბუთის ასლი და დავითის წერილი დედისადმი. ამ მასალების ანალიზით ირკვევა შემდეგი:

1. დაუდ-ფაშა განათლებული, მჭერმეტყველი და ფილოსოფიურად მოაზროვნე კაცია. იგი ძალით მოუშორებიათ საყვარელი სამშობლოსაგან და მწარედ განიცდის, რომ თავისი ნიჭი და უნარი ვერ მოახმარა ქართველი ერის სამსახურს. 2. დავითის მშობლები გიორგი და მარიამი ოჯახის წევრებით თავად ლუარსაბ იოანეს ძე ორბელიანის სამკვიდრო ყმა გლეხები ყოფილან. 3. გიორგი მანველაშვილის ოჯახს ადრე ლუარსაბ ორბელიანის მამულში უცხოვრია, ხოლო დავითის დაკარგვის შემდეგ საცხოვრებლად თბილისში გადმოსულა, დავითი გვარად მანველაშვილი ყოფილა, ხოლო გიორგი მანველაშვილის ოჯახის წევრებს თბილისში გადმოსახლების შემდეგ გვარი შეუცვლიათ და ბოჩოლაშვილები გამხდარან.

მანველაშვილები ჯერ კიდევ 1536 წლის ბარათაანთ გაყრის წიგნში არიან მოხსენიებული, როგორც სოფელ იფნობის მკვიდრნი.*[3].

ყველა ამ მასალის ანალიზით ბ. სილაგაძე ასკვნის , რომ მანველაშვილები თბილისში გადმოსახლებულან „ქვემო ქართლიდან (დაახლოებით დმანისის მხრიდან)“. სად მდებარეობდა სოფელი იფნობი? რადგან მანველაშვილები ყმობიდან ორბელიანებს გაუთავისუფლებიათ და ისინი იფნობში

* 3. ჯანელიძე, ბ. სილაგაძე - ქართველი მამულიშვილები ეგვიპტესა და ერაყში“. თბ. 1967

ცხოვრობდნენ, ამიტომ ეს სოფელი საორბელიანოში უნდა ყოფილიყო. ეს თვით ლუარსაბ ორბელიანის სიტყვებიდანაც დასტურდება, როცა წერს სიგელში: „მე ქვემო ხელის მომწერელმა თავადმა ლუარსაბ იოანეს ძემ ორბელიანმა განვათავისუფლე ჩვენის ყმობისაგან ჩემნი სამკვიდრონი ყმანი... ბოჩოლაანთ გიორგის შვილები“ ლუარსაბ ორბელიანი წარმომადგენელია ორბელიანთა ძლიერი გვარის ერთ-ერთი შტოსი — ყაფლანიშვილებისა. სხვადასხვა სიგელ-გუჯრებიდან, აგრეთვე 1701-11 და 1721 წლების ქვემო ქართლის აღწერებიდან ირკვევა, რომ ყაფლანიშვილების უზარმაზარი მამული მდებარეობდა დაბალში, ლოქში, დმანისის ხეობაში, ყარაბულაღში და ტაშირში. მათ ყმები ჰყავდათ 120 სოფელში. ფიტარეთის დიდებული ტაძარი, რომელიც ხრამის ხეობაში, დღევანდელი თეთრიწყაროს რაიონის ტერიტორიაზე მდებარეობს, ორბელიანთა საგვარეულო სამარხი იყო. მათი აგებულია იქვე მდებარე ხულუტის ციხეც. ვახუშტი ბაგრატიონის 1721 წლის აღწერის თანახმად სოფელი იფნობი მოთავსებულია „დაბალში“, ე. ი. დანარჩენი მხარეები – ყარაბულაღი. ლოქი, ტაშირი ამ შემთხვევაში გამორიცხულია. რადგან იქ ასეთი სოფელი არ არსებობდა. ამ სახელით მხოლოდ ეს ერთი სოფელი იყო საორბელიანოში და ისიც „დაბალში“ რომელიც გულისხმობდა ქციის ხეობასა და დმანისის ხეობას.*[4] „დაბალში“ მდებარეობდა 39 სოფელი, მათ შორის 1 სოფელი – ალგეთის ხეობაში. 27-ამდე სოფელი ქციის ხეობაში, დანარჩენი 11 სოფელი დმანისის ხეობაში. მაშასადამე, „დაბალის“ უმეტესი ნაწილი ქციის ხეობაზეა მოდის. „დაბალში“ შემავალ ქციის ხეობაში მდებარეობდა ყაფლანიშვილების შემდეგი სოფლები: წრაურთა,

* 4. იხ. იასე ლორთქიფანიძე, ქვემო ქართლი. I-II თბ. 1935წ. გვ. 258

ბალახაური, ქცილა, მუგუთი, თაფანი, ბოცოეთი, ავაზანი, ჯვარა, ბურვილი, კიპრუჭი, აბანო, ქვემო ფოცხვერიანი, მირტაშენი, იფნობი და სხვა.*[5] ვახუშტი ბატონიშვილის 1721 წლის აღწერით, რუქებით და სხვა არსებული წყაროებით დადასტურებულია, რომ ყველა ეს სოფელი მდებარეობდა დღევანდელი თეთრიწყაროს რაიონში.

„დაბალში“ არსებული ქციის ხეობის სოფლებში მოქცეული იფნობიც სწორედ ამ მიდამოებში უნდა ყოფილიყო. იასე ლორთქიფანიძე ასე განსაზღვრავს იფნობის მდებარეობას: „იფნობი – ქციის ხეობაში, მდ. ქციის მარცხენა მხარეზეა, მირტაშენის და ირდასუბნის დასავლეთით, სენების აღმოსავლეთით. სიით 361. 1536 წ. ერგო იოთამ ბარათაშვილს იფნობში 9 კომლი /საისტორიო. მ. 1924 წ. 1/. იხსენიება XVII საუკ. საყაფლანიშვილოს დავთარში. 1707 წ. მებატონე ყაფლანიშვილები /სიძვ. II-174/. 1701/11წ. აღწ. ითვლეობდა 4 მემამულე/ ნამორაძე, ბლორძელი, ბაზიერიშვილი/, 5 გამომღები და 3 ბოგანო ყმა. 1721 წ. აღწ. ითვლებოდა 2 მებატონე/ ყაფლანიშვილები, ყაფლანიშვილი ლუარსაბ/, 1 მემამულე/ ბაზიერიშვილი/, 18 გამომღები, 4 ბოგანო და 1 ამოწყვეტილი ყმა. 1721 წლის აღწერის ვარიანტში ბოგანო 3-ია.*[6]

ეყრდნობოდა რა ვახუშტი ბატონიშვილის 1721 წლის აღწერასა და რუქებს, აგრეთვე საბარათიანოს შესახებ არსებულ სხვა წყაროებს, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატს ვარლამ გონგაძეს გამოკვლევაში „თეთრიწყარო (მისი წარსული და აწყმო)*[7] მე-18-21-ე გვერდებზე მოთავსებული აქვს სრული სია თეთრიწყაროს რაიონის

*5. იქვე, გვ. 138-382

* 6. იხ. მისი ნაშრ. “ქვემო ქართლი“ გვ, 316

* 7. იხ. ვ. გონგაძე თეთრიწყარო (მისი ახლო წარსული და აწყმო თბ. 1959).

ტერიტორიაზე ძველად არსებული სოფლებისა /სულ 186 სოფელია/. მათ შორისაა იფნობიც. სიით 76-ე, 21-ე – 23-ე გვერდებზე მოთავსებულია სია სოფლებისა, რომლებიც მტრის მრავალგზის შემოსევების გამო სამუდამოდ მოისპო /სულ 124 სოფელია/; სოფელი იფნობი არ არის მათ შორის. 24-ე, 25-ე გვერდებზე სია იმ 62 სოფლისა, რომლებიც რუსეთთან შეერთების შემდეგ აღდგა ნანგრევებიდან და უმეტესობას შერჩენილი აქვს კვლავ თავისი ძველი სახელწოდებაც. მათ შორისაა იფნობიც, სიით 27-ე, რომელსაც ფრჩხილებში მიწერილი აქვს – „დღევანდელი იფნარა“. ე.ი. ვ. გონგაძის დასკვნით ძველი იფნობი და დღევანდელი იფნარა ერთი და იგივე სოფელია.

ზაქარია გულისაშვილი, რომელმაც ფეხით შემოიარა ქვემო ქართლი და ჯავახეთი, 1900 წელს წერდა: „ჩვენ მოვედით აქ ქართლიდამ და უშველებელი სოფლის ნანგრევებზე დავდეთ ბინაო“, მიამბეს ფურცელაძეებმა, რომელნიც ოც კომლამდე ცხოვრობენ ბერძნის სოფელ დემურ-ბელაღში. ქართველთ ნაოხრებზე შენდება ყაზარმები, სააგარაკო სადგომები და ვადაშესრულებულ ჯარისკაცთა სადგომები. ამ უკანასკნელთა საკარტოფილე-საკომბოსტნოებიდან ახლაც მოჩანან მოფუშული ეკლესიანი.“*[8].

ასე იყო ყველგან. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში მეფის ხელისუფლების ნებართვით და მხარდაჭერით ქვემო ქართლში და მათ შორის თეთრიწყაროს რაიონის მიწაწყალზე ფართო ხასიათი მიიღო მოსახლეობის ხელახლა დასახლებამ. ახალმოსახლეები ძირითადად ამჯობინებდნენ დასახლებას ძველ ნასოფლარებზე რამდენიმე მიზეზის გამო: 1 სახლების ასაგებად მზა საშენი მასალა ნასოფლარებში უხვად ეყარა; 2. სახნავ-სათესად ვარგისი მიწებიც სწო-

*8. ზ. გულისაშვილი, მოთხრობები, ნარკვევები თბ. 1953 გვ. 201.

რედ აქ იყო; 3. სოფლისა და მისი შემოგარენის გაწმენდა და გზების გასუფთავებაც ადვილი იყო; 4. მთავარი გზები სწორედ ამ ნასოფლარებზე გადიოდა და დამატებით სამუშაოები გზების გასაყვანად საჭირო აღარ იყო; 5. აქა-იქ შემორჩენილი იყო ცალკეული ნაგებობანი, მათ შორის ახალმოსახლე ქრისტიანთათვის ეგზომ საჭირო წმინდა ეკლესიანი; 6. დასახლების მთავარი პირობაა სასმელი წყალი. წყაროები კი სწორედ ამ ნასოფლარებთან იყო. ამ გამაიოლებელმა პირობებმა გამოიწვია ახალმოსახლეთა დაბინავება ნასოფლარებზე და არა სხვაგან. ახალშენი სოფლების უმეტესობას იგივე სახელი უწოდეს, რაც ერქვა ნასოფლარებს, ძველ სოფლებს. ამის მაგალითია დღევანდელი თეთრიწყაროს რაიონის მრავალი სოფელი – ირაგა, დაღეთი, სამშვილდე, სამღერეთი, ლიპი, დურნუკი, ვარხუნო და ა.შ. სოფელი იფნარიც ასე გაჩნდა. მეცხრამეტე საუკუნეში აქ დასახლდნენ ოსები და სოფელს იფნარი უწოდეს. ქვემო ქართლში 1721 წლის აღწერის თანახმად არსებობდა კიდევ ერთი სოფელი იფნარი, რომელიც მდებარეობდა ყარაბულაღში, მდინარე ზურტაკეტის მარჯვენა მხარეზე, საჭეს სამხრეთით, ნაპალატევის ჩრდილოეთით. ეს ადგილები ზურტაკეტის მხარეში, მდინარე ზურტაკეტის ხეობაში, დღევანდელი დმანისის რაიონშია.*[9] ზურტაკეტის იფნარა შედიოდა 1721 წლის აღწერის თანახმად სადედოფლო-საბარათიანოში და წარმოადგენდა მებატონე ავთანდილ სუფრაჯის სახასო სოფელს. ე.ი. ზურტაკეტის იფნარა არ იყო ლუარსაბ ყაფლანიშვილის საკუთრება და რადგან მანველაშვილები ლუარსაბ ყაფლანიშვილმა გაათავისუფლა ყმობიდან როგორც თავისი „სამკვიდრო ყმანი“, ამიტომ ბუნებრივია, მანველაშვილებს უნდა ეცხოვრათ არა ავთანდილ სუფრაჯის სამკვიდრო იფნარში,

*9. იხ. საქართველოს კულტურის ძეგლები ი,. 1959. გვ. 48-52.

არამედ ლუარსაბ ყაფლანიშვილის სამკვიდრო იფნობში.

ამ ნარკვევის დაწერიდან 23 წლის შემდეგ 1991 წელს გამოქვეყნდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლის ბ-ნ ხარაძის ჩინებული წიგნი „საქართველოს ისტორიული გეოგრაფია. ქვემო ქართლი“. ავტორმა წიგნს დაურთო XVIII საუკუნის I- ნახევრის ქართლის ძველი ტოპონიმების რუკა, მასზე მითითებულია თითქმის ყველა ძველი დასახლებული პუნქტი ზოგიერთის გამოკლებით. მითითებულია ისიც, ისინი ამჟამად ცოცხალია თუ ნასოფლარი. იმ რუკაზე აღნიშნულია, რომ იფნობი მდებარეობდა მდინარე ქციის მარჯვენა მხარეზე, დღევანდელ სოფელ სამშვილდისა და სამშვილდის ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთით, დღევანდელ სოფელ დაღეთის სამხრეთით და იგი ამჟამად ნასოფლარია. ამრიგად იასე ლორთქიფანიძის განმარტება მთლად ზუსტი არ არის: იფნობი მართლაც მდებარეობს ნასოფლარ მირტაშენისა და ირდასუბნის დასავლეთით, მაგრამ მდინარე ქციის მარჯვენა მხარეზე და არა მარცხენაზე. ასევე არც ვ. გონგაძის დასკვნაა სწორი: იფნობი და დღევანდელი თეთრიწყაროს რაიონის სოფელი იფნარი სხვადასხვა სოფლებია.

ამრიგად დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ დავით მანველაშვილი ანუ ერაყის მეფე დაუდ-ფაშა დაბადებულია თეთრიწყაროს რაიონის სოფელ იფნობში, რომელიც ამჟამად ნასოფლარია და მდებარეობს ქალაქ თეთრიწყაროს მახლობლად, მის სამხრეთით ხუთი-ექვსიოდე კილომეტრის დაშორებით, სოფელ დაღეთისა და ნასოფლარ თაფანის სამხრეთით და სოფელ სამშვილდის სამხრეთ-აღმოსავლეთით.

სახელწოდება ოდიშის განმარტებისათვის

საქართველო ოდითგან ქართული მოდგმის სხვადასხვა ტომებით იყო დასახლებული და ცალკეული კუთხეების ანდა ქვეყნის სახელწოდებაც ხშირად აქ მოსახლე ტომის სახელიდან წარმოდგებოდა ხოლმე. აღმოსალეთ საქართველოში ცხოვრობდნენ მესხების, ჯავახების, იბერების, კახების, ქართების, დასავლეთ საქართველოში – ეგრების. კოლხების, ლაზ-ჭანების, აბაზგების, სვანებისა და სხა ტომები. თავდაპირველად აღმოსავლეთ საქართველოში პირველობდა ხების ტომი. ქვეყნის უძელესი დედაქალაქი მცხეთა, იგივე მესხეთა, მათი დაარსებულია და მესხების სამყოფს ნიშნავს. შემდეგ იბერთა ტომი მოექცა სათავეში და ქვეყანას იბერია ეწოდა. ხანგრძლივი ბრძოლების შემდეგ სპარსელებმა დაამარცხეს იბერთა ტომი და ქვეყნის მმართველობას ჩამოაშორეს. VI საუკუნის პირველი ნახევრიდან ქვეყნის მმართველობა ხელთ იგდეს სპარსელთა მოკავშირე ქართებმა, რის შემდეგაც აღმოსავლეთ საქართველოს ქართლი ეწოდა.

დასავლეთ საქართველოში თავდაპირველად ეგრების ტომი იყო მეთაური და მას ეგრი-ეგური-ეგრისი ეწოდა. აქედან წარმოდგა მდინარის სახელწოდებაც – ენგური, ინგირი. შემდგომში ხან კოლხას ტომი იყო გაბატონებული, ხან ლაზების ტომი, რის გამოც მეზობელი ქვეყნები – ასურელები, ურარტუელები, ბერძნები, რომაელები, ბიზანტიელები დასავლეთ საქართველოს კულხას, კოლხას, კოლხიდას, ლაზიკას უწოდებდნენ. ეგური-ეგრისიდან წარმოსდგა მოსახლეობის სახელწოდებაც – მეგრელი. X-XI საუკუნეებში დასავლეთ საქართველოს ეწოდება სამეგრელო, XII საუკუნეში – სამეგრელო და აფხაზეთი, ანუ სამეგრელო უკვე

უშუალოდ ამ ტომით დასახლებულ ტერიტორიას ჰქვია. სამეგრელოს ერთ ნაწილს თავიდანვე ოდიში ერქვა. შემდეგ ოდიში დაწინაურდა – საერისთაოდ იქცა. ბოლოს ოდიშის ერისთავთა ძალაუფლება მთელ სამეგრელოზე გავრცელდა და სამეგრელოს მეორე სახელი – ოდიშის სამთავრო ეწოდა. ამ სახელით მოიხსენიება იგი XII—XIX საუკუნეებში. XIX საუკუნის დასაწყისიდან საბოლოოდ მისი სახელწოდებაა სამეგრელოს სამთავრო.

ჩვენი ქვეყნის ცალკეული მხარეების სახელწოდებათა წარმოშობის ეს ისტორია გვამცნობს: ისინი ძირითადად სატომო სახელწოდებიდან წარმოდგა. რას ნიშნავს სახელწოდება ოდიში? იგი არ მომდინარეობს ტრადიციული სატომო სახელწოდებიდან. ამიტომ მეცნიერებს უჭირთ მისი განმარტება. დღემდე გამოთქმული მოსაზრებანი ძალზე განსხვავებული და არა დამაჯერებელია:

ვახუშტი ბაგრატიონი: როცა საქართველო ერთ მთლიან ქვეყნად გაერთიანდა, სამეგრელოს ნაწილი ბერძნებს დარჩათ და მაშინ ქართველები იტყოდნენ ხოლმე – ოდეს იყო ის ქვეყანა ჩვენი. აქედან წარმოდგა სახელწოდება ოდიშიო.

იოანე ბაგრატიონი: როცა ცხენის წყალი ადიდდა და მურვან ყრუს 30 ათასი მხედარი დანთქა, მაშინ სპარსელებმა თქვეს (ხილაიშილურ) – ე. ი. ღვთის საქმეაო და მერე ენის ცვლილების გამო ეწოდა ოდიშიო.

მოსე ჯანაშვილი: ოდიში უნდა აღნიშნავდეს ოტიის ქვეყანას ან კიდევ ოდა-სახლებით დასახლებულ ქვეყანასო.

ნიკო მარი: ოდიში დიხების, ანუ ჯიქების სატომო სახელიდან უნდა მოდიოდესო.

სარგის კაკაბაძე: სამეგრელოში ოდესღაც დიზერების ტომი ცხოვრობდა, რომელიც შემდეგ გაქრა. მისგან დარჩა გეოგრაფიული სახელი მეგრული თავსართით: ო-დი-ში.

ვ. ბერიძე: ოდი ღვთაება იყო და მისგან ეწოდა ქვეყანას სახელი ოდიში – ოდის ღვთაების ქვეყანაო.

თამაზ ბერაძე: ნაშრომში (სამეგრელოს ისტორია) საფუძვლიანად მიმოიხილავს სამეგრელო-ოდიშის სახელწოდებათა წარმოშობის ისტორიას და მათ ირგვლივ არსებულ ვარაუდებს, მაგრამ მეცნიერული სიფრთხილის გამო თავის მოსაზრებას არ გვთავაზობს.

როგორც ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა, გეოგრაფიულ სახელებს უმეტეს წილად ქართულში „ისი“ დაბოლოება აქვს, მეგრულში – „იში“. ქართლში გვაქვს გეოგრაფიული სახელი ოდი-სი, ოძი-სი /აქ გამოთქმის გაადვილების მიზნით „დ“ შერბილდა და „ძ“ ბგერად იქცა/, სამეგრელოში – ოდი-ში. „სი“, „ში“ აქ ბოლოსართია, ხოლო სიტყვის ძირია ოდი. რას ნიშნავს სიტყვა ოდი?

ქართულ ადგილსახელებზე მსჯელობისას მხედველობაშია მისაღები შემდეგი გარემოება: ადგილსახელები იქმნებოდა გეოგრაფიული პირობების, იქ გავრცელებული ფლორის, ფაუნის, ჰავის, სამკურნალო წყაროს, ხელობისა ან მეურნეობის დარგის მიხედვით.

იაკობ გოგებაშვილი სამეგრელოს შესახებ წერს: „სამეგრელოს ტყეები თითქმის სრულიად მოკლებულია ფრინველებს და აქ ადამიანს ძალიან იშვიათად ესმის იმათი საამური ჭიკჭიკი და გალობა. ფრინველები ალბათ იმიტომ ერიდებიან სამეგრელოს ტყეებს, რომ მათზე ცუდად მოქმედებს აქაური ჭაობის ჰაერი და ავად ჰხდის... შავი ზღვიდგან ქარს წვიმის ღრუბელი დაუბრკოლებლივ უხვად მოაქვს სამეგრელოში. ამის გამო ეს მხარე კიდევ უფრო წვიმიანი ქვეყანაა, ვიდრე იმერეთი. ხან მთელი თვე გავა, რომ ექვს-შვიდჯერ მზე ვერ დაინახო. ... სახნავ-სათესი მიწა აქ ძალიან ნაკლებად არის, რადგანაც დიდი ნაწილი სამეგრელოსი ტყეებსა და ჭაობებს უჭირავს... მეგრელები სთესავენ: სიმინდსა, ღომსა, პურსა,

დიკასა, ქერსა და ფეტვსა. უფრო ბევრი ითესება სამეგრელოში სიმინდი და ღომი. პური ძალიან ცოტა მოჰყავთ. ამის მიზეზი, სხვათაშორის, ის არის, რომ აქაც, როგორც ქვემო იმერეთში, მეტი სიცხისა და სინესტის გამო პური ჩახურდება და აოდავს ხოლმე... ჰაერის გადამეტებული სინესტის გამო აქაური ღვინო თხელი, უღონო და წყლიანია. / „ბუნების კარი“, 1912 წ. გვ. 497-499/.

ოდიშის სახელწოდების გასაღები სწორედ იაკობ გოგებაშვილის ამ ფრაზაშია: „მეტი სიცხისა და სინესტის გამო პური ჩახურდება და აოდავს ხოლმე.“ რას ნიშნავს პურის აოდვა, ოდი პური?

დავით ჩუბინაშვილის განმარტებით: „ოდი – მოსავალთ წახდენა მზის სიცხისგან ნაწვიმარზედ“. „ოდიში – ეტერი მოსავალთა პურისათა, სიმინდთა, ცერცვთა ან ხის მოსავალთა, ჯერეთ შემოუსვლელი და მწვანე.“ /დ. ჩუბინაშვილი. ქართულ-რუსული ლექსიკონი. თბ. 1984. გვ. 991/.

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით: „ოდი – წვიმასა და მზისაგან ნაყოფთ წყენა... ოდოშად ითქმის თხილთა, ნიგოზთა, ნუშთა და ეგევითარი, ცერცვი და სიმინდი არამოწევნული მოწილვად, არამედ ოდენ მოჟამებული და ნაკლები მცირედ... მარცვალსა დაუჟამებელსა და სიმაგრენაკლებულსა ოდოშსა უწოდებენ.“ /სულხან-საბა ორბელიანი. სიტყვის კონა. ტ. I, თბ. 1991. გვ. 601/.

ალექსანდრე ღლონტის ქართულ კილო-თქმათა ლექსიკონში აღნიშნულია: ოდიში – შემოუსვლელი ყანა, სანახევროდ შემოსული ყანა, ნედლი სიმინდის ტარო. ოდოშღერი – სიმწიფეში შემავალი, არასრულად დამწიფებული პურეული, ნახევრად ხმელი, ჭანარი, მარცვლეულის სიმწიფის ისეთი პერიოდი, როდესაც კიდევ რძიანია“. /ალ. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა ლექსიკონი. თბ. 1984, გვ. 425/. ავტორის განმარტებით ეს სიტყვები გავრცელებულია ქარ-

თლურ, კახურ, ქიზიყურ, თუშურ, იმერულ კილოებში, ანუ მთელ საქართველოში.

ე. ი. ოდი ნიშნავს ხანგრძლივ წვიმებზე დართული ცხარე მზის გამო წარმოქმნილი ცხელი ორთქლით ჩახურებული და დაზიანებული ხორბლის /მარცვლეულის, ხილეულის/, მოსავალს, ასეთი ხორბლისგან ჯანმრთელობისათვის საზიანო, საკვებად უვარგისი, მათრობელა პური ცხვებოდა; არასრულფასოვანი იყო ოდოში, ოდოშღერი მოსავალიც: ანუ ნედლი, ზრდადაუსრულებელი, ჭყინტი, მოუმწიფებელი, ჭანარი, ხორბალი, სიმინდი, ცერცვი და სხვა მარცვლეული და ხილეული. მაგალითად, ქართლში, მანგლისის უკიდურესი აღმოსავლეთი ნაწილი მოიცავს ყოფილი ზემო ოძისისა და ქვემო ოძისის ნასოფლარებს. საინტერესოა რომ ყოველ წელს სწორედ ამ უბანს /რამდენიმე ქუჩა/ სისტემატურად სეტყვავს, იგი გაჰყვება ამ ხეობას და სოფელ თონეთამდე აღწევს. მანგლისის დანარჩენი უბნები კი სეტყვას გადაურჩება ხოლმე. ეს ზოლი ზოგჯერ ისე ისეტყვება, რომ ხეს ფოთოლიც კი არ შერჩება. ხშირად წელიწადში რამდენჯერმე, სულ სხვადასხვა თვეებში ხდება ასე. და ეს მეორდება ყოველ წელს. მიზეზი კი აუხსნელია. ამის შედეგად ამ უბანში ხშირია მოუსავლიანობა, ანდა მოსავალი ძლიერ ზიანდება. სწორედ ამის გამო ერქვა ამ სოფლებს ოძისი. აქედან გამომდინარე ოდი-სი, ოდი-ში ნიშნავს ისეთ ადგილს, სადაც მარცვლეულის ოდი მოსავალი მოდის, დამწიფებას ვერ ასწრებს, ანდა ნაადრევად ზიანდება ცუდი ჰავის გამო. საქართველოში ამ სახელწოდების რამდენიმე სოფელი არსებობს. სამეგრელოში კი, ი. გოგებაშვილის თქმით, ხორბალს სწორედ ასე ემართება... ამის მიზეზი კი არის სამეგრელოს განსაკუთრებული ჰავა – ხანგრძლივი ღრუბლიანობა და წვიმები. ჭარბი ტენი, წვიმის მერე ცხა-

რე მზისგან წარმოქმნილი ცხელი ორთქლის სიჭარბე, რაც ჭაობიანი ნიადაგისათვის არის დამახასიათებელი.

მეოცე საუკუნეში კოლხეთის დაბლობის ჭაობების დიდი ნაწილის დაშრობის შემდეგ სახნავ-სათესი მიწები შედარებით გაიზარდა და გაუმჯობესდა. წარსულ საუკუნეებში კი სამეგრელოში ძალზე მძიმე მდგომარეობა იყო. ადამიანები იძულებულნი იყვნენ სახლები ხელოვნურად გაკეთებულ ბორცვებსა და ქვაყრილებზე – „დიხაგუძუბებზე“ მოეწყოთ, რომ ბინა ცოტა მშრალი ყოფილიყო. ტყე უნდა გაეკაფათ, არხები გაეყვანათ, ჭაობის წყალი დაეწრიტათ და ასე ძალით გამოეტაცათ ჭაობისათვის სახნავ-სათესი მიწა. აი, როგორ ცოცხლად აღწერს ამ სურათს 2400 წლის წინანდელი ბერძენი სწავლული ჰიპოკრატე: „ეს ქვეყანა ჭაობიანია, თბილი, წყლიანი და ტყიანი. წლის ყოველ დროს აქ ხშირი და ძლიერი წვიმები მოდის. ადამიანებს საცხოვრებლად ჭაობები აქვთ და მათი ხისა და ლერწმის სახლები წყალზეა გამართული. ისინი ცოტას დადიან ფეხით ქალაქებსა და ნავსადგურებში, არამედ დაცურავენ აღმა-დაღმა ერთ ხეში ამოთლილი ნავებით, რადგან არხები ბევრია“. ფეხით ცოტას დადიოდნენ იმიტომ, რომ იქ უფრო მეტი იყო წყალი და ჭაობი, ვიდრე მყარი მიწა. ამიტომ არ იყო სამეგრელოს მიწა და ჰავა მარცვლეულის მოსაყვანად ხელსაყრელი. მარცვლეული, განსაკუთრებით ხორბალი, ვერ ასწრებდა დამწიფებას და ზიანდებოდა გამუდმებული წვიმებისა და მზის მხურვალებით წარმოქმნილი ჭარბი ტენის, ცხელი ორთქლის გამო. ეტყობა ოდი ხორბალი /და სხვა მოსავალი/ მოდიოდა უფრო ხშირად სამეგრელოს იმ ნაწილში, რომელსაც ამის გამო ყველაზე უწინ ეწოდა ოდიში. შემდეგ კი, როცა სამეგრელოს სათავეში ოდიშელები აღმოჩნდნენ, სახელწოდება ოდიში მთელ სამეგრელოზე გავრცელდა.

2001 წ.

ოთხასი წელი ტაშისკარის ომიდან წმინდანის ხსოვნა გვავალდებულებს

1609 წლის ივნისში საქართველოს 40 ათასი თურქი შემოესია ფერჰად-ფაშას სარდლობით. ლაშქარში იყო 2 ათასი ყირიმელი თათარიც სათარ-ხანის მეთაურობით. მტერი მანგლისს მოადგა. ქართლის ჭაბუკი მეფე ლუარსაბი სოფელ ცხირეთში ისვენებდა და მტრის შემოჭრისა არაფერი იცოდა. თათრები გზადაგზა წვავდნენ და ანგრევდნენ სოფლებსა და ქალაქებს, მოსახლობას კი ხოცავდნენ, რომ ქართლის მეფესთან ამბის მიმტანი არავინ დარჩენილიყო მტერს მოულოდნელად სურდა მისი ხელში ჩაგდება. უმეფოდ დარჩენილი ქვეყნის დაპყრობა უფრო ადვილი იქნებოდა. მხოლოდ ეგ იყო. თურქთაგან ცხირეთამდე გზა არავინ იცოდა. მანგლისის მახლობლად, სოფელ კველთაში თათრებმა თევდორე მღვდელი შეიპყრეს. ჯერ ლახტით ცემა დაუწყეს, მერე უბრძანეს — მოკლე გზით ცხირეთში გადაგვიყვანეო. თევდორე დათანხმდა. აქედან ცხირეთში მიმავალ კაცს ჩრდილოეთისაკენ უნდა ევლო. თევდორემ კი მტერი დასავლეთისკენ წაიყვანა. მთელი დღე ატარა თრიალეთის ღადა-ღუდეებში უგზო-უკვლოდ და დაღამებისას ქვენადრისის უღრან ტყეში შერეკა. ქანცგაწყვეტილი თათრები მიხვდნენ, რომ მღვდელმა განზრახ აუბნია გზა და სულ სხვა მხარეს წაიყვანა. მათ სასტიკად აწამეს თევდორე, მერე კი ასო-ასო აკუწეს. მტერმა მეორე დღეს ძლივს გაიგნო გზა ცხირეთისაკენ.

ამასობაში მეფის ყურამდე მიაღწია მტრის შემოსევის ამბავმა. სახელოვანმა მხედართმთავარმა გიორგი საა-კაძემ 2500 მეომრით მტერი უკუაქცია მერე კი თანდათან

შემოკრებილი რვაათასიანი ლაშქრით თათრების 40 ათასიანი არმია ტაშისკარის ხაფანგში შერეკა და გაანადგურა ისე, რომ მტრის 12 ჯარისკაცილა გადარჩა ცოცხალი. ეს იყო არა მარტო ქართველი ერის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის, არამედ მსოფლიო ომებისა და სამხედრო ხელოვნების ისტორიაში ერთი ბრწყინვალე ფურცელთაგანი.

თიბათვე იდგა. ხალხი გამარჯვებას ზეიმობდა. ქვენადრისში კი ყაყაჩო ყვაოდა და თევდორეს სისხლისფრად ღადღადებდა ყანებში. ბუჩქებზე მოლაღურები ისხდნენ და მოსთქვამდნენ. მოლაღური იყო თევდორეს ჭირისუფალი, სანამ ხალხი მიაგნებდა წამებულის ცხედარს.

თევდორეს წამების ადგილზე მეფის ბრძანებით პატარა ეკლესია ააგეს. ხალხმა თევდორეს თავდადებული უწოდა, ეკლესიამ კი წმინდანად შერაცხა. იმ ადგილებში ახლაც მწუხარე თიბათვე იცის: ღამით მოლაღურები ქვითინებენ, დღისით კი მდელოებზე ყაყაჩოები თევდორეს სისხლის წვეთებივით ჩანან.

2002 წ. 21 ივნისს წმინდა თევდორეს ხსენების დღეს საინტერესო გადაცემა მიუძღვნა საქართველოს ტელევიზიის პირველმა არხმა. ჟურნალისტებმა ფეხით გაიარეს თევდორეს ნაკვალევზე და შემოგვთავაზეს დოკუმენტური ფილმი – უმშვენიერესი კადრები ქართლის მთებისა, ტყეებისა, მდელოებისა, უგზო გზებისა და გზაწვრილებისა მანგლისიდან ცხირეთის ციხემდე. მათ მეგზურობას უწევდა კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი მწერალი გიორგი ხორგუაშვილი. ყველაფერი დიდებული და ამაღელვებელი იყო: ისევ უღმერთოდ ლამაზი იყო ბუნება, ისევ სისხლის წვეთებივით აჩნდა მწვანედ მოხასხასე მდელოებს ყაყაჩოები, ისევ უგზო ღადა-ღუდეებში წვალებით მიიწევდნენ წინ ადამიანები, როგორც თევდორეს დროს.

ჟურნალისტები გზად შემხვედრ გლეხებს ეკითხებოდნენ – სად უნდა ყოფილიყო ან გამქრალი სოფელი კველთა. გლეხები კი მანგლისის ჩრდილოეთით არსებულ ნასოფლარზე მიუთითებდნენ, რაც მცდარი იყო. ასევე გულსატკენი იყო, რომ ქვენადრისის ეკლესიიდან შამბით დაფარული და გაპარტახებული, ნახევრადდანგრეული კედლებიღა იდგა. ხოლო ჟურნალისტების შეკითხვაზე – სად უნდა იყოს წმინდა თევდორეს სამარე ეკლესიის შიგნით თუ გარეთ ეზოშიო, – ვერც გლეხებმა და ვერც კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორმა გარკვეული პასუხი ვერ გასცეს. ბოლოს სავარაუდოდ თქვეს, რომ, ალბათ, ეკლესიის გარეთ ეზოში უნდა იყოს დაკრძალულიო. ეს სამწუხარო ფაქტი იმაზე მეტყველებს რომ, წარსულს ჯეროვანი ყურადღებით არ ვეკიდებით. არადა, სულ 395 წელი გვაშორებს იმ ამბებს, 3 ათასი ხომ არა? ეს ხომ ერის მრავალათასიანი წლების ისტორიის მხოლოდ გუშინდელი დღეა. განა ეკადრება ქვეყანას, ერს, მხარეთმცოდნეობის მუზეუმს, კულტურის სამინისტროს, რომ თავისი ეროვნული გმირისა და წმინდანის მოღვაწეობისა და დაღუპვის ადგილები დავიწყებული ანდა, მოუვლელი ჰქონდეს?

სად მდებარეობდა სოფელი კველთა? ამ კითხვაზე პასუხს იძლევა 1699 წლის 26 მაისის სიგელ გუჯარი, რომლითაც ქართლის კათალიკოსი იოვანე დიასამიძე უმტკიცებს მანგლისის ეპისკოპოსს გაბრიელ ჯავახიშვილის სამწყსოს: „რაც პატრონის აბაშისა და დავითის კერძო მამული არის აზნაურიშვილი და გლეხნი მთასა ანუ ბარსა უკლებლად კიდევ მას ზედა მოგიმატეთ ალგეთს გაღმართი გაგისამზღვრეთ ვაკე ღრისთავი გუდარეხი ცოვრეთი გორისი, ვარხოვნა, კრეფა, ლიპნი, უგუდეთი, გოგას გვერდი და ახალდაბა და მას ზედათი ქციასა და ალგეთს შუა მიტანებით მანგ-

ლისის გარეშემო ორი ოძისი და კველთა კიდევე თქვენ და დმანელს სამწყსოზედ სარჩელი შაგქონდათ და ბატონიშ-ვილს კათალიკოსს გაესამზღვრა და გაერიგებინა და ჩვენც იმავე წესით დავამტკიცეთ რომელიც ბატონიშვილს კათო-ლიკოზს გაერიგებინა. ეს ასრეთ გაგითავდეს და არა მოგე-შალოს არა ხელმწიფეთა და დედოფალთაგან და არა შემ-დგომად ჩვენს კათალიკოზთა და ეფისკოპოზთაგან.“ ალ ხახანაშვილის გუჯრები. ქუთაისი 1891 წელი გვ 24.

აქ პირდაპირ არის მითითებული, რომ ზემო ოძისი ქვე-მო ოძისი და კველთა გვერდიგვერდ, ერთ რკალში – უშუა-ლოდ მანგლისის მოსაზღვრედ მდებარეობენ: „მანგლისის გარეშემო ორი ოძისი და კველთა“... ყურადღება უნდა მი-ექცეს იმ გარემოებას, რომ ალგეთს გაღმა სოფლები დღე-საც არსებობს, ცნობილია იმ ნასოფლარების ადგილმდე-ბარეობაც. სიგელში ისინი ჩამოთვლილია გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით – ერთმანეთის მიყოლებით ჩრდი-ლოეთიდან სამხრეთისაკენ. უნდა ვივარაუდოთ, რომ იგივე პრინციპით უნდა იყოს ჩამოთვლილი მანგლისის მოსაზღ-ვრე სოფლებიც, ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ თანმიმ-დევრობით. ისტორიულ მანგლისს ეკავა დღევანდელი მან-გლისის დასავლეთი ნაწილი, რომელსაც დღესაც ძველი მანგლისი ეწოდება, როდესაც XIX საუკუნის დასაწყისში აქ რუსთა სამხედრო ნაწილი დაბანაკდა და ამის შედეგად გაჩ-ნდა მანგლისის საკმაოდ ვრცელი ახალი დასახლება, პირ-ველმოსახლე რუსები ისტორიული მანგლისის ტერიტორი-ას უწოდებდნენ ძველ მანგლისს – „სტარი მანგლისს“ ასეა დღესაც. ანუ თავდაპირველ, ისტორიულ, ძველ მანგლისს ეკავა ტერიტორია მანგლისის ხევიდან, ანუ დღევანდელი ფიჭვნარი ტყიდან მოყოლებული სიონის ეკლესიამდე. მის მეზობლად – ჩრდილო-აღმოსავლეთით / დღევანდელ სა-

საკლაოსთან/ არის ნასოფლარი ზემო ოძისი, ხოლო ზემო ოძისის სამხრეთით, ანუ ძველი მანგლისის აღმოსავლეთით იყო ქვემო ოძისი /დღევანდელი ბაზრის მიდამოები/ ორივე სოფლის ტერიტორიები ამჟამად მანგლისის აღმოსავლეთ ნაწილშია მოქცეული, ვახუშტი ბაგრატიონი წერს „მანგლისს ქვეით ერთვის ალგეთის ხევი კველთეთისა, გამომდინარე დიდგორის მთისა," ეს მდინარე დიდგორის მთიდან მოედინება ჩაუვლის სოფელ მოხისს, ნასოფლარ ხოზეთს, უშუალოდ მანგლისს კი სამხრეთიდან და მანგლისის ქვევით /სამხრეთით/ ალგეთს უერთდება. მანგლისის ქვევით იგი ალგეთის პირველი შენაკადია მარცხენა მხრიდან. დღეს მისი სახელი დაკარგულია და ხალხი მოხისის ხევს ან უბრალოდ დიდ ხევს ეძახის, რადგან ალგეთის მარცხენა შენაკადებიდან ყველაზე დიდია. /ასევე დავიწყებულია ალგეთის მარჯვენა მხრის ყველაზე დიდი შენაკადის – ლაკვას *წყლის სახელწოდება და ხალხი მას ბზის წყალს ეძახის. მანგლისს დასავლეთის მხრიდან უშუალოდ ეკვრის მდინარე ალგეთი, ამიტომ იქ კველთა არ შეიძლება არსებულიყო. კველთა არ შეიძლება არსებულიყო მანგლისისა და ზემო ოძისის ჩრდილოეთითაც, რადგან იგი მდებარეობს კველთეთის წყლის პირზე, ხოლო ეს მდინარე მანგლისს სამხრეთიდან ჩამოუდის. კველთა უნდა ყოფილიყო უშუალოდ ქვემო ოძისისა და მანგლისის მეზობლად, მათ სამხრეთით, მდინარე კველთის წყლის პირზე: ასეთი ადგილი XIX საუკუნეში იყო ნასოფლარი კველთეთის წყლის და ალგეთის შეერთების მახლობლად, ზეგანზე, რომელზეც შემდეგ გაჩნდა რუსთა დასახლება „პოსელენიე", „ბუდიონოვკა", ანუ დღევანდელი ალგეთი.

* მდინარესთან მდებარე დღევანდელ ახალსოფელსაც ზა ერქვა

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის გრიფით 1991 წელს გამოქვეყნდა მკვლევარ კობა ხარაძის ჩინებული წიგნი „საქართველოს ისტორიული გეოგრაფია. ქვემო ქართლი.“ წიგნს ახლავს რუკა ქვემო ქართლის დასახლებული პუნქტებისა და ნასოფლარებისა. ამ რუკის შესახებ ავტორი წერს: „პირველ რიგში, სხვადასხვა ლიტერატურული და ისტორიული წყაროების საფუძველზე შევადგინეთ XVIII ს-ის ქვემო ქართლის და მასში შემავალი პროვინციებისა და ხევების განლაგების რუკა. მართალია ვახუშტი ბაგრატიონს შედგენილი აქვს ასეთი რუკა მაგრამ მისი საფუძველი თანამედროვეს არ ემთხვევა. ამიტომაც მოვახდინეთ საზღვრების დადგენა ხელახლა თანამედროვე რუკებზე და გამოვსახეთ XVIII ს-ის ქვემო ქართლისა და მასში შემავალი მხარეების რუკა.“ /კ. ხარაძე. საქართველოს ისტორიული გეოგრაფია, ქვემო ქართლი. გამომც. “მეცნიერება“. 1991 / გვ.3. კ. ხარაძეც ნასოფლარ კველთას ზუსტად ამ ადგილზე უთითებს. (თუმცა ზემო და ქვემო ოძისები მთლად ზუსტად არ არის მითითებული).

1721 წლის აღწერით კველთაში რვა კომლი ცხოვრობდა, სულ მალე კი კველთაც, ზემო ოძისიც, ქვემო ოძისიც და მანგლისიც ნასოფლარებად იქცა. XIX საუკუნეში მანგლისში რუსთა ჯარის დაბანაკების გამო ნასოფლარ კველთაზე რუს სამხედროთა ოჯახების დასახლება გაჩნდა /რამდენიმე ასეთი დასახლება გაჩნდა მანგლისის ნაქალაქარზეც/ და მას „პოსელენიე“ უწოდეს. ასე არქმევდნენ ყველა სამხედრო დასახლებას. კველთის ეკლესიის საძირკველზე ახალი ეკლესია ააგეს, რომელიც ამჟამად მოქმედებაშია. მეოცე საუკუნის 30-იან წლებში, გასაბჭოების შემდეგ,

სოფელს წითელი კომისრების ვოროშილოვისა და ბუდიონის პატივსაცემად ჯერ ვოროშილოვკა, შემდეგ კი ბუდიონოვკა უწოდეს. 1957 წელს სოფელს ალგეთი ეწოდა. ამის გამო დღეს გარკვეული უხერხულობაა შექმნილი, რადგან ამ სოფლიდან ნახევარ კილომეტრში, უშუალოდ ალგეთის პირზე კიდევ მეორე სოფელი ალგეთი არსებობს. მესამე სოფელი ალგეთი კიდევ მარნეულის რაიონშია. ისტორიული სახელწოდება კველთა კი დავიწყებულ-დაკარგულია. ამ გაურკვევლობის თავიდან აცილებისა და დიდი მამულიშვილის – წმინდა თევდორეს ხსოვნის უკვდავყოფის მიზნით ვალდებული ვართ, ნასოფლარ კველთაზე გაშენებულ სოფელ ალგეთს თავისი ისტორიული სახელი კველთა დავუბრუნოთ, ქვენადრისის ეკლესია კი აღვადგინოთ და წესიერი პატრონობა გავუწიოთ. ქვენადრისი დღეს უკვე მიუვალი და მიკარგული ნასოფლარია, ალგეთი /კველთა/ კი თბილისი წალკის სამანქანო გზატკეცილის პირზეა და დიდი მზარდი სოფელია, ამიტომ უკეთესი იქნება, რომ წმინდა თევდორეს გმირობის 400 წლისთავთან დაკავშირებით მისი ნეშტიც კველთის ეკლესიაში გადმოვასვენოთ და სათანადო ძეგლით ან მემორიალური დაფით დავამშვენოთ. ამით ღირსეული მამულიშვილის და წმინდანის სამარეც დაკარგვას გადაურჩება. უდაოდ მეტი ყურადღება სჭირდება თევდორე მღვდლის სახელობის პარკსაც. რომელიც მანგლისში ამავე სახელწოდების ქუჩის პირზე სრულიად უსასყიდლოდ გააშენა ერთმა საქართველოს ისტორიისა და ბუნების დიდმა მოყვარულმა ზაქრო დევსურაშვილმა და რომელიც ამჟამად მოსახლეობამ ნაგავსაყრელად აქცია.

ამის გაკეთება აუცილებელია, თუკი გვინდა დიდი წინაპრების მადლიერი და ღირსეული შთამომავლები გვერ-

ქვას, თუკი ერსა და ბერს ჯერ კიდევ სული გვიდგას და ნამუსის ქუდი გვხურავს, თუკი გვინდა თვალი გავუსწოროთ დიდი მოურავისა და წმინდა თევდორეს აჩრდილებს, თუკი გვსურს პირშეურცხვენლად აღვნიშნოთ წმინდა მოწამის თავდადებისა და ტაშისკარის სახელოვანი ომის 400 წლისთავი. ამ საქმის მოგვარება კი პირველ რიგში უნდა ითაონ კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ, საქართველოს საპატრიარქომ და თეთრიწყაროს რაიონის ხელმძღვანელობამ.

რას უნდა ნიშნავდეს მდინარისა და სოფლის სახელწოდება კველთა? შესაძლოა ეს სახელწოდება წარმართულ ქართულ კალენდართან იყოს დაკავშირებული. ქართულ სინამდვილეში გვაქვს ფაქტები, როცა თვეების სახელწოდებიდან ანდა რელიგიური დღესასწაულებიდან წარმოიშვა გეოგრაფიული სახელები. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით „ქართულისა ენითა ეწოდებიან: იანვარს – აპანი, თებერვალს – სურწყუნისი, მარტსა – მირკანი, აპრილს – იგრიკა, მაისსა – ვარდობისა, ივნისსა – მარიალისა, ივლისსა – თიბისა, აგვისტოს – ქველთობისა, სეკდემბერს – ახალწლისა, ოქტომბერს – სთვლისა, ნოემბერს – ტირისკნისი, დეკემბერს – ტირისდენი“. გვიან საუკუნეებში ქართული სახელწოდებები შეცვალა რომაულმა, მაგრამ ხალხურ მეტყველებაში მაინც დარჩა ზოგიერთი თვის ძველი ქართული სახელწოდება, ანდა გაჩნდა ახალი: ვარდობის თვე, თიბვისა – თიბათვე, სთვლისა – ანუ რთველის თვე /რომელსაც შემდეგ ღვინოებისთვე ეწოდა/, ასევე შემდეგში ხალხმა ივნისს თიბათვე, ხოლო ივლისს მკათათვე უწოდა, დანარჩენები დავიწყებას მიეცა, ზოგი კი ქრისტიანული დღესასწაულების გამო ახალი ქართული სახელწოდებით შეიცვალა. ღვთისმშობლის

მიძინების დღესასწაულთან დაკავშირებით 28 აგვისტოს რელიგიურ დღესასწაულს ხალხმა მარიამობა, შემდეგ კი მთელ აგვისტოს თვესაც მარიამობის თვე ეწოდა. წმინდა გიორგის დღესასწაულის გამო 23 ნოემბერს გიორგობა, შემდეგ კი ნოემბრის თვესაც გიორგობის თვე ეწოდა. მერე კი აქედან გაჩნდა სოფლის სახელი გიორგიწმინდა. ასეა გაჩენილი სოფლების სახელები – ანდრიაწმინდა, ესტატეწმინდა ანუ ერთაწმინდა,: ძველ კოლხურ ტომებში წყლის ღვთაებას ერქვა ფასი და ეგრი აქედან წარმოსდგა მდინარეთა სახელები ფაზისი /რიონი და ეგური /ენგური/ ძველ კოლხეთში არსებობდა წყლის ღვთაების სახელობის ქალაქიც „დიოსკურიაში“ – დიასკურია /დედაი წყლისა/, რომელიც, წარმართული რელიგიის თანახმად, წმინდა ქალაქად ითვლებოდა.

ძველი ქართული კალენდრით ახალი წელი სექტემბერში იწყებოდა. ხოლო ქველთობის თვე აგვისტოს ერქვა. შესაძლოა, სოფელ ქველთაში ძველად წარმართული ტაძარი იდგა, სადაც ქველთობის თვეში რაღაც წარმართული დღეობა ქველთობა იმართებოდა. ალბათ სოფელსაც და მდინარესაც ამის გამო ეწოდა ქველთა და ქველთის წყალი.

21 მაისი. 2003 წელი.

შეცდომა! – როდემდე?

ვისაც ალგეთხეობის დედაციხეები – კლდეკარი, ბირთვისი, სამშვილდე ხელთ ეპყრა, ქართლზე ბატონობაც მისი იყო. ამიტომაც მტერი მუდამ ამ ციხეების დაუფლებას ცდილობდა და ყველაზე სისხლისმღვრელი ბრძოლებიც აქ იმართებოდა. მაგრამ ქართველი კაცი არასოდეს შერიგებია დამპყრობელს და ყოველთვის სწამდა მომავლის, თავისუფლების, ამიტომაც დაიბადა ალგეთ-ხეობაში ეს ლექსი:

„კიდევაც დაიზრდებიან
ალგეთ ლეკვები მგლისანი,
ისე არ ამოსწყდებიან,
ჯავრი შესჭამონ მტრისანი.“

სამწუხაროდ, მეოცე საუკუნეში გაუგებრობის გამო ბოლო სტრიქონში მცირე ცვლილების შეტანით ლექსს სრულიად დაუკარგეს პირვანდელი შინაარსი, ლექსის შინაარსის გაუკუღმართებას ეტყობა იმანაც შეუწყო ხელი, რომ დამახინჯებულად წავიდა მხატვრულ თუ სხვა სახის ნაწარმოებებში.

მცდარად არის ეს სტროფი მოტანილი მიხეილ ჯავახიშვილის რომანში „არსენა მარაბდელი“. არაერთხელ ითქვა, შეცდომა გასწორდესო, მაგრამ რა? აგერ სულ ახლახანს გამოსცა „ნაკადულმა“ ეს რომანი სერიით „ბიბლიოთეკა ბავშვებისათვის“ 150 ათასიანი ტირაჟით. რომანში სამგან არის ეს სტროფი ნახსენები – 271-ე, 583-ე და 677-ე გვერდებზე და ყველგან წერია: „ისე არ ამოწყდებიან, ჯავრი არ ჭამონ მტრისანი.“ მიდის რომანის მთავარი გმირი არსენა, მხარზე გაუდია საქართველოს პირველი სადროშოს სახე-

ლოვანი ნაომარი დროშა. მოჰყვებიან ძმადნაფიცები და მღერიან: მტრის ჯავრს შევჭამთო. რომანის ფინალის მიზანია მკითხველი განაწყოს იმედიანად მომავლის რწმენით: არსენას ვაჟი და ახალი თაობა თავისებურ ფიცს სდებენ, რომ გააგრძელებენ წინაპართა სახელოვან საქმეებს... და აქაც მცდარი „არ ჭამონ“ ნაწარმოების გმირს უხერხულ მდგომარეობაში აყენებს:

„კიდევაც დაიზრდებიან ალგეთ ლეკვები მგლისანი – დაიძახა მომღიმარე სულხანმა.

– ისე არ ამოწყდებიან, ჯავრი არ სჭამონ მტრისანი! – მიაძახა არსენას ვაჟმა, თან წარბი შეათამაშა და თავის რაზმს გახედა.

– შევჭამთ! გადავუხდით! დავლეწთ! – ხმა მისცეს მეგობრებმა...“ ესეიგი რა გამოდის: ქართველი კაცი ამბობდა – მტრის ჯავრს არ შევჭამთ, იმ ქვეყნად მტრის ჯავრუჭმელნი წავალთო. არსენა და მისი შთამომავლები – საქართველოს დღევანდელი და ხვალინდელი თაობა კი რომანში სიამაყით აცხადებს: მტრის ჯავრს შევჭამთო. მტრის ჯავრის შეჭმა კი იმას ნიშნავს, რომ დამარცხდე, ფარ-ხმალი დაყარო, დაბეჩავდე, მტერს გაეთელინო.

150 ათასიანი ტირაჟით გამოსცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ ლევან სანიკიძის „დედა ისტორია“, რომლის 225-ე გვერდზე წერია: „ქართველ მამულიშვილთა შურისმგებელ ბოღმაში დაიბადა ახალი, თავზარდამცემი ეს სიმღერა: „კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი, ისე არ ამოსწყდებიან, ჯავრი არ სჭამონ მტრისანი.“ დაილეწებიან და შეიმუსრებიან საუკუნენი. ხოლო ლექსი ესე – სიმღერა დიდი იმედისა, ურყევი რწმენისა და უტეხი სულისა – დარჩება მარად შეუმუსვრელი...“

მტრისა რა მოგახსენოთ და ეს დამახინჯებული ფრა-

ზა მოყვრისთვის უფროა თავზარდამცემი. ნუთუ დრო არ არის დავფიქრდეთ, რას ვაქებთ, რით ვამაყობთ და ვიწონებთ თავს?

ძალიან გვიყვარს თეიმურაზ წიკლაურის სიმღერების მოსმენა, მაგრამ კაცს გული გეწურება წუხილით, როცა მის ომახიან სიმღერაში გაისმის დამახინჯებული გამოთქმა: „ისე არ ამოსწყდებიან, ჯავრი არ სჭამონ მტრისანი“.

სულ ახლახან 100 ათასიანი ტირაჟით გამოვიდა საქართველოს ისტორია – საკითხავი წიგნი /გამომცემლობა „მეცნიერება“ შემდგენელ-რედაქტორი გიორგი მელიქიშვილი/. აქაც 192-ე გვერდზე იგივე სამწუხარო შეცდომაა.

ერთი სიტყვით, ყველგან, ისტორიულ თუ მხატვრულ ნაწარმოებებში, პროზას თუ პოეზიაში სულ უფრო მტკიცედ იკიდებს ფეხს ეს გულისამრევი შეცდომა. ათასწლეულების მანძილზე ქართველი შთამომავლობას ანდერძად უტოვებდა: მტრის ჯავრს ნუ შემაჭმევთ, მტრის ჯავრი არ ჩამაყოლოთ საფლავშიო. ფრიად სამწუხაროა, როცა კლასიკოსი მწერალი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი და აკადემიკოსი ასეთ მიუტევებელ შეცდომას უშვებენ!!! მერე ეს შეცდომა უბრალო მკითხველის გონებაში მკვიდრდება და მათ მტრის ჯავრის შეჭმა, მტრის ჯავრის სამარეში ჩაყოლება სამარცხვინოს მაგივრად სასახელო საქმედ მიაჩნიათ. რა გახდა ერთი შეცდომის გასწორება? რა არის საჭირო იმისათვის, რომ ერთხელ და სამუდამოდ ყველამ სწორად გავიაზროთ ეს ლექსი და ქართველი კაცის საამაყოდ ნათქვამი ჩვენს სამარცხვინოდ არ გადავაქციოთ?! მწერლის ნაწარმოებებშიც კი არ უნდა დაუშვან გამომცემლობებმა ასეთი შეცდომის დატოვება, აუცილებლად უნდა შევიტანოთ შესწორება!

1990 წ.

შამილის სავარძელი

ნეკლიუდოვების ოჯახი საკმაოდ ცნობილი იყო თეთრიწყაროში. მამა-შვილი იური და მიხეილი ნამდვილი ინტელიგენციის, რუსული არისტოკრატიის წარმომადგენლები იყვნენ. მათი განათლება, კულტურა, დარბაისლობა, ხმადაბალი და დინჯი საუბარი, გაწონასწორებული ხასიათი მოსახლეობის საყოველთაო პატივისცემას იმსახურებდა. იური ნეკლიუდოვი ახალგაზრდობაში მეფის რუსეთის არმიის ოფიცერი გახლდათ. რევოლუციის შემდეგ ბულგარეთში წავიდა ემიგრაციაში. სწორედ იქ, ბულგარეთში მიიღო უმაღლესი სამედიცინო განათლება და სამეცნიერო ხარისხიც მისმა შვილმა მიხეილმა, რომელიც განთქმული ექიმი თერაპევტი იყო. დიდი ხნის შემდეგ ნეკლიუდოვების ოჯახს სამშობლოში დაბრუნების უფლება მისცეს. ეს ოჯახი კიდევ ისტორიული სიძველეების სიყვარულითაც იყო ცნობილი. მათ ჰქონდათ შენახული XIX-XX საუკუნეების იშვიათი და ძალზე საინტერესო ფოტო მასალები, მათ შორის თეთრიწყაროს შესახებაც. ამ ოჯახში ინახებოდა მეცხრამეტე საუკუნის ერთი რუსული ღია საფოსტო ბარათი, რომელზეც აღბეჭდილი იყო ხის სავარძელი წარწერით: „შამილის სავარძელი“. იური ნეკლიუდოვი დაბეჯითებით აცხადებდა, რომ სურათზე აღბეჭდილი სავარძელი რაიონის პროკურორის კაბინეტში იდგა. ეს სავარძელი პირადად რამდენჯერმე ვნახე. იგი მუქი ყავისფერი ხისგან იყო გაკეთებული. სავარძლის თავები /საზურგე/ პირდაღებული ლომებით ბოლოვდებოდა. სავარძელი ხელოვნების შესანიშნავი ნიმუში გახლდათ. სამოცდაათიან წლებში სავარძელი პროკურორის კაბინეტიდან გაქრა. როგორც

ზოგიერთებმა განაცხადეს, იგი ერთ-ერთმა ანტიკვარული ნივთების მოყვარულმა პროკურორმა სახლში წაიღო.

საიდან უნდა მოხვედრილიყო შამილის სავარძელი თეთრიწყაროში? შამილის წინააღმდეგ მრავალწლიან ბრძოლაში ძირითადად მონაწილეობდნენ კავკასიაში განლაგებული სამხედრო ნაწილები. მთავარსარდლებადაც ძირითადად კავკასიის მეფისნაცვლები იყვნენ. 1820-1847 წლებში თეთრიწყაროში იდგა ეგერთა „მინგრელსკი“ პოლკი, 1824 წლიდან კიდევ – ერევნის გრენადერთა პოლკი; 1847 წლიდან ეგერთა „მინგრელსკი“ პოლკის ნაცვლად თეთრიწყაროში მუდმივად დაბანაკდა მე-14-ე ქართული გრენადერთა პოლკი. აღნიშნულ ქართულ გრენადერთა პოლკში 1820-1843 წლებში მსახურობდა გრიგოლ ორბელიანი. თვით გრიგოლ ორბელიანი ქვემო ქართლის მებატონეთაგანი იყო. მისი საკუთრება გახლდათ თეთრიწყაროს რაიონში არსებული სოფლები – კოდა, კუმისი და სხვა. თეთრიწყაროს ერთ-ერთი სამხედრო ნაწილის ეზოში არსებული წყაროს წარწერა იუწყებოდა, რომ იგი ააშენა პოლკოვნიკმა თავადმა ორბელიანმა. 1839 წლიდან ეს პოლკი /ისევე, როგორც თეთრიწყაროში მდგომი სხვა სამხედრო ნაწილები/ და თვით გრიგოლ ორბელიანი მონაწილეობდნენ შამილის წინააღმდეგ ომში. 1842 წელს ორბელიანი დაინიშნა ამ პოლკის ერთ-ერთი ბატალიონის უფროსად. ორბელიანი 1857 წლამდე განუწყვეტლად დაღესტნის ფრონტზეა – ხან ავარიის მმართველია, ხან პოლკის უფროსი, ხან მთელი დაღესტნის მმართველი. 1857 წლიდან ამიერკავკასიის მთავარ-მართებლის აპარატშია – საბჭოს თავმჯდომარედ, მერე მთავარ-მართებლად. 1866 წლიდან სამსახურს თავს ანებებს.

ოცდაათწლიანი მძიმე ბრძოლების შემდეგ მაღალმთიან სოფელ ღუნიბში რუსთა 10 ათასიანმა არმიამ შამილი ალ-

ყაში მოაქცია. შამილს მხოლოდ ოთხასი თანამებრძოლი ახლდა. სოფელში კი უამრავი უმწეო ბავშვი და ქალი იყო. შამილმა თავისი ხალხი დასაღუპად ვერ გაიმეტა, ბრძოლა შეწყვიტა და რუსებს ტყვედ ჩაბარდა. ეს მოხდა 1859 წლის 25 აგვისტოს. უნდა ვივარაუდოთ, რომ შამილთან ბრძოლის დროს „ქართულმა“ გრენადერთა პოლკმა ეს სავარძელი ნადავლად ჩაიგდო და თეთრიწყაროში წამოიღო. სავარაუდოა, რომ ღია საფოსტო ბარათიც რუსეთის კავშირგაბმულობის სამინისტრომ მაშინ გამოუშვა. 1918 წლის შემდეგ, როცა საქართველო დამოუკიდებელ ქვეყნად გამოცხადდა, რუსეთის სამხედრო ნაწილები გაუქმდა და აქაური სამხედრო ნაწილების ქონება, საწყობებში არსებული საჭურველი და ავლადიდება მოსახლეობამ დაიტაცა, ანდა ადგილობრივი სამოქალაქო ხელისუფლების ხელში გადავიდა. ზემოაღნიშნულ გარემოებათა გამო კავკასიის ომის დროს სამხედრო ნადავლის სახით საქართველოში ჩამოტანილი იშვიათი ისტორიული ღირებულების ნივთი – შამილის სავარძელი თეთრიწყაროს სამხედრო ნაწილის სარდლობის, შემდეგ კი სამოქალაქო უწყების ხელში აღმოჩნდა. ეტყობა, სწორედ მაშინ იგი რაიონის პროკურატურის სამსახურის ინვენტარში მოხვდა. სავარაუდოა, რომ სავარძელი ახლაც საქართველოშია, /ალბათ თბილისში/ ერთ-ერთი მათგანის ოჯახში, ვინც მეოცე საუკუნის სამოცდაათიან წლებში თეთრიწყაროს რაიონის პროკურორად მუშაობდა. მისი მფლობელიც თუ ამაღლდება თავის თავზე და ამ ისტორიულ სავარძელს აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს /თუნდაც შესყიდვის წესით/ ჩააბარებს, ჭეშმარიტად კავკასიელებისა და შთამომავლობის დიდ მადლობას დაიმსახურებს!

2001 წ.

ორიოდე შენიშვნა
კობა ხარაძის წიგნის მიმართ

მკითხველმა მიიღო კობა ხარაძის ჩინებული წიგნი „საქართველოს ისტორიული გეოგრაფია. ქვემო ქართლი“. /ამ. „მეცნიერება“, თბ. 1991./. როგორც ირკვევა, წარსულ საუკუნეებში ქვემო ქართლში რვაასზე მეტი სოფელი ყოფილა, ბევრი მათგანი სამუდამოდ მოისპო და მათი ადგილმდებარეობის დადგენა ჭირს. აზრთა სხვადასხვაობაა ზოგიერთ ადგილსახელის განმარტებაშიც. ვახუშტი ბაგრატიონიდან მოყოლებული ბევრმა მკვლევარმა საფუძვლიანი შრომები უძღვნა ამ საკითხს, მაგრამ ამოუცნობი მაინც მრავალი რამ დარჩა. კობა ხარაძე ხანგრძლივი შრომით შეეცადა დაედგინა გამქრალი სოფლების ადგილმდებარეობა და შეედგინა სათანადო რუკა. ეს წიგნი კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია ქვემო ქართლის წარსულის კვლევის საქმეში. მისი გაცნობის შემდეგ რამდენიმე შენიშვნის სურვილი გამიჩნდა.

ქვემო ქართლის სოფლების სახელწოდებები ძირითადად წარმოდგენილია მათი გეოგრაფიული მდებარეობიდან, ჰავის პირობებიდან, იქ გავრცელებული მცენარეებისა და ცხოველების სახეობებიდან, მეურნეობის ან ხელოსნობის დარგიდან. ავტორი ზოგჯერ ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს ამას და ადგილსახელის განმარტებაში ხალხურ თქმულებებს უფრო ეყრდნობა, ვიდრე ზემოაღნიშნულ გარემოებებს, რითაც მკითხველი შეცდომაში შეჰყავს.

დმანისის რაიონის ერთ-ერთი სოფლის შესახებ წერს: „სახელწოდების წარმოშობის შესახებ არსებობს გადმოცემა, თითქოს თათრებს ქართველებისათვის ღორებივით

წაუჭრიათ თავები. ამიტომ დარქმევია ღორისთავიო. ეს თქმულება ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს, მით უმეტეს, რომ ეს ადგილი ქ. დმანისიდან მიმავალ მთვარ გზაზე მდებარეობდა. ამ შემთხვევაში სახელწოდება მეორადია, თუმცა ღორისთავი ღვარისთავადაც არის გააზრებული /მუსხელიშვილი, 1938/". ასეთი გულისამრევი თქმულება აქ ძალით შემოჭრილ-დასახლებული არაქართველი მოსახლეობის შექმნილია. ალბათ ვერავინ დაგვისახელებს რომელიმე ერის წარსულიდან ისეთ მაგალითს, როცა ხალხს თავისი ღირსების შელახვის, მტერთან მარცხის, შერცხვენის სამახსოვროდ დაერქმიოს სახელი დასახლებისთვის. პირიქით, ხალხმა გმირული ამბების უკვდავყოფისათვის უფრო შეიძლება ამა თუ იმ ადგილს უწოდოს სამახსოვრო სახელი. მერე ეს სახელები საუკუნეების მანძილზე თაობათა გმირული სულისკვეთებით აღზრდას ემსახურება. ამიტომ ღორისთავის ახსნისთვის სრულიადაც არ გამოდგება ასეთი თქმულება. არც ღვარისთავად გააზრებაა სწორი.

არსებობს ქართლის კათალიკოსის იოანე დიასამიძის 1699 წლის სიგელი, რომელშიც ნახსენებია ალგეთხეობის სოფელი ღრისთავი. ამ სოფელს დღეს ხალხი ღორისთავს უწოდებს. ღრე უღრანი ტყით დაბურული ღრმა, გაუვალ ხეობას ჰქვია. მართლაც ეს სოფელი გუდარეხის ღრმა, უსიერი ტყით დაბურული ხეობის თავზე მდებარეობს – გუდარეხის მონასტრის მახლობლად. სოფლის ექვსართულიანი ძველი საომარი კოშკიც სწორედ ამ ხეობის პირზე, ღრის თავზეა აგებული. ამიტომ სოფლის სახელწოდება ღრისთავი სწორი ფორმაა. შემდგომში გამოთქმის გაიოლების მიზნით „ღრ" თანხმოვნებს შორის გაჩნდა ხმოვანი „ო". ასე შეიქმნა ღორისთავი, რომელსაც თავდაპირველ სახელწოდებასთან შინაარსით არაფერი აქვს საერთო, გავიდა დრო,

ხალხს დაავიწყდა სოფლის თავდაპირველი სახელწოდება. მერე დამახინჯებული სახელწოდების ახსნა-განმარტების მიზნით მას გამოგონილი თქმულებაც მიუსადაგეს: ასე დაგვაცილა ხალხურმა თქმულებამ სინამდვილეს.

გეოგრაფიული პირობებია აუცილებლად მხედველობაში მისაღები გარისისა და ორთაშუას სახელწოდებებზე მსჯელობის დროსაც. ბატონ კობა ხარაძეს მიაჩნია, რომ ქალაქ თეთრიწყაროს აღმოსავლეთ ნაწილში უნდა ყოფილიყო სოფლები მძორეთი და ორთაშუა: „ორთაშუას ნაკვალევი დარჩენილია ეკლესიის ნანგრევების სახით, ახლანდელი რუსული ეკლესიის გვერდით, ხოლო მძორეთის ნაშთი, აგრეთვე ეკლესიის ნანგრევები ექსპერიმენტული საკონსერვო ქარხნის ეზოს ტერიტორიაზეა. „/ გვ. 77 /. სოფელი გარისი კი, მისი აზრით, მდებარეობდა ვარხუნოსა და „თეთრიწყაროს სამხრეთ-დასავლეთით, მდინარე ჭივჭავის ახლოს.“

სოფელი ორთაშუა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა ყოფილიყო დღევანდელი თეთრიწყაროს ადგილზე. არ შეიძლებოდა იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ამ ნასოფლარის ადგილი და სახელწოდება თეთრიწყაროში ყველასათვის ცნობილია. თეთრიწყაროს აღმოსავლეთით, მისგან 1-1,5 კილომეტრის დაშორებით, ჩხიკვთა-წინწყაროს ძველ გზასაყარზე რესტორანი დგას. ხალხი იმ რესტორანს და იმ ადგილსაც ორთაშუას უწოდებს. ეს ორთაშუას ნასოფლარია. ორთაშუა იმას ნიშნავს, რომ ეს სოფელი ორ მთას შუა მდებარეობს. მართლაც ამ სოფელს ჩრდილოეთიდან ციკლოპურ ციხექალაქ გმირთნაკვეთის, ანუ სამების მთა დაჰყურებს, სამხრეთიდან კი მაწევნის ზეგანი. „მ“ და „ს“ თანხმოვნების ამოვარდნის შემდეგ მივიღეთ: ორმთასშუა-ორთაშუა.

ასევე სოფელი მძოვრეთიც არ შეიძლებოდა თეთრიწყაროს შემოგარენში ყოფილიყო. იასე ლორთქიფანიძე, რომელმაც ძველი სიგელ-გუჯრებისა და რუკების დახმარებით დაადგინა ქვემო ქართლის სოფლების უმეტესობის ადგილმდებარეობა, აღნიშნავს, რომ მძოვრეთი მდებარეობდა „ორთაშუას აღმოსავლეთით, ჩხიკვთის სამხრეთით, წინწყაროს დასავლეთით“. /იას. ლორთქიფანიძე, ქვემო ქართლი. 1935 წ./. ჩხიკვთა და წინწყარო დღესაც მოქმედი სოფლებია. ამ განმარტების თანახმად მძოვრეთი უნდა ვივარაუდოთ ორთაშუას აღმოსავლეთით, ჩხიკვთა-წინწყარო-ორთაშუას დასახლებულ პუნქტებს შორის, სადღაც მაწევნის მიდამოებში, ანუ ქალაქ თეთრიწყაროდან აღმოსავლეთით – დაახლოებით 4-5 კილომეტრის დაშორებით.

კათალიკოს-პატრიარქის იოანეს (დიასამიძის) სიგელში, რომელშიც ღრისთავი და ყველა სხვა სოფელი სწორი დაწერილობითაა მოცემული, გარისის შესახებ წერია, რომ ეს არის გორისი. რას გვეუბნება ეს სახელწოდება? იმას, რომ გორისი მდებარეობდა გორაზე, ან მის ირგვლივ. სწორედ ამიტომაც გორისი არ შეიძლებოდა ყოფილიყო თეთრიწყაროს და ვარხუნოს სამხრეთ-დასავლეთით, მდინარე ჭივჭავის ახლოს, როგორც ამას კ. ხარაძე ვარაუდობდა. ამ მიდამოებში სწორი ვაკეა და რაიმე ნასოფლარის კვალიც არ არსებობს. კათალიკოსის სიგელში გორისი ნახსენებია ქსოვრეთსა და ვარხუნოს შუა. თვით კ. ხარაძის მიერ შედგენილ რუკაზეც, რომელიც წიგნს ახლავს, გორისი სწორედ ვარხუნოს სამხრეთ-აღმოსავლეთით არის მითითებული, როგორც სინამდვილეში უნდა იყოს. დადგენილია, რომ ქალაქი თეთრიწყარო გასული საუკუნის დასაწყისში სოფელ გორისის ნანგრევებზე აღმოცენდა /ვ. გონგაძე; თეთრიწყარო. მისი ახლო წარსული და აწმყო. თბ. 1959 წ. და

სხვა./. აქ წლების მანძილზე საკარმიდამო ნაკვეთებში ამოდიოდა არქეოლოგიური ნაშთები, მთელი ქვევრებიც კი. ხოლო აქ არსებულ გორაზე 1968 წელს აღმოჩნდა ანტიკური სასაფლაო ქვაყუთოვანი და ქვევრსამარხებით. აქვე, ბორცვის შუა ფერდობის გაყოლებაზე აღმოჩნდა კედლის ნაშთი, რაც იმის მაუწყებელია, რომ ეს გორა ქვითკირის გალავნით ყოფილა გამაგრებული. არქეოლოგთა დასკვნით ეს სამარხები 2600 წლის წინანდელია /საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.I, თბ. 1970 წ./. ამ გორაზე იდგა მეგალითური ძეგლი – ქვასვეტი, აგრეთვე ქრისტიანული მცირე ეკლესია. ისინი კოლექტივიზაციის წლებში დაანგრიეს. ერთი სიტყვით ეს გორა აქაური დასახლებისათვის მთავარი პუნქტი – თავდაცვითი და საკულტო დანიშნულების ადგილი იყო 2600 წლის მანძილზე. ეს კი იმის სასარგებლოდ მეტყველებს, რომ სწორედ აქ, ამ გორასთან უნდა ყოფილიყო სოფელი გორისი და არა ტრიალ მინდორზე.

სხვათა შორის იასე ლორთქიფანიძე თავის დროზე აღნიშნავდა, რომ ქვემო ქართლის ზოგიერთი სოფლის სახელწოდება სხვადასხვა სიგელში სხვადასხვაგვარად წერია, ზოგის ადგილმდებარეობის დადგენა არ ხერხდებაო; მკვლევარი დიდი მეცნიერული სიფრთხილითა და კეთილსინდისიერებით მოეკიდა ამ საკითხებს, გადამწყვეტი აზრის გამოთქმას მოერიდა და ისინი ღიად დატოვა. კერძოდ სოფელ ფორქალისის შესახებ წერს, რომ მისი ადგილმდებარეობა გაურკვეველიაო. ფორქალისი სოფელ ორთაშუას გადაღმა გამირთნაკვეთის მთის აღმოსავლეთი კალთის მახლობლად მდებარეობდა. ხალხი იმ ადგილს დღესაც ფორქალისს უწოდებს. ასევეა სარკინეთი, ხუნძურეთი. /სოფელ ივანოვკის მიდამოებში/ და სხვა. სამ-

წუხაროდ, აღნიშნული სოფლები კ. ხარაძეს არც წიგნში და არც რუკაზე აღნიშნული არ აქვს. რუკაზე აღნიშნული არ არის აგრეთვე აძიკვის მონასტერიც, რომელმაც ერთ დროს აკად. ნიკო ბერძენიშვილის და სახვა მეცნიერების კამათი გამოიწვია აქ არსებული ბარელიეფითა და წარწერით „შოთა“.

წიგნში აღნიშნულია, რომ სოფელ კლდეისის ეკლესია X-XI საუკუნეებისაა. კლდეისის ეკლესია მეცხრე საუკუნით თარიღდება. წიგნს არაფერს მატებს უცხო ადგილსახელების ხსნებაც: „შეიკინის ბაღები“, „ჟიოლტაია გორა“, „ზიმოვნიჩკა“ და სხვები. ისინი საუკუნე ნახევრის წინ ჩამოსახლებულმა რუსებმა დაარქვეს ქართულ მიწა-წყალს და ამდენად რაიმე ისტორიული ღირებულება ასეთ სახელწოდებებს სრულებითაც არა აქვთ.

კარგი იქნებოდა, თუ ავტორი ჩემს ორიოდე მოკრძალებულ შენიშვნას გაითვალისწინებს ამ საგულისხმო წიგნის შემდგომ გამოცემაში.

1991 წ.

ზოგიერთი მოსაზრება „ხევსურეთის ციხე-კოშკების კრიპტოგრამებზე“

იბერიული მოდგმა განსახლებული იყო მთელს წინა აზიასა და ხმელთაშუა ზღვის აუზში – ანუ ინდოეთიდან პირენეებამდე. იბერიულ ტომებს 7-8 დამწერლობა ჰქონდათ. საკუთრივ საქართველოს ტერიტორიაზე ხმარებაში იყო იბერიული, ბერძნული, ფალაური და არამეული დამწერლობები. ქართული ასომთავრული დამწერლობა 2700 წლის წინ მესხთა ერთ-ერთი ქალაქ-სახელმწიფოს მეფემ მითა მესხმა შექმნა. ყუბანის სტეპებიდან მომთაბარე კიმერიელების შემოსევის შემდეგ წინა აზიის ქართული მოსახლეობის დიდი ნაწილი განადგურდა, ნაწილი კი იძულებული გახდა კავკასიის მთებისკენ დაეხია. ამ გადაადგილებაზე ცნობები დაცულია ძველ ისტორიულ წყაროში „მოქცევაი ქართლისაი.“ მათ თან მოიტანეს ქართულში ასომთავრული ანბანიც. ფარნავაზ მეფემ ერთიანი ძლიერი ქართული სახელმწიფოს შექმნის შემდეგ ქართლში აკრძალა ყველა სხვა უცხო დამწერლობა და სახელმწიფო ენად ქართული, დამწერლობად კი ასომთავრული დააკანონა. რადგან მესხების, იბერებისა და კასხების ტომები ერთხანს ხეთას სამეფოს ფარგლებში იყვნენ მოქცეული, ხოლო ხეთაში ლურსმულ დამწერლობას ხმარობდნენ, სავარაუდოა, რომ ქართულ ტომებშიც უნდა ყოფილიყო ხმარებაში ლურსმული დამწერლობაც. მაგრამ ზოგიერთი ქართველი მეცნიერის /პ. ინგოროყვა, აკად.ს. ჯანაშია/ აზრით, ქართველი ტომებს მანამდე უნდა ჰქონოდათ ხატოვანი /პიქტოგრაფიული/ დამწერლობა. ხევსურეთში აღმოჩენილი წარწერები შესაძლოა სწორედ იმ თავდაპირველი იბერიული ხა-

ტოვანი დამწერლობის ერთ-ერთი სახეობა იყოს. უდაოდ სასიხარულოა, რომ „კვირის პალიტრა“ დაინტერესდა ამ საკითხით. აშკარაა, რომ ეს ქვები პრიმიტიული „ნაჩხაპ-ნები“ არ არის. ისინი ქვაში ღრმად ამოჭრილი ნიშნებია. შესაძლოა, ფრანგმა სპეციალისტმა როშერმა სულაც არ იცოდეს, რომ საქართველო ძველი იბერიის ერთ-ერთი ძი-რითადი ნაწილია და რომ ხევსურები, ფშავლები, თუშები, მოხევეები ძველი იბერიულო ტომის პირდაპირი შთამო-მავლები არიან. მაგრამ უცხოველმა სპეციალისტმა რომ ეს წარწერები უყოყმანოდ ძველი იბერიული დამწერლობის ნიმუშებს მიაკუთვნა, ეს მოსაზრება უდაოდ ბევრის მთქმე-ლია.

ეს გამოსახულებები არ არის პრიმიტიული, გაუწაფავი და უცოდინარი კაცის ხელით შესრულებული. ისინი ჩამო-ყალიბებული, დახვეწილი, ხალხში მრავალჯერ ხმარებული და სრულყოფილი მოხაზულობის წერილობითი ნიშნებია, სრულიად მტკიცე, გაწაფული ხელით შესრულებული სი-მეტრიული ნახატებია და აშკარად დამწერლობის ნიშნებს წარმოდგენს. მესამე ქვაზე ამოტვიფრული უამრავი ნახა-ტი ნიშანი იმაზე მეტყველებს, რომ ეს არ არის მხოლოდ სამკაული ან სარიტუალო ორნამენტები. ნიშნების მჭიდრო სიმრავლე და გააზრებული განლაგება იმაზე მიანიშნებს, რომ აქ ვრცელი ინფორმაციაა ჩაწერილი. ამათგან ოთხი ადამიანის გამოსახულებაა. ისინი დაპირისპირებულ მხა-რეებად არიან განლაგებული. სამი ქვეითი მეომარი მამაკა-ცია. ერთს მარჯვენა ხელში სატევარი უკავაია, მარცხენაში – ფარი, რომლითაც მისკენ ნატყორცნ ისრებს იგერიებს. ორი მეომარი მას მშვილდებიდან ისრებს სტყორცნის. მე-ოთხე გამოსახულება ცხენოსანია. ანუ აქ გადმოცემულია რომელიღაც უძველესი ომის ამბავი. ერთ ფარხმლიან მე-

ომარს ორი მშვილდოსანი და ერთი ცხენოსანი ებრძვიან. ეს იმან ნიშნავს, რომ ბრძოლა უთანასწორო იყო – თავდამსხმელები სამჯერ სჭარბობდნენ დამხვდურებს. ამასთან თავდამსხმელების ლაშქარი ქვეითი და ცხენოსანი ნაწილებისგან შედგებოდა. მარცხენა ხელის გაშლილ მტევანთან გამოსახული მზე შესაძლოა იმას ნიშნავდეს, რომ ეს ომი მზის ხუთი ჩასვლა-ამოსვლის, ანუ ხუთი დღის მანძილზე გრძელდებოდა. მარჯვენა მხარის მეომრებთან გამოსახული რვა-რვა ნაწილებად დაყოფილი ორი მართკუთხედი და ოთხ ნაწილად დაყოფილი ერთი მართკუთხედი ქვის მარცხენა კიდის მეომართან გამოსახულია ოთხ ნაწილად დაყოფილი ერთი მართკუთხედი და ორი ჯვრიანი წრე. ეს კრიპტოგრამები შესაძლოა გამოხატავდეს თავდამსხმელ და დამხვდურ მებრძოლთა რაოდენობას და დროს. მთავარი აზრი ალბათ ამ კრიპტოგრამებშია ჩადებული. რა ინფორმაციას შეიცავს ისინი, აგრეთვე ქვის დანარჩენი გამოსახულებანი, განსაკუთრებით მარჯვენა ზედა და ქვედა კიდეების ნიშნები სამკაულებია თუ ასონიშნები, ამას მომავალი კვლევა სჭირდება სპეციალისტებისაგან.

ჩვენ, ქართველებმა ვიცით ზედმეტი ემოციურობის გამოჩენა და უცხოელთა გავლენით თუ პოლიტიკოსთა წაქეზებით წარსულზე უცებ ხელაღება. ამის მაგალითებია თუნდაც დღევანდელ ჩვენს ყოფაში, ზნეობაში, კულტურაში, განათლებაში, ხუროთმოძღვრებაში, ლიტერატურაში, საესტრადო თუ კინოხელოვნებაში მიმდინარე პროცესები. პროფესორ ექვთიმე თაყაიშვილის დასკვნით როცა სპარსელებმა VI საუკუნეში განდევნეს იბერიის უკანასკნელი მეფე გურგენი, მას თან გაჰყვა იბერიული ტომის მთელი არისტოკრატია. ქვეყნის სათავეში ქართების ტომი მოექცა, სანაცვლოდ კი სპარსელებმა გააუქმეს

ქართლში მეფობა. ანუ მოხდა სახელმწიფო გადატრიალება გარეშე ძალების ჩარევით. იბერიელი ტომის ნაშთები დარჩნენ მთებში თუშ-ფშავ-ხევსურების სახით. დაიწყო ბრძოლა ყველაფერი ძველის შესაცვლელად. ეს პროცესი აისახა ქართულ სალიტერატურო ენაშიც, როცა დაიწყეს იბერიულ კილოზე შექმნილი /ხანმეტი/ წერილობითი ძეგლების ქართლურზე /ჰაემეტზე/ გადაკეთება. და ძველი კვალის მოსპობა. ხევსურებმა დღემდე შეინარჩუნეს იბერიული ხანმეტი კილოც, წარმართული წეს-ჩვეულებანიც, ზნეობაც და ის უძველესი დამწერლობის ნიშნებიც. საქართველოს სხვა კუთხეებთან შედარებით ხვსურეთში უკეთესად უნდა იყოს გადარჩენილი სიძველეები. ამიტომ ხევსურეთი ამ კუთხით სერიოზული კვლევის საგნად უნდა იქცეს.

2006 წ,

ვინ იყვნენ ფილისტიმელები?

/ასალი ამერიკელ და ებრაელ
არქეოლოგებმ ჰებრონის
გათხრებთან დაკავშირებით/

2002 წლის 22 აპრილს საქართველოს ტელევიზიით გადმოცემული იყო პალესტინის ქალაქ ჰებრონის არქეოლოგიური გათხრების შესახებ. უჩვენეს აღმოჩენილი სიძველენი იქ მომუშავე ამერიკელი და ებრაელი არქეოლოგების განმარტებით. ითქვა შემდეგი: მცირე აზიაში, ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარე უძველეს ქალაქ ჰებრონში ფილისტიმელები ცხოვრობდნენ. ძველ ებრაულ წყაროებში ისინი მოხსენებული არიან უკულტურო, ველურ ხალხად არქეოლოგიური გათხრებით კი აღმოჩნდა უამრავი კერამიკული ნაწარმი – ნახატებიანი ჭურჭელი და თიხის ქანდაკებები, რკინის იარაღი – მახვილები, შუბისა და ისრის პირები, დიდი ქალაქის ქვის კედლები. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ფილისტიმელების ბარბაროსებად მოხსენიება სიცრუეა და ისინი მაღალი კულტურის ხალხი იყო: მათ განვითარებული საქალაქო მეურნეობა და ხუროთმოძღვრება ჰქონიათ, ფლობდნენ რკინის დამუშავების საიდუმლოებას, მოჰყავდათ დიდი რაოდენობით ზეთისხილი და ზეითუნის ზეთის სასაქონლო პროდუქციას აწარმოებდნენ.

ძვ. წ. VI საუკუნეში ბაბილონის მეფემ ნაბუქოდონოსორ მეორემ დაიპყრო სირია, ფინიკია, ისრაელი, პალესტინა.

ფილისტიმელებმა მაშინ წერილი მისწერეს ეგვიპტის მეფეს რამზეს მესამეს და ბაბილონელებთან ომში დახმარება სთხოვეს. თან შეახსენებდნენ, რომ ეგვიპტეც ბაბილონელთა ლაშქრობის გზაზეაო. ფარაონმა რამზესმა რთული საშინაო ვითარების გამო დახმარება ვერ შეძლო. ნაბუქოდონოსორმა დაპყრობილი ქვეყნები ააოხრა, მკვიდრი მოსახლეობა კი ბაბილონში მონებად წაასხა. ჰებრონის არქეოლოგიური გათხრებით ქვის სამალავებში უამრავი განძეულობა აღმოჩნდა, მაგრამ არ იყო ომში დაღუპული ფილისტიმელების არც ერთი ჩონჩხი. ეტყობა, ფილისტიმელებმა როცა ეგვიპტისგან სამხედრო დახმარება ვერ მიიღეს, ქონება მიწაში ჩაფლეს და ძალათა უთანასწორობის გამო ბრძოლას გაერიდნენ იმ იმედით, რომ ოდესღაც დაბრუნდებოდნენ პალესტინაში. მაგრამ დაბრუნება ვეღარ შეძლეს. ამის შემდეგ ფილისტიმელების კვალი ქრება და არავინ იცის, ვინ იყო ეს უცნობი ცივილიზაციის ხალხი. მათ ზღვის ხალხი ერქვათ. ისინი ძვ. წ. 3200 წლის წინ ეგეოსის აუზიდან არიან აქ მოსულები და ბერძნული კულტურის წარმომადგენლები უნდა იყვნენ. – ასეთი იყო ამერიკელი და ებრაელი არქეოლოგების საბოლოო დასკვნა

რა არის არქეოლოგების დასკვნიდან სიმართლე და რა – სიცრუე?

1. 3200 წლის წინ ბერძნები /დორიელები/ ახლად მოსულები იყვნენ და ის-ის იყო მკვიდრდებოდნენ ეგეოსის აუზში. ამასთან დადგენილია, რომ ჩრდილოეთიდან მათმა შემოსევამ შეაფერხა წინარებერძნული ტომების – აქაველებისა და იონელების ადრეკლასობრივი სახელმწიფოების განვითარება და კულტურა იმის გამო რომ დორიელები კულტურის დაბალ დონეზე იდგნენ. აქაველების და იონელების ადრეკლასობრივი სახელმწიფოები დაიშალა

და კვლავ გვაროვნულ წყობას დაუბრუნდნენ. დავიწყებას მიეცა მათი დამწერლობა, რომელიც კრეტელი იბერიელ-ებისგან ჰქონდათ ნასესხები. თვითონ აქაველებიც და იონელებიც არ იყვნენ მკვიდრი მოსახლენი. ისინი ჩრდილოეთიდან 3900 წლის წინ შემოჭრილი დამპყრობლები იყვნენ. ცხადია, თუ დორიელები 3200 წლისთვის განვითარების დაბალ დონეზე იდგნენ, არ ექნებოდათ დიდი საქალაქო ხუროთმოძღვრება და განვითარებული საქალაქო მეურნეობა, ზეითუნის ზეთის სასაქონლო წარმოების კულტურა, განვითარებული კერამიკა და, რაც მთავარია, რკინის დამუშავების საიდუმლოება.

2. თვითონ ძველი ებრაული და ბერძნული წყაროების ცნობით, რკინის მოპოვება – დნობა – დამუშავების საიდუმლო ძველ მსოფლიოში მხოლოდ იბერიულმა ტომებმა იცოდნენ: – წინა აზიასა და კავკასიაში – ტაბალებმა, მოსოხებმა, ხალიბებმა, ხოლო პირენეებზე – ტარტესებმა და ბასკებმა. რკინისა და ფოლადის დამზადების ხერხებს ისინი საიდუმლოდ ინახავდნენ, ხოლო რკინის ნაწარმი საგარეო ვაჭრობის ერთ-ერთი საგანი იყო. სწორედ ამიტომ არის მსოფლიოს ყველა ხალხის ენაში ლითონების სახელები ქართული ენიდან შესული, ხოლო სპილენძის, ბრინჯაოს, რკინისა და ფოლადის სახელწოდებები ქართულ ტომთა სახელებიდან წარმოსდგა /სპირ-ენძ. სპერის მადანი, მესენი – მოსინიკების ლითონი, ხალიბიკოს – ხალიბური ფოლადი.../. რკინის უძველესი – 3000-3800 წლის წინანდელი სადნობი ღუმელები სწორედ საქართველოსა და პირენეებშია მიკვლეული.

3. რენე ლაფონის, ნიკო მარისა და სხვა მეცნიერთა აზრით, იბერი მდინარის ხალხს ნიშნავდა. შუმერული, ბასკური და ქართული მონათესავე ენებია. იბ ბასკურ ენაში

ნიშნავს წყალს, მდინარეს, ხოლო ერი ქართულ, ბასკურ და შუმერულ ენებში ხალხს ნიშნავს. აქედან გამომდინარე, იბ-ერი ნიშნავს წყლის ხალხს, ზღვის ხალხს. სახელწოდება იბერი ტაბალებიდან მოდის. ტაბ-ალი: ტაბ – ტბა, ტაბა, ტობა, ტვიბრი, ტიბრი ქართველურ ენებში ქართულში, მეგრულში, სვანურში, აგრეთვე ძველ ეტრუსკულში ნიშნავს წყალს, ტბას, ხოლო ელ სადაურობის მიმანიშნებელია. ტაბალი იგივეა, რაც ტბელი, ზღველი, ანუ მდინარის, ტბის ზღვის ნაპირებზე მცხოვრები ხალხი. ტაბალების ქვეყანა, რომელიც ფილისტიმელების ჩრდილოეთით, მეზობლად მდებარეობდა, ერთ ძველ ხელნაწერში სწორედ წყლის იდიოგრამით არის აღნიშნული. იბერიული მოდგმის ერთ-ერთი ყველაზე უძველესი ცივილიზებული ხალხის – შუმერების წარმოდგენით დედამიწა ბრტყელი ხმელეთი იყო, რომელსაც ირგვლი უსაზღვრო წყალი – მდინარე ერტყა. ეს მდინარე, მათი აზრით, იწყებოდა ზემო ზღვიდან – შავი ზღვიდან და მიემართებოდა ქვემო ზღვისაკენ – ხმელთაშუა ზღვისა და ატლანტის ოკეანისაკენ, რომელსაც ძველად იბერიის ზღვა ერქვა, ხოლო ამ „დიდი მდინარის“ ნაპირებზე მცხოვრებ მრავალრიცხოვან მონათესავე ტომებს „მდინარის ხალხი“, ანუ იბერები ერქვათ. ისინი ძველად აღავსებდნენ ინდოეთს, შუამდინარეთს, პალესტინას, წინა აზიას და კავკასიას, ეგეოსს, იტალიას, კრეტას, სიცილიას, სარდინიას, კორსიკას, აფრიკის ჩრდილოეთს, კანარის კუნძულებს, პირინეებს, საფრანგეთის სამხრეთს, ბრიტანეთს. ფილისტიმელების ზედწოდება „ზღვის ხალხი“ სწორედ იმას უნდა ნიშნავდეს, რომ იბერები იყვნენ.

4. ეგეოსის აუზში მოსულ ბერძნებს დახვდათ იბერიული მოდგმა – პელაზგური და კრეტულ-მინოსური მაღალგანვითარებული კულტურით დამხვედურების ნაწილი

ბრძოლებში განადგურდა, ნაწილი დამპყრობლებში გაითქვიფა, ხოლო ნაწილი განიდევნა მწირ მიწებზე. ამერიკელ და ებრაელ მეცნიერთა აზრით, 3200 წლის წინ ეგეოსში რაღაც დიდი კატასტროფა მოხდა და ამან აიძულა ფილისტიმელები, ეგეოსიდან აყრილიყვნენ და პალესტინაში დასახლებულიყვნენ. ეს კატასტროფა ჩრდილოეთიდან დორიელების შემოსევა, ეგეოსის დაპყრობა და იქიდან პელაზგურ-კრეტულ-კოლხური ანუ იბერიული მოდგმის განდევნა უნდა ყოფილიყო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თუ ფილისტიმელებს „ზღვის ხალხი“ ერქვათ, იყვნენ მაღალგანვითარებული კულტურის ხალხი, იცოდნენ რკინის დამზადების საიდუმლო და 3200 წლის წინ მოვიდნენ ეგეოსის აუზიდან, ისინი უნდა ყოფილიყვნენ იბერიული მოდგმა და არა რომელიღაც უცნობი ცივილიზაციის წარმომადგენლები.

ჰებრონში არქეოლოგიურ გათხრებზე მომუშავე ამერიკელმა და ებრაელმა მეცნიერებმა უნდა იცოდნენ, რომ პალესტინა /როგორც მთელი ხმელთაშუა ზღვის აუზი და წინა აზია/ დედამიწის პირველდაწყებითი მოდგმის – იბერიული ტომების უძველესი საცხოვრისი იყო. დღეს მსოფლიო მეცნიერებაში ამ ჭეშმარიტებაზე უკვე აღარავინ დავობს.

2002 წლის 29 აპრილი.

ადგილის დედა გვეძახის

უმძიმესი ბრძოლებიდან სისხლდაცლილი შეხვდა ქართლი მეცხრამეტე საუკუნეს. ვახუშტი ბატონიშვილის აღწერით ქვემო ქართლში 697 სოფელი არსებობდა. ყიზილბაშობის, ოსმალობის, ლეკიანობის გამო ბევრგან ხალხი ერთიანად აიყარა, გადაიხვეწა, დაიცალა და გავერანდა სოფლები. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში აქ 97 სოფელიღა დარჩა. ქვემო ქართლის ერთ-ერთ ძირითად ძარღვზე – ალგეთხეობაზე მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ზაქარია გულისაშვილი წერდა: „თითქმის მთელი ალგეთხეობა უკანასკნელ ხანებში სულ ცარიელი და ნაოხარი იყო“. მარტო დღევანდელი თეთრიწყაროს რაიონში ორასამდე აყვავებული და ხალხმრავალი სოფლიდან ასორმოცდაათში სამუდამოდ შეწყდა სიცოცხლე. დაქცეული იყო ძველი და სახელოვანი ქალაქებიც – სამშვილდე, მანგლისი და სხვები.

XIX საუკუნეში ცარიზმის ხელშეწყობით აქ დიდძალი არაქართული მოსახლეობის ჩამოსახლება დაიწყო. ბევრ დასახლებას იქ დამკვიდრებულებმა სახელი აღუდგინეს, ზოგს კი ახალი და უცხო სახელი დაარქვეს. საბედნიეროდ, ხალხის ხსოვნაში ისევ ცოცხლობს ძველი სახელწოდებების უმეტესობა. ნასოფლარების სახელები შერჩა ხოდაბუნებს, სახნავ-სათესებს, საძოვრებს, ტყეებს, ნანგრევებს. სანამ მათ დავიწყებას ფერფლი გადაფარებია, თუ ეს შესაძლებელია, უნდა აღვადგინოთ ძველი სახელები. არადა უკვე დღესაც გვაქვს იმის მაგალითები, რომ ხალხის მეხსიერებიდან თანდათან იკარგება სახელთა ნაწილი. მაგალითად: მდინარე ლაკვას ხალხი დღეს ბზის წყალს ეძახის, კველთის /კვეთელის/ წყალს – დიდ ხევს და ა. შ.

1809 წელს ალექსანდრე პირველმა დღევანდელი თეთრიწყაროს დასავლეთით თორმეტიოდე კილომეტრზე მდებარე შოშეთის მიდამოები „ნადელად“ გადასცა სამხედროთა ოჯახებს. ამ ახალშენს იმპერატორმა უფლისწულ ალექსის სახელი უწოდა. სოფელს ახლაც ალექსეევკა ჰქვია. შოშეთი /შაშვეთი/ კი ჩვენს წინაპრებს სოფლისათვის შაშვების სიმრავლის გამო შეურქმევიათ. ვახუშტი ბატონიშვილის შედგენილ ქვემო ქართლის სოფლების სიაში ეს სოფელი ნახსენებია როგორც შოშილეთი.

ირაგის ჩრდილოეთით, ბედნის მთის კალთაში, შეყუჟულა ლამაზი სოფელი ივანოვკა. ადგილობრივ მოსახლეობას დღესაც ახსოვს მისი ნამდვილი სახელი ხუნძურეთი. ხუნძი – მწორის ხე ანუ შავი მოცხარი სამკურნალო, ნაყოფის მომცემი მცენარეა, რომელიც ახლაც ხარობს აქაურ ტყეში სოფლის უხუცესები ასე ხსნიან სახელწოდების შეცვლას: ხუნძურეთი თავად ივანე ზაალის ძე ბარათაშვილის ეკუთვნოდა. მისგან ეს მიწები ჯერ იჯარით აუღიათ, შემდეგ კი შეუსყიდიათ გასულ საუკუნეში ჩამოსახლებულ ბერძნებს. მათ დათქმულ დროზე თავადისათვის ფული სრულად ვეღარ გადაუხდიათ. თავადს დაუბარებია სოფლის თავკაცები და უთქვამს: დარჩენილ ოცდახუთ მანეთს გაპატიებთ, თუ სოფელს ჩემს სახელს დაარქმევთო. ასე დარქმევია ხუნძურეთს ივანოვკა. სოფლის ახლოსაა ძველი ნასოფლარი სარკინეთი. ამ მიდამოებშია შავი ფერის ქვა, რომელიც ძალზე მძიმეა. სავარაუდოა, რომ მას რკინის შენაერთები გააჩნია. ეტყობა, აქ შორეულ წარსულში რკინის მოპოვებადამუშავებას ეწეოდნენ. ალბათ უპრიანი იქნება, რომ ივანოვკას ხუნძურეთი ან სარკინეთი დავარქვათ.

სოფელ შავსაყდარზე ხალხში ასეთი ლეგენდა არსებობს: ოდესღაც აქ შავი ჭირი გაჩენილა და ბევრი უმსხვერპლია.

მოსახლეობა გადახვეწილა. ჟამიანობის გავლის შემდეგ გადარჩენილი და უკან დაბრუნებული ხალხი სოფლიდან მოცილებით, ახალ ადგილზე დასახლებულა, სოფლის ეკლესიისათვის კი შავი საყდარი შეურქმევიათ. ამის შემდეგ სოფელსაც შავსაყდარი დაერქვაო. ასეთი ახსნა არა მარტო გულუბრყვილო, მართმადიდებლური ქვეყნისთვის მკრეხელურიც არის. ვახუშტი ბაგრატიონის რუკაზე სოფელი მინიშნებული არ არის. 1701-11 და 1721 წლების აღწერებში ქვემო ქართლში – ქციისა და ზურტაკეტის ხეობებში სამი სოფელი შესაყარია მოხსენებული. სავარაუდოა, რომ შავსაყდარიც შესაყარიდან არის წარმომდგარი. ფონეტიკურად ეს სრულიად შესაძლებელია. იგი ხომ მართლაც გზასაყარზე მდებარეობს. მთავარი გზიდან ერთსა და იმავე ადგილზე ორი გზა იყრება – ერთი ჩრდილოეთისაკენ ენაგეთში მიდის, მეორე კი სამხრეთისაკენ – შავსაყდარში, რომელიც გზიდან არ ჩანს, ვიდრე მთელ გზასაყარს არ გაივლით და ზედ არ წაადგებით. აქ სოფელი უცებ შემოგეყრებათ. საქართველოს მთავარ საისტორიო არქივში დაცული 1843 წლის მოსახლეობის აღწერის მასალებში ეს სოფელი ვარდისუბნის სახელწოდებით არის მოხსენებული. მკვლევარ კობა ხარაძის დასკვნით კი „ახლანდელი შავსაყდარი ადრე ბაგრანეთად იწოდებოდა.“ აქ უცხოვრია ექვს კომლს. მათ შორის ბერო კედელაშვილს, დიმიტრი პატიაშვილს, კონია, გიორგი და თევდორე თეგაძეებს, იაკობ შირინაშვილს. 1873, 1886 წლების აღწერების მასალებში კი უკვე ჩნდება სახელწოდება შავსაყდარი. საგულისხმოა, რომ ქციისა და დმანისის ხეობებში 1701-1721 წლების აღწერებით რამდენიმე ვარდისფუძიანი სოფელი არსებობდა: ვარდისუბანი, ვარდისჭალა, ვარდისწყარო, დიდი ვარდისუბანი, პატარა ვარდისუბანი.

მანგლის-თბილისის გზაზე მეცხრამეტე საუკუნეში გაჩ-

ნდა რუსეთის ჯარის მეთაურთა სააგარაკო დასახლება, რომელსაც აქ მგზავრთა ღამისსათევი ფუნდუკის რუსული სახელი „პრიუტი“ დაერქვა. მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში მას ორბეთი უწოდეს. ვახუშტი ბატონიშვილი წერს: „ზირბითის ხევზედ, მაღალს კლდეზედ, არს ეკლესია ორბეთი, ხოლო სად ერთვის ალგეთს ხევი ესე, მუნ არს ციხე ფარცხისი – ფარი ციხე ბირთვისის ციხისა, აწ შემუსვრილი“. როგორც ხედავთ, აქ ძალზე გონივრული გადაწყვეტილება მიუღიათ. ადგილის დედის ლამაზი ისტორიული სახელი დავიწყებას გადარჩა – სოფელმაც კარგად შეისისხლხორცა იგი და დღეს „პრიუტი“ აღარავის ახსოვს.

სამწუხაროდ ზოგი სოფლისათვის ასეთი ნათლობა საზიანო გამოდგა. სოფელ თონეთსა და ღოლოვანს შორის მდებარეობს სოფელი დვალთა. საქართველოში ეს ერთადერთი სოფელია, რომელმაც შემოგვინახა ერთ-ერთი ქართველი ტომის – დვალების სახელი. გაუგებარია, ვინ და რატომ აითვალწუნა ეს ლამაზი ისტორიული სახელი? მეოცე საუკუნის ორმოციანი წლებიდან დვალთას პატარა თონეთი დაარქვეს. საქართველოში უბრალო მინდორსაც და ხევსაც თავისი სახელი ჰქვია. განა რა გაგვიჭირდა, რომ ერთი სოფლის სახელი ორ სოფელს გავუნაწილეთ მაშინ, როცა ამ რაიონში 150-მდე გადაშენებული სოფლის სახელი კიდევ დარჩა ხალხის ხსოვნაში? ანდა რატომ უნდა ზიდოს ზოგმა სოფელმა პატარის ეპითეტი, ზოგმა კი დიდისა. ვითომ არის რაიმე გონივრული იმაში, რომ საქართველო დიდ-პატარა სოფლებად დავყოთ? დვალთა ლამაზი და მჟღერი სახელია და მისი დავიწყება დიდი ცოდვაა.

ალგეთის ხეობაში, მანგლისიდან ბაღუაშთა ადგილსამყოფელის – კლდეკარის მიმართულებით კიდევ ორი სოფელია, რომლებიც მეცხრამეტე საუკუნის შუახანებში

გაჩნდა და რუსული სახელები ეწოდა. ესენია პალიანა და ნაპილნარი. როცა მეცხრამეტე საუკუნის ოციან წლებში მანგლისში სამხედრო ნაწილი დაბანაკდა, აქ სამხერხაო მოაწყეს და ამის გამო შემდეგში აქ გაჩენილ დასახლებას ნაპილნარი ეწოდა, გაჩეხილ ახოზე გაშენებულ სოფელს კი – პალიანა. /მინდორა/. სასურველია პალიანას ნასოფლარ ახოთის სახელი ეწოდოს. პალიანა ხომ ტყეში გაჭრილ ახოს ჰქვია. ნაპილნარი ნასოფლარ ამოთის (ამი, საამო) ადგილზეა გაშენებული ასევე ალგეთის ხეობაში დღეს არსებული სოფლების უმეტესობა ძველ ნასოფლარებზეა გაჩენილი. ზემო ჭინჭრიანს ძველად საყავრე ერქვა, დიდ ნამტვრიანს – შარაბეთი, პატარა ნამტვრიანს – მაწვნარა, შეხვეტილას – ერდო, არხოტს – არმანეთი /არმანა კედელში ჩადგმულ განჯინას ერქვა/, ახალსოფელს -ზა /ბზა/, პანტიანს – სხალნარი. თეთრიწყაროს ჩრდილოეთით არსებულ სოფელ ვარხუნოს ძველი სახელწოდება ვერხვნალა.

ასეთივე სურათია ხრამისა და ჭივჭავის ხეობებში: აქ მეცხრამეტე საუკუნეში გაჩნდა სოფელი ვიზიროვკა ძველი ქართული სოფლის კარაქისის ადგილზე, სოფელ შიხილოს ძველი ქართული სახელწოდებაა კამარეთი, სოფელ ქოსოლარისა-ჯოჯოხეთა. შიხილო და ქოსლარი თურქმანი ელების შერქმეული სახელებია. სოფლების ქვემო და ზემო ახაკალაფის სწორი სახელწოდებაა ახალკაფი. (ახალნაკაფი ტყე) მეოცე საუკუნის ოცდაათიან წლებში სარწმუნოების წინააღმდეგ მებრძოლმა კომუნისტებმა საჭიროდ ჩათვალეს სოფელ ჯვარას სახელწოდების გაუქმება და სხვა რაომ ვერაფერი მოიფიქრეს, დმანისი უწოდეს. როდესაც მეზობლად, ხრამგაღმა არსებობს დმანისის რაიონი და ქალაქი დმანისი, ისტორიული ნაქალაქარი დმანისი, ალბათ ამ სახელწოდების დარქმევა ხრამგამოღმა კიდევ ერთი

სოფლისათვის არასწორი იყო. ასეთი მოქმედება არეულობას და გაურკვევლობას ქმნის ისტორიულ გეოგრაფიაში. სამართლიანობა მოითხოვს, რომ ამ სოფლების ისტორიული სახელები აღდგეს.

მეცხრამეტე საუკუნეში რუსთა დასახლების გამო დაიკარგა ისტორიული სოფლის კველთას სახელიც, რომელიც დიდი მამულიშვილის, წმინდა მოწამე თევდორე მღვდლის გმირობასთან იყო დაკავშირებული. ნასოფლარ კველთაზე დასახლებულმა რუსებმა მას „პოსელენიე“ უწოდეს. იმ დროს ყველა ახალგაჩენილ რუსთა დასახლებას „პოსელენიეს“ არქმევდნენ. მეოცე საუკუნის 30-იან წლებში რუსებმა სოფელს ვოროშილოვკა, შემდეგ კი ბუდიონოვკა დაარქვეს. 1957 წლიდან სოფელს ალგეთი ეწოდა. მაგრამ გარკვეული უხერხულობა შეიქმნა იმით, რომ ამ სოფლიდან ნახევარ კილომეტრში, უშუალოდ ალგეთის პირზე კიდევ მეორე სოფელი არსებობს და მასაც ალგეთი ჰქვია. ასე, რომ ამჟამად აქ ორი სოფელი ალგეთია. მესამე სოფელი კიდევ მარნეულის რაიონშია. ამიტომ მით უფრო აუცილებელია ნასოფლარ კველთაზე გაშენებულ სოფელ ალგეთს ისტორიული სახელი კველთა დავუბრუნოთ.

მეცხრამეტე საუკუნის ოციანი წლებიდან გარისის ნასოფლარზე რუსეთმა ეგერთა პოლკი ჩააყენა. გამოიყვანეს ორკილომეტრიანი წყალსადენი, რომელიც სათავეს კირქვიან ქანებში იღებდა. წვიმის დროს წყალი რძისფერი ხდებოდა. წყაროს და შემდეგ აქ გაჩენილ დასახლებასაც „ბელიკლუჩი“ თეთრი წყარო უწოდეს. „ქართლის ცხოვრებაში“ სოფლის სახელწოდებად წერია გარისი, კათალიკოს იოანე დიასამიძის 1699 წლის 26 მაისის სიგელ-გუჯარში კი – გორისი. სიგელში ჩამოთვლილი ყველა სოფელი დღესაც არსებობს და ყველა მათგანი სწორი ფორმით არის მოხსე-

ნიებული. ასეთივე სურათი გვაქვს მეთვრამეტე საუკუნეში ვახტანგ მეექვსის მიერ შედგენილ „დასტურლამალშიც“. იქაც წერია „გორისი“ და ახლომახლო არსებული ცამეტი სოფელიც სწორი ფორმით არის ჩამოთვლილი. ამიტომ გორისიც სწორი სახელწოდება უნდა იყოს. დადგენილია ისიც, რომ აქ კულტურულ დასახლებას 2600 წლის ისტორია აქვს. სოფელი ბორცვებზე მდებარეობდა. ცენტრალურ გორაზე /საკონსერვო ქარხანასა და სტადიონს შორის/ აღმოჩნდა ძველი წელთაღრიცხვის VI-IV საუკუნეების სამარხები და გალავნის ნაშთები მოხუცთა გადმოცემით კი ამ ბორცვზე იდგა ქვაჯვარი – მეგალითური საკულტო ძეგლი და ქრისტიანობის დროს აგებული ტაძარი. როგორც აკად. ნიკო ბერძენიშვილი ბრძანებდა, უძველეს წარსულში ხალხი გორებად ცხოვრობდა. ეს გორაც საკულტო და თავდაცვითი მნიშვნელობის ადგილი ყოფილა. სახელწოდებაც სოფლისა ამ გორიდან არის წარმომდგარი – გორისი. სამწუხაროდ ქვასვეტი და ტაძარი მეოცე საუკუნის ოცდაათიან წლებში გაანადგურეს კომუნისტებმა. სულ ახლახან კი გზის გაყვანის მიზნით ეს გორაც დაუზიანებიათ – საკმაოდ დიდი ნაწილი ჩამოუჭრიათ. ალბათ ახლა მაინც უნდა მოვეგოთ გონს და ასეთ ადგილებს მეტი სიფრთხილით მოვექცეთ, ვეცადოთ, ისტორიული გარემო არ დავამახინჯოთ.

ვფიქრობთ, დროა ხელოვნური და ქართული ენისთვის მძიმე სახმარი თეთრიწყაროს ნაცვლად ქალაქს ისტორიული სახელწოდება გორისი დავუბრუნოთ, ბორცვზე კი ქვასვეტი აღვმართოთ გორისის ასაკის, აგრეთვე გორისის სახელოვანი ომისა და აქ დაცემული მამულიშვილის ლუარსაბ დიდის ღვაწლისა და დაღვრილი სისხლის გასახსენებლად.

დროა ჩვენს წარსულს ოდესღაც გაუგებრობითა და ძალმომრეობით წაყრილი მტვერი გადავაცილოთ.

1988 წ.

აქედან იწყება სამშობლო და რწმენა კაცისა

საქართველოში ვის გააოცებ დროჟამისგან თუ მტრისგან ნამეხარი ძეგლების სიმრავლით. მრავალჭირნახული ადგილის დედის სატკივრით. მაგრამ ხანდახან მეოცე საუკუნის ქალაქური კორიანტელიდან გაქცევა და წინაპრებთან მიახლება მოგენატრება; ნახავ, განიწმინდები, ამაღლდები, აღელდები, ზოგჯერ კი სული აგემღვრევა თუ რაიმე უკეთურებას წააწყდები.

ხრამი-ჭივჭავის ხეობებში ბევრი ბრწყინვალე ძეგლია / მარტო ქართული ხუროთმოძღვრების მარგალიტი ფიტარეტი რად ღირს/, მაგრამ უგზოობის გამო ძნელად სახილველნი არიან. ამ მხრივ ყველაზე მიუდგომელია პირღებული. ამიტომაც ჩვენმა საზოგადოებამ მის შესახებ ძალიან ცოტა იცის. პირღებულის სამონასტრო ნაგებობანი სამშვილდის ციხე ქალაქის სამხრეთ-დასავლეთით სამიოდე კილომეტრზე მდებარეობს ხრამის ხეობაში. მეცნიერთა აზრით პირღებული ამ ადგილს იმიტომ დაერქვა რომ ხრამის სრულიად მიუდგომელი ნაპირები აქ ოდნავ მისადგომია და დაღებულ ხახას ჰგავს. შესანიშნავი გეგმით აგებული და მდიდრულად მოჩუქურთმებული ღვთისმშობლის დიდი ეკლესია აგებულია მე-13 საუკუნის პირველ ნახევარში. მთის ფერდობზე მრავალი სადგომი, სენაკი, სამეურნეო ნაგებობაა, აქვეა ეკლესია და სამრეკლო. მონასტერი მოზღუდულია გალავნით. ახლა პირღებულის მონასტრიდან სამასიოდე მეტრზე ქვის კარიერი გაუხსნიათ, თვით კარიერის მიდამოებშიც ძველი ქართული ნამოსახლარია და საგულისხმო უნდა იყოს არქეოლოგიური თვალსაზრისით. კარიერის აფეთქებებიც რომ არა, მძლავრი ქვის დაზ-

გების ხმაურს ხრამის ვიწრო ღრმულში ისეთი დიდი რეზონანსი ექნება, რომ ამით გამოწვეული რხევაც საკმარისია ძეგლის დასაზიანებლად. ეგაც რომ არ იყოს, რა საყურებელი იქნება მომავალში მიწისა და ტყე-ბუჩქნარისაგან ჩამოტყავებული გარემო. თეთრიწყაროს რაიონში ბაზალტის მეტი რა არის, რაღა მაინც და მაინც ძეგლის მიდამოებში მოგვინდა მისი დამზადება? ან ვინ მისცა ამაზე ნებართვა? ერთი სიტყვით პირღებული საფრთხეშია და სასწრაფო შველა უნდა.

სამშვილდის ციხე-ქალაქის დასაწყისში გზის მარჯვენა მხარეს პატარა ბაზილიკაა შიგ შესული კაცი უჩვეულო სანახაობის მოწმე გახდება – ტაძარში უზარმაზარი სალი ქვის სვეტი დგას, რომელიც თითქმის ავსებს შენობის შიდა სივრცეს მას თავზე ქვის დიდი ჯვარი ადგას. რა არის ეს ?

ეს არის მეგალითური ძეგლი – მენჰირი, წარმართული საკულტო ქვის სვეტი, 1500 წლის წინათ წარმართობასთან ქრისტიანული სარწმუნეობის სამკვიდრო სასიცოცხლო ბრძოლის დასტურთაგანი: ქრისტიანობამ მას თავზე ჯვარი დაადგა და თავის სალოცავად აქცია. ტაძარი კი უფრო მოგვიანებით გადაადგეს ზედ. ამჟამად ქვაჯვარის მკერდზე ვრცელი სომხური წარწერაა და დიდი ჯვარი ამოუკვეთიათ. ძეგლის წამრყვნელები ზომაზე მეტად გარჯილან, დავიწყებიათ რომ სვეტს თავზე უკვე ედგა ქვის დიდი ჯვარი. ამრიგად სამშვილდის ქვასვეტმა მეორედ განიცადა ქრისტიანული მწვალებლობა, ამჯერად უკვე მოეცე საუკუნეში.

მეოცე საუკუნის უდიდეს დანაშაულთაგანია სამღერეთის ტაძრის განადგურებაც მე-13 საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების ეს საგულისხმო ნიმუში სოფელ სამღერეთის სამხრეთ დასავლეთით, ხრამის ხეობაში დგას ესაა

ორსაფეხურიანი ტერასული სახის ნაგებობა. ტაძარი მაღლა, კლოდვან კბოდებზე დგას, მასზე გაცილებით დაბლაა სამეურნეო ნაგებობა, მიუხედავად რელიეფური სხვაობისა ისინი ერთ კომპოზიციურ მთლიანობაშია. საქართველოში ვიცით ლურჯი მონასტერი, ყვითელი ტუფით რუხი გრანიტითა და ბაზალტით ნაგები ტაძრები. ტრადიციულად შავი ფერი მძიმეა, მაგრამ ვიცით მაგალითი, როცა ხუროთმოძღვრის ხელში შავი ტუფი ბუმბულივით მსუბუქი და ჰაეროვანი გახდა გუდარეხის სამრეკლოზე. მთლიანად მწვანე ქვით ნაგები ტაძარი კი პირადად მე არსად მინახავს. სამღერეთის ტაძარი ზურმუხტივით მწვანე ტუფითაა ნაგები. ცისკენ მიიწევს მაღალი, ნაზი, დახვეწილი კამარები. სამწუხაროდ მთელი შენობის თლილი ტუფის პერანგი შიგნიდანაც და გარედანაც დახსნილი და გატაცებულია, დუღაბის ჩონჩხიღაა დარჩენილი. მხოლოდ ტაძრის მთავარი შესასვლელი – დასავლეთის კარიბჭეა სრულად გადარჩენილი და ჩრდილოეთის კარიბჭის ნაწილი. ისინი ბრწყინვალე ჩუქურთმებითაა შემკული ქვევრების თავზე გდია ბედად გადარჩენილი დიდი ქვა ლამაზი ძველი ქართული წარწერით. როგორც გვითხრეს, ტაძარი კოლექტივიზაციის წლებში სამღერეთის კოლმეურენოების თავმჯდომარის განკარგულებითა და ხელმძღვანელობით დაანგრიეს და ტუფის ჩუქურთმიანი და წარწერიანი ფილები კოლმეურნეობის ბოსელში იატაკად დააგეს. ტაძრის მიდამოები დღესაც საქონლის სადგომადაა ნაქცევი, კარიბჭის შესასვლელს კი მწყემსები ცეცხლის დასანთებად იყენებენ. ახლა აქ რესტავრატორები მუშაობენ, კვლავ თლიან მწვანე ტუფის ფილებს, მაგრამ სამწუხაროდ პირვანდელი სილამაზე ძეგლს ვერასოდეს დაუბრუნდება.

ცოტა როდი ვიცით ისეთი შემთხვევები, როცა წარსულ

საუკუნეებში ბევრმა ხელყო ქართველი ხალხის სულიერი თუ ნივთიერი კულტურის ძეგლები: ანგრევდნენ, პირუტყვის სადგომებად აქცევდნენ, იტაცებდნენ და უცხოეთში ჰყიდნენ კაცს, ხატს, წიგნს, თხრიდნენ და კირით ფარავდნენ ფრესკებს და წარწერებს... ამას აკეთებდნენ მტრებიც და „მოყვრებიც“ სამღერეთის ტაძრის დაქცევა უკვე ბარბაროსობის უკანასკნელი ტალღაა იმ თავმჯდომარეს დღეს პასუხს ვერ მოვთხოვთ, რადგან ამ დანაშაულიდან რამოდენიმე წლის შემდეგ ისიც და მისი თანამონაწილეებიც ავტოკატასტროფაში დაიღუპნენ, ისინი ბუნებამ გაასამართლა. ოციოდე წლის წინ წალკაში ხალხმა ასეთი რამ მიამბო: წალკის რაიკომის მდივანმა კლდეკარის ჭიშკარი ლაღუმებით ააფეთქებინა და გააგანიერებინა, თივით დატვირთული მანქანები რომ გაეტარებინათ ძეგლის დაზიანებიდან სულ მალე იგი მანქანით ქუჩაში ბოძს შეეჯახა და იქვე გარდაიცვალაო. იქნებ იმასაც ადგილის დედამ მოჰკითხა პასუხი ? მაგრამ სამშვილდე ხომ დაცვაზეა, წლების მანძილზე მცველი ხელფასს იღებს, ძეგლების დამზიანებლებს კი არ ამხელს. ჯერ არ გამიგონია, რომ ძეგლის დამზიანებლები ან უვარგისი მცველები გაესამართლებინოთ. არადა საზოგადოებამ უნდა იცოდეს მეოცე საუკუნის ამ ჰეროსტრატეების სახელები, ისინი ხელოვნების, ისტორიის, ხალხის მტრები არიან და მკაცრად უნდა მოეკითხოთ პასუხი.

სამღერეთის სოფლის შუაგულში ძველი ქართული ბაზილიკა დგას. ეკლესიის ეზოში ანტიკური სამარხებია აქ არის სამარე სამი დისა. რომლებმაც არაბობის ჟამს მტერი სიმღერით მოიგერიეს და მათი გმირობა ხალხში მშვენიერ ლეგენდად დარჩა. სამარე ასკილის ბარდებით არის დაფარული. ტაძრის ეზოდან ასიოდე მეტრზეა სოფლის დღევან-

დელი სასაფლაო. გალავანზე დგას ქვის ორი ცხენი. შორიდანაც აშკარად ჩანს, რომ ვულკანურ ქვაში გამოკვეთილი ეს გამოსახულებები უძველესი დროისაა. ცხენებს სრული აღკაზმულობა აქვთ ფერდებზე კი გამოკვეთილია ხმალი და სხვა საომარი თუ სამეურნეო იარაღები. საიდან გაჩნდა ისინი აქ ? როგორც გამოირკვა, ტაძრის ეზოს ნაწილი ძველი საფლავის ქვებისგან გაუწმენდიათ და ბოსტნად უქცევიათ. ეს ცხენებიც იქიდან წამოუღიათ და ახალი სასაფლაოს კედელში ჩაუდგამთ. ეზოს მეორე ნაწილი უკვე ქუჩად და მოედნად არის ქცეული. სასწრაფოდ უნდა აიკრძალოს ამ ადგილზე რაიმეს მშენებლობა და ეზოს დაუბრუნდეს მიტაცებული მიდამოებიც, რადგან არქეოლოგიური თვალსაზრისით იგი შეიძლება საგულისხმო მასალებს შეიცავდეს. სამი დის საფლავს და ტაძრის შემოგარენს საგანგებო მოვლა-პატრონობა სჭირდება. ამჟამად მთელი ეზო ეკალ-ბარდებით და შამბით არის დაფარული.

ხდება ისეთი სამწუხარო შემთხვევებიც, როცა რომელიმე ძეგლის აღდგენაზე ხმაურს ავტეხავთ, აღდგენის შემდეგ კი ძეგლს გარკვეული ზიანი ადგება. ზოგიერთი რესტავრატორი ძალზე ხელაღებით და გაბედულად ერევა საქმეში, რის შემდეგაც იცვლება საუკუნოვანი ისტორიული გარემო, ზიანდება ან იკარგება რაღაც მნიშვნელოვანი რამ.

360 წელია მარაბდის ეკლესიის ეზოში განისვენებენ ხერხეულიძეთა ცხედრები და დღემდე არავის დაურღვევია მამულისათვის დაჩეხილი გმირების სიმყუდროვე, არავის დაუძრავს ადგილიდან მათი სამარის ქვები. უკანასკნელ წლებში დიდი თანხა დაიხარჯა მთი ხსოვნის უკვდავსაყოფად: დაიდგა დიდი ძეგლი, აღდგენილია ეკლესია, შემოიღობა ეზო, ყოველწლიურად იმართება სახალხო ზეიმი მარაბდობა. ეს ყველაფერი მრავალი წლის

მეცადინეობის შედეგია. მაგრამ ამ სიკეთესთან ერთად საქმეს საზიანო შედეგიც მოჰყვა. რესტავრატორებმა განიზრახეს ეზოში ბაზალტის ფილაქნის დაგება, რომელიც ხერხეულიძეების ყველა სამარეს გვერდზე ჩაუვლიდა. შესასვლელიდან მარცხენა მხარეს მდებარე ერთ-ერთი პირველი სამარის ქვა ამჟამად ადგილზე აღარ არის. სავარაუდოა რომ ფილაქნის დაგების დროს იგი გზაზე დახვდათ, რადგან სამარხები მწკრივად არ არის განლაგებული და ალბათ გზის გამრუდებას ისევ მისი აღება ამჯობინეს. ამრიგად დაიკარგა მარაბდის ომში დაცემული ერთ-ერთი ხერხეულიძეთაგანის სამარე. ეზოს შესასვლელში დიდი ქვასვეტების მოწყობამ გარემო ზომაზე მეტად დაამძიმა შესასვლელის წარწერები იუწყება, რომ აქ განისვენებს ცხრა ძმა ხერხეულიძე არც ერთ ისტორიულ წყაროში არ წერია, რომ მარაბდაში ცხრა ძმა ხერხეულიძე დაიღუპა. „ქართლის ცხოვრება ამბობს: თავთაგან მოკვდა მაშინ აღათანგ ხერხეულიძე და შვიდი სახლისკაცი მისი“ ე.ი. რვა ხერხეულიძე მათ გარდა ბრძოლაში დაეცა ცხრა მაჩაბელი, შვიდი ჩოლოყაშვილი სახელოვანი სარდლები, დავით ჯანდიერი, თეიმურაზ მუხრანბატონი, ბაადურ ციციშვილი, სულ კი ცხრა ათასი ქართველი. რვა ხერხეულიძეს ასახელებს ომში დაღუპულად არჩილ მეფეც, რომელიც მარაბდის ომიდან 39 წლის შემდეგ ავიდა ტახტზე, აკი იგი თვითონვე წერს რომ „ამ ქვემოს ხსენებულთ სახელთა და სარჯელთ ამბავი თვით ნახავთა და თანანაახლთ... ქართველთაგან და კახთაგან სმენოდა, არა ხოტბა, არამედ მართალი,“ ჯერ სახლისკაცი სულაც არ ნიშნავს ძმას ამ სიტყვებში იგულისხმება ძმაც, ბიძაშვილიც, ბიძაც. ძველად როცა დიდი ოჯახები იყო ძმები თავიანთი მოსადევრებით ერთად ცხოვრობდნენ და ოჯახის ყველა მამაკაცს

სახლისკაცი ერქვა. ამას თავი დავანებოთ. ისტორიული ცნობით მარაბდაში რვა ხერხეულიძე დაიღუპა, მაშინ საიდან გაჩნდა რიცხვი ცხრა? საქმე იმაშია, რომ ეკლესიის ეზოში ცხრა სრულ ასაკოვანი მამაკაცი ხერხეულიძეა დაკრძალული. ხალხმა ყველა მათგანი ომში დაღუპულად და თანაც ძმებად ჩათვალა გვაქს თუ არა უფლება დღეს სრულ ჭეშმარიტებად ჩავთვალოთ ხალხური გადმოცემა და ეჭვქვეშ დავაყენოთ ისტორიული წყაროების ცნობები? ამის უფლება არავის აქვს. ვითომ რვა ხერხეულიძე რომ დაეცა მარაბდის ომში და არა ცხრა, ამით რა ჩრდილი ადგება ან მარაბდის გმირებს ან ჩვენს ისტორიას? ხალხური გადმოცემით აქვეა დაკრძალული მათი დედა და მცირეწლოვანი დაც; ე.ი. სულ 11 სამარე გამოდის. სინამდვილეშიც თერთმეტი ქვა იყო, ახლა კი ათია. აღდგენის შემდეგ სამარეებისათვის ნიშნულიანი ქვები ჩაუსვამთ წარწერებით. რვას აწერია „ხერხეულიძე“, ერთს – „ხერხეულიძეების დედა“, ერთს- „ხერხეულიძეების და“. ეს პრეტენზიული წარწერები სრულიად ხელაღებითაა გაკეთებული და საქმეში ჩახედულ კაცს მხოლოდ გულსატკენ ღიმილს ჰგვრის. სამწუხაროდ არც აღდგენის მოთავეებს და არც მარაბდობაზე მოსულ უამრავ სტუმარს აზრად არ მოსვლიათ დაფიქრებულიყვნენ: თუ ათ საფლავზეა დღევანდელი წარწერა დასმული და მათგან ორი საფლავი ბავშვისა და დედისაა, რჩება რვა მამაკაცის სამარე. შესასვლელი ჭიშკრის წარწერაში კი ცხრა ძმა წერია. ეს ხომ სრული უაზრობაა? ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ 1978 წლის 11-ში გამოქვეყნდა ჩემი გამოკვლევა „რას გვიამბობენ ხერხეულიძეთა საფლავები“? მას ახლდა საფლავების ფოტო-გამოსახულებანიც. მათზე აშკარად ჩანს, რომ ოთხი გამოსახულება ხმალ-ხანჯლით შეჭურვილი მეომა-

რია, რვა მამაკაცს თავთან ყანწები, ჭინჭილები და ღვინის სხვა ატრიბუტები აქვს გამოსახული. შვიდ მათგანს თავზე მრგვალი საომარი მუზარადი ახურავს, ხოლო მერვეს დიდებულის გვირგვინი. ერთ საფლავზე თავსაფრიანი და კოჭებამდე დაშვებული სადა კაბიანი ქალის გამოსახულებაა. მასზე დამატებით ღვინის ატრიბუტები არ არის. მეათე ქვაზე ბავშვია გამოსახული, ხოლო მეთერთმეტეზე – მამაკაცი. ამ მამაკაცს და ბავშვს აშკარად განსხვავებული, აქეთ-იქით ყურებგაშლილი თავსაბურავები აქვთ – ეს უკან გაკრული ყაბალახებია. ე.ი. ამ ყაბალახებიან მამაკაცს და ბავშვს მხედრებად, მეომრებად ვერ ჩავთვლით. ამ მამაკაცს არ შეეძლო მარაბდის ომში მონაწილეობა ისევე, როგორც ამ ბავშვს. მაშასადამე რჩება რვა მეომარი მამაკაცი, ანუ იმდენი რამდენსაც ისტორიული წყაროები ასახელებენ. მცირეწლოვან ბავშვს სხვა მამაკაცებივით მოკლე ჩოხა-ახალუხი აცვია და არა ქალის კაბა, თავზეც ყაბალახი აქვს გაკრული და არა თავსაფარი, როგორც დედის გამოსახულებას. ამიტომ ეს ბიჭია და არა გოგონა. კატეგორიულად იმის მტკიცება, რომ იგი ხერხეულიძეთა ძმა იყო /მით უმეტეს და/, არ შეიძლება. ის უნდა მოვიხსენიოთ ყრმა ხერხეულიძედ. რადგან რესტავრატორებს გაგებული ჰქონდათ, რომ ერთ-ერთი სამარე დედისაა, ამიტომ „კენჭისყრით“ მიუკუთვნებიათ ეს პატივი მიცვალებულისთვის, ეტყობა იმიტომ, რომ იგი ბავშვის სამარის გვერდითაა, ამრიგად, ამ „განმანათლებლური“ მუშაობის შედეგად ამჟამად სწორედ ომში დაღუპული ერთ-ერთი მამაკაცი ხერხეულიძის სამარეს აწერია „ხერხეულიძეების დედა“, ხოლო ქალის სამარეს აწერია „ხერხეულიძე“ და იგი მამრად, მამაკაცად არის ჩათვლილი. სამეფო გვირგვინით თავშემკობილი გამოსახულება /მას ტანზე

აბჯარიც აცვია/ იმას ნიშნავს, რომ იგი აღათანგ ხერხეულიძეა. იგი ეზოში შესასვლელთან ახლოს, ხელმარჯვნივ ასვენია ყაბალახიანი მამაკაცის მახლობლად. მასაც ზოგადად აწერია „ხერხეულიძე“. ისტორიამ არ შემოგვინახა აღათანგის გარდა, მარაბდაში დაკრძალული ხერხეულიძეების სახელები. ირანელი ისტორიკოსი ისკანდერ მუნში აღათანგის აღა თენგიზად მოიხსენიებს. ხოლო 1622 წლის სიგელში ნახსენები არიან აღათანგ ხერხეულიძე, მისი ძმა ბეჟანი, აღათანგის შვილები – პაატა და ნასყიდა. ზემოხსნებული აღრევა წარწერებისა მკრეხელობაა და სასწრაფოდ უნდა გასწორდეს.

დიდი ხნის წინათ სოფლის გარეთ, მთავარი სამანქანო გზის პირას მარაბდის ობელისკი აშენდა. რაიონის ერთ-ერთმა მაშინდელმა ხელმძღვანელმა დაიჟინა ხერხეულიძეების საფლავების ქვებიც იმ ობელისკთან გადავიტანოთო /იქამდე 1 კილომეტრამდე მანძილია/, დამთვალიერებლებისთვის უკეთესი იქნებაო, შევეკამათე საფლავები დაიკარგება მეთქი. ვის რად უნდა, დიდი ამბავი, თუ დაიკარგებაო. დიდი დავის შემდეგ ხერხეულიძეთა საფლავები დაკარგვას გადარჩა. მაშინ მოდაში იყო რაიონების ხელმძღვანელებად მეცხოველეების დანიშვნა, რადგან ქვეყნის ხელისუფალთა აზრით მთავარი იყო მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება და არა ამაზე დასაქმებული ადამიანების სულებზე ზრუნვა. ამიტომ მაშინ რაიკომის პირველ მდივნად ზოოტექნიკოსი იყო დანიშნული, რაიაღმასკომის თავმჯდომარედ – ვეტექიმი. მათთვის ძნელი იყო იმის გაგება, რომ წინაპართა საფლავები მარტო ძვლები როდია, რომ მათ კიდევ სულიერი ღირებულება, მომავალი თაობების ეროვნული სულისკვეთებით აღზრდისათვის განუზომელი მნიშვნელობაც

აქვთ. თანაც კაცი რომ სამშობლოს თავისუფლებისათვის თავს დასდებს, მშობლიურ მიწაში, თავისივე სისხლით მორწყულ მიწაში დაუყვედრებლად წოლის უფლება აქვს. მოდი და ამისთანა კაცს გააგებინე, რატომ ინახავდა ათას წელიწადს ქართველი ერი დავით და კონსტანტინე წამებულების ძვლებს, რომ ქართველი ერის ისტორია სწორედ ტაძრებზე, სამარეებზე და წმინდა ძვლებზე დგას, რომ აქედან იწყება სამშობლო და რწმენა კაცისა. არც ერთი რაიონული თუ ადგილობრივი დაწესებულების ხელმძღვანელს არ უნდა ჰქონდეს უფლება რესპუბლიკური სამეცნიერო საზოგადოებების თანხმობის გარეშე კულტურის ძეგლთა აღდგენის, გადაკეთების, მისი მიდამოების გაშენიანებისა და არც ერთი ქვა საკუთარი გადაწყვეტილებით არ უნდა დასძრას ადგილიდან.



მარაბდის ობელისკი

საძიებელი

ავტორისაგან 3

სად გაქრა ატლანტიდა? 5

მდინარე ალგეთი ქართულ ზეპირსიტყვიერებაში. 11

მცირე მოსაზრება ამირანის ჩამომავლობის შესახებ. 19

საქართველოს ისტორიული მხარეების ტაოსა და თუშეთის სახელწოდებათა განმარტებისათვის. 22

ახალი ცნობები გარისის შესახებ. 34

სამღერეთი - ლეგენდა და სინამდვილე. 51

„აგარაკსა მას - დარბაზად წოდებულსა“. 58

რას გვიამბობენ ხერხეულიძეთა საფლავები. 64

სადაური იყო ერაყის მეფე დაუდ-ფაშა? 82

სახელწოდება ოდიშის განმარტებისათვის. 90

ოთხასი წელი ტაშისკარის ომიდან - წმინდანის ხსოვნა გვავალდებულებს 96

შეცდომა! - როდემდე? 105

შამილის სავარძელი. 108

ორიოდე შენიშვნა კობა ხარაძის წიგნის მიმართ. 111

ზოგიერთი მოსაზრება „ხევსურეთის ციხე-კოშკების კრიპტოგრამებზე“. 117

ვინ იყვნენ ფილისტიმელები? 121

ადგილის დედა გვეძახის. 126

აქედან იწყება სამშობლო და რწმენა კაცისა. 133